საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

10 იანვარი ხუთშაბათი 2013 №006 (13 922) ფასი 80 თეთრი

# ლაშა

## აქაც ქრის



↳10

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

# ლეგიონერები



## მაშა, მაშა, ითამაშა

### კობის პირველი მატჩი დისკვალიფიკაციის შემდეგ

გუშინ ბერლინის "ჰერტამ" საკონტროლო შეხვედრაში "ვოლფსბურგის" მეორე გუნდი დაამარცხა - 2:1. ჩვენთვის ეს შეხვედრა იმად იყო მნიშვნელოვანი, რომ იძულებითი პაუზის შემდეგ ლევან კობიაშვილმა პირველად ითამაშა - მეორე ტაიმიდან შევიდა მოედანზე.

გერმანიის საფეხბურთო კავშირის მიერ კობიაშვილი 2012 წლის მაისის აქეთ იყო დისკვალიფიცირებული მსაჯ ვოლფგანგ შტარკის ვითომდა ფიზიკური შეურაცხყოფისთვის. საქართველოს ეროვნულ ნაკრებში 100 მატჩის ჩამტარებელი 35 წლის კობიაშვილი ამ მძიმე ვერდიქტს არ შეუშინდა და შეუპოვრად ემზადება ფეხბურთელის კარიერის გასაგრძელებლად.

"ჰერტას" ჩვენებურს წუხელ, მატჩის შემდეგ დავურეკეთ გერმანიაში...

- ამდენი თვის შემდეგ პირველად ვითამაშე, ეს მართლაც კარგი განცდა იყო. ვარჯიში ერთია, თამაში კი სულ სხვა. კარგი დღე მქონდა, მაყურებელმა თბილად მიმილო, თანაგუნდელებიც გვერდში მედგნენ, ყველაფერმა სასიამოვნო ატმოსფეროში ჩაიარა, ახლა უკვე რიტმში ვჯდები.

**- ამ საკონტროლო შეხვედრას რამდენი გულშემატკივარი დაესწრო?**

- "ჰერტას" მეორე გუნდის მოედანზე ვითამაშეთ, სადაც ტრიბუნა ათასამდე გულშემატკივარს იტევს.

**- მომდევნო ამხანაგური მატჩი როდის გაქვთ?**

- შაბათს უკვე "ვოლფსბურგის" პირველ გუნდს შევხვდებით სტუმრად. ბუნდესლიგის განახლებამდე დიდი დრო აღარ დარჩა და "ვოლფსბურგისთვის" ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი მატჩი იქნება, სერიოზული და საინტერესო. გულშემატკივარიც გაცილებით მეტი მოვა.

**- დღევანდელი მატჩის შემდეგ საკუთარი თავით რამდენად კმაყოფილი დარჩი?**

- განსაკუთრებული არაფერი, მთლიანად გუნდმაც და მეც ნორმალურად ვითამაშეთ. ჩემთვის ეს მატჩი საჭირო იყო. ვარჯიშებზე ორმხრივ თამაშებში კი ვმონაწილეობდი, მაგრამ გაცილებით მნიშვნელოვანია, როცა ამხანაგურ შეხვედრაში სხვა გუნდს ეთამაშები.

**დავით თავართქილაძე**



↳3

## უკან, თურქეთში?

### ამისულაშვილმა, შესაძლოა, კრასნოდარი დატოვოს

## ცინცაძე: 12+4=ტოპ 16



ევროთასის ტოპ-16-ში პირველი მატჩი გამარჯვებით დაასრულა **გიორგი ცინცაძის** „ბუდიველნიკმა". კიეველებმა თურქულ „ბანვიტს" 76:69 სძლიეს.

გადამწყვეტ მომენტში გიორგი მოედანზე იყო და გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა. თავად განსაჯეთ: საფინალო სირენამდე 34 წამი რჩებოდა, როცა მან სამქულიანი ჩააგდო და თანაგუნდელთა უპირატესობა 5 ქულამდე გაზარდა - 74:69.

ცინცაძის სრული მონაგარი ასეთი იყო: 26 წუთი, 12 ქულა, 4 პასი, 2 მოხსნა.

ამავე ტურში **ბექა ბურჯანაძის** „კახასოლმა" სტუმრად პოლონურ „ზიელონა გორასთან" დათმო - 67:76. ბექამ 2 წუთი ითამაშა და მატჩი უქულოდ დაასრულა.



↳10

## ფრეეჰ, მოგებას შეიძლებოდა

### ქართველმა წყალბურთელებმა ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში პირველი ქულა მოიპოვეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

● ლეგიონერები

# კაშიას გოლი და რეპეტიცია გალათასარაის წინ

ზამთრის შეკრებაზე მყოფმა არნემის "ვიტესმა" პირველი საკონტროლო მატჩი ჩაატარა. ჰოლანდიური კლუბი ესპანეთში ემზადება და ამხანაგურად ადგილობრივ "ორიუელას" დაუპირისპირდა. "ვიტესმა" მეტოქეს ყოველგვარი დაბრკოლებების გარეშე, 7:0 სძლია. ერთი გოლი არნემელთა ქართველმა კაპიტანმა **გურამ კაშიამ** გაიტანა, რომელმაც პირველ ტაიმში ანგარიში 2:0 გახადა. მან შეხვედრა სრულად ჩაატარა.

აღსანიშნავია, რომ "ვიტესის" სასტარტო შემადგენლობაში იყო **ვაკო ყაზაიშვილიც**, რომელსაც მიმდინარე სეზონში არნემელთა მთავარი გუნდის შემადგენლობაში ჯერ ერთი ოფიციალური მატჩიც არ ჩაუტარებია. იმედია, სეზონის მეორე ნახევარში მას თავის გამოჩენის საშუალება მიეცემა. ესპანელებთან სპარინგში ყაზაიშვილი პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალეს.

ჩვენთვის საინტერესო საკონტროლო მატჩი გაიმართა ორ თურქულ კლუბს შორის – **შოთა არველაძის** "ქაშიმფაშა" **ზურაბ ხიზანიშვილის** "ქაისერისფორს" შეხვდა. შეგახსენებთ, არველაძე "ქაისერის" ყოფილი მთავარი მწვრთნელია და "ქაშიმფაშას" სეზონის მსვლელობისას მიაშურა. არველაძის გუნდმა 1:0 გაიმარჯვა, ხიზანიშვილმა კი შეხვედრა შეუცვლელად ჩაატარა.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ ჰოლანდიის ერედივიზიეცა და თურქეთის სუპერლიგაც 18 იანვარს განახლდება. ამ დღეს "ქაშიმფაშა" სტამბოლურ დერბიში ჩემპიონატის ლიდერ "გალათასარაის" უმასპინძლებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**





გურამ კაშია



ვაკო ყაზაიშვილი

# ნანატრი დაბრუნება: კობი მოედანზეა!

ხანგრძლივი დისკვალიფიკაციის შემდეგ **ლევან კობიაშვილმა** პირველად ითამაშა. ვეტერანმა ქართველმა გუშინ ბერლინის "ჰერტასა" და "ვოლფსბურგის" 23-წლამდელთა გუნდის საკონტროლო მატჩში მიიღო მონაწილეობა. კობი მოედანზე შესვენების შემდეგ შევიდა და საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე ითამაშა. "ჰერტამ" შეხვედრა 2:1 მოიგო.

კობიაშვილის დაბრუნება ნამდვილად არ არის რიგითი ამბავი. დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი ღირსეულად გაუმკლავდა რამდენიმეთვიან სასჯელს, რომელიც, მისი რეპუტაციიდან გამომდინარე, ღრმად გვწამს, რომ უსამართლოდ დააკისრეს. ლევანის ოცნება პირველ ბუნდესლიგაში დაბრუნებაა და დიდია იმის შანსი, რომ კარიერის მიწურულს მან კვლავ ითამაშოს ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს ჩემპიონატში. "ჰერტას" მეორე ბუნდესლიგაში საქმეები კარგად მისდის და წესით, ელიტაში დაბრუნება უნდა შეძლოს - გვჯერა, რომ კობისთან ერთად დაბრუნდება. იმის იმედიც გვაქვს, რომ ხანგრძლივი პაუზისა და სოლიდური საფეხბურთო ასაკის მიუხედავად, კობიაშვილი ბერლინელთა სასტარტო შემადგენლობაში ადგილს უმოკლეს დროში დაიბრუნებს.

ლევანს ჯერ კიდევ აქვს იმის შანსი, საბოლოოდ მიაღწიოს იმ რეკორდს, რისთვისაც წინა სეზონში იბრძოდა – მას შეეძლო, პირველ ბუნდესლიგაში ყველაზე მეტი მატჩის ჩამტარებელი ლეგიონერი გამხდარიყო. "ჰერტას" ელიტიდან გავარდნამ ამ ნომინაციაში დაწინაურების საშუალება "ბაიერნის" პერუელ ფორვარდ **კლაუდიო პისაროს** მისცა, მაგრამ მისი უპირატესობა არცთუ დიდია და სრულიად შესაძლებელია, მომავალ სეზონში პისარომ გერმანიაში საერთოდ აღარ ითამაშოს, კობიაშვილმა კი მას გადაუსწროს.

მოკლედ, 35 წლის კობის დიდ ფეხბურთში კიდევ აქვს განსახორციელებელი მნიშვნელოვანი ამოცანები. მან თავისი კარიერითა და ცხოვრების წესით კარიერის მაჟორულ ნოტზე დასრულება დაიმსახურა და დიდი იმედი გვაქვს, რომ საქართველოს ნაკრების რეკორდსმენისთვის (ყველაზე მეტი, 100 მატჩი) დაბრუნებაც შედეგიანი გამოდგება და მომავალ სეზონში პირველ ბუნდესლიგაშიც იტყვის თავის სიტყვას.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● სავარაუდო ტრანსფერი

# ხუბუტიას ჩეხური შანსი



აკაკი ხუბუტია

**აკაკი ხუბუტია** ჩეხური "პლზენის" შემადგენლობაში ვარჯიშობს, რისი ამსახველი ფოტოებიც კლუბის ოფიციალურმა ვებგვერდმა გამოაქვეყნა. შეგახსენებთ, საქართველოს ეროვნული ნაკრების მცველმა გასული სეზონის პირველი ნახევარი რუმინულ "გაზ მეთანში" გაატარა.

ხუბუტიამ "პლზენის" მაისურით პირველი საკონტროლო მატჩიც ჩაატარა. "პლზენმა" ქვედალიგელი "დუბრავკა" 7:1 გაანადგურა, ხუბუტია კი მოედანზე შესვენების შემდეგ გამოჩნდა. იმ დროისთვის ანგარიში 3:1 იყო.

აკაკის საკითხი უახლოეს დღეებში გაირკვევა. რაც შეეხება "პლზენს", პირველი წრის შემდეგ ეს გუნდი ჩეხეთის ჩემპიონატს ეთპიროვნულად ლიდერობს და ევროპის ლიგის მეთექვსმეტედფინალშიც არის გასული, სადაც იტალიურ "ნაპოლის" შეხვდება. ასე რომ, შეგვიძლია ვთქვათ, ხუბუტიასთვის "პლზენში" მოხვედრა კარიერაში წინგადადგმული იქნება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● მეტალურგი

# მეტოქეები ცნობილია

რუსთავის "მეტალურგი" სეზონის მეორე ნახევრისთვის დასკვნით სამზადისს ანთალიაში გაივლის. თურქეთის ზღვისპირა კურორტზე **გიორგი ყიფიანის** გუნდი 1 თებერვალს გაემგზავრება.

უკვე ცნობილია იმ კლუბების ვინაობაც, რომლებთანაც "მეტალურგი" საკონტროლო შეხვედრას გამართავს. ესენია პოლონური "გურნიკი", უკრაინული "ვორსკლა", რუსული "მეტალურგი" და მოლდოვური "აკადემია". ქვემოქართლელები თურქეთში მეხუთე სპარინგსაც გამართავს. ბოლო მეტოქის ვინაობა უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი.

შეგახსენებთ, "მეტალურგი" საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ექვსეულში ვერ მოხვდა და ევროასპარეზზე გასვლის ერთადერთ გზად თასის გათამაშებაში წარმატებაღა დარჩა.

**ლევან ჯანეზაშვილი**



გიორგი ყიფიანმა მოსამზადებელ შეკრებაზე სპარინგების ვინაობა გაარკვია

● ფუტსალი

# ფრე და მეორე ადგილი

დასრულდა მალტის საერთაშორისო ტურნირი ფუტსალში. ბოლო შეხვედრა ინგლისელთა წინააღმდეგ დაძაბული და რაც მთავარია სანახაობრივი გამოდგა: პირველი ნახევარი ინგლისელთა გამარჯვებით დასრულდა – 1:0. მეორე ტაიმის დასაწყისში ინგლისელები 2:0 დაწინაურდნენ. თუმცა **ავთანდილ ასათიანისა** და **ბესო არველაძის** შეგირდებმა მდგომარეობის გამოსწორება და ანგარიშის გათანაბრება მაინც მოახერხეს: ჯერ **არჩილ სებისკვერაძემ** შეამცირა ანგარიში, **კახა მაისაიამ** კი შორეული დარტყმით ინგლისელებს მოგება ხელიდან გამოგლიჯა.

საბოლოოდ ლამაზი სანახაობა 2:2 დასრულდა და საქართველოს ნაკრებმა ტურნირზე მეორე ადგილი დაიკავა. პირველზე კი საბერძნეთია, რომელმაც მასპინძელი მალტა დაამარცხა.

ჩვენი დელეგაცია თბილისში 11 იანვარს დაბრუნდება.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები



ალექსანდრე ამისულაშვილი



სლავოლიუბ მუსლინი

# ამისულაშვილი ისევ თურქეთში?

## რევიშვილი, ალბათ, ხაბაროვსკში წავა

**ალექსანდრე ამისულაშვილმა**, შესაძლოა, უახლოეს დღეებში "კრასნოდარი" დატოვოს. საქართველოს ეროვნული ნაკრების ვიცე-კაპიტანი რუსული პრემიერლიგის ამბიციურ კლუბში 2011 წელს გადავიდა. კრასნოდარელები იმდენად იყვნენ ამისულაშვილის გადაბირებით მონადინებულები, რომ მასში თურქულ "კაისერს" 3 მილიონი ევრო გადაუხადეს; არც ის იყო პატარა ამბავი, როცა "კრასნოდარმა" ქართველ მცველს არა მხოლოდ საუკეთესო პირობები შესთავაზა, არამედ გუნდის კაპიტნადაც აირჩიეს. ერთი სეზონი ასეც გრძელდებოდა – ამისულაშვილმა რუსეთში კარგი სახელი მოიპოვა და პრემიერლიგაში ერთ-ერთ საუკეთესო უკანახაზელადაც მიიჩნეოდა.

თუმცა, ზაფხულში სიტუაცია შეიცვალა; ჯერ იყო და, კლუბი ასევე დიდი ზარ-ზეიმით მიღებულ **ოთარ მარცვალაძეს** დაემშვიდობა, მერე კი დანარჩენი ქართველების შევიწროების დროც დადგა! ჯერ ძირითადი შემადგენლობის მეკარემ **ნუკრი რევიშვილმა** გადაინაცვლა სათადარიგოთა სკამზე, მერე კი — გუნდის კაპიტანმა **ალექსანდრე ამისულაშვილმაც**...

სეზონის ბოლოს კი რუსულმა გაზეთმა „სოვეტსკი სპორტმა" გაავრცელა ინფორმაცია, რომ ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის დროს „კრასნოდარი" შესაძლოა, კლუბის ორივე ქართველმა დატოვოს.

ალექსანდრე ამისულაშვილმა მიმდინარე სეზონში 17 მატჩი ჩაატარა, ხოლო ნუკრი რევიშვილმა 4 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, სადაც 8 გოლი გაუშვა.

სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც "კრასნოდარის" ამჟამინდელი სერბი დამრიგებელი, **სლავოლიუბ მუსლინი** ქართველებს საქმეს უფუჭებს. ასევე ცუდად დახვდა მოსკოვის "ლოკომოტივში" **მალხაზ ასათიანს**, მანამდე კი უკრაინაში, დონეცკის "მეტალურგს" ავარჯიშებდა და პრობლემები გუნდის კაპიტან **გოჩა ჯამარაულთან** ჰქონდა. ამისულაშვილი "კრასნოდარის" კაპიტანი და ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი იყო და თადარიგში გადაიყვანა. ამტკიცებენ, რომ მუსლინი ლიდერული თვისებების მქონე მოთამაშეებს არ წყალობს, დასახელებული ქართველები კი სწორედ ასეთები იყვნენ. სხვათა შორის, მუსლინის დაწუნებული ხუთი ქართველიდან სამი მისი გაწვრთნილი კლუბების კაპიტნები იყვნენ.

8 იანვარს ამისულაშვილი და რევიშვილი მოსკოვში გაემგზავრნენ, საიდანაც კრასნოდარში გადაფრინდებიან და კლუბის ხელმძღვანელებთან გაარკვევენ, სურთ თუ არა მათი დატოვება და რა გზას დაადგნენ. სალაპარაკო ორივეს ბევრი აქვს. ფაქტია, რომ არც ერთს არ სურს იმ მდგომარეობასთან შეგუება, როგორშიც ბოლოს აღმოჩდნენ. ამიტომ, დიდია ალბათობა, რომ რუსული კლუბი ორივემ დატოვოს და გათავისუფლების ფურცელი მიიღოს.

ვინ სად წავა, ამაზე უკვე იყო ლაპარაკი; მაგალითად, ხაბაროვსკის "სკაენერგიას" გენმენეჯერმა დირექტორმა **სერგეი ფელდმანმა** უარყო ინფორმაცია რევიშვილით დაინტერესების თაობაზე: მას ჩვენი დასაწუნი არაფერი სჭირს, მაგრამ მეკარეები გვყავს და ისინი რატომ უნდა გავუშვათო. თუმცა, დანამდვილებით შევიტყვეთ, რომ ეს რეალური წინადადებაა. თანაც ძალიან გვენიშნა "ლელოსთან" ინტერვიუში ნუკრი რევიშვილის ნათქვამი, დიდი ხანია არ მითამაშია და მეეჭვება, პრემიერლიგის კლუბი დაინტერესდესო.

ისე, რუსეთში ხაბაროვსკის "სკაენერგიაზე" გესლიანად ხუმრობენ: პრემიერლიგაში ლოცულობენ, კლუბმა პირველი ლიგაში ვერ გაიმარჯვოს, 9-12-საათიანი ფრენები არავის სიამოვნებსო.

ალექსანდრე ამისულაშვილი კი "კრასნოდარის" დამოკიდებულების შეცვლას ვერაფრით ხსნის. მართლაც გაუგებარია, რა უნდა მომხდარიყო ისეთი, რომ კაპიტანი სათადარიგოთა სკამზე დაესვათ. ამიტომაც სურს 30 წლის გამოცდილ მცველს ხელმძღვანელებთან დალაპარაკება და ვითარებაში გარკვევა.

თუმცა, არის ინფორმაცია, რომ ამისულაშვილმა კლუბი უკვე დატოვა. ჩვენი ინფორმაციით, ამისულაშვილს კონტრაქტს ვლადიკავკაზის "ალანია" სთავაზობს. თუმცა, უფრო რეალურია, ალეკო კვლავ **შოთა არველაძესთან** თურქეთში გადავიდეს. დიახ, თურქული „ქაისერისფორში" 2010-2011 წლებში თამაშობდა და კლუბი ჯერ მან დატოვა ("კრასნოდარში" გადავიდდა), მერე შოთა არველაძემ, რომელმაც შარშან შემოდგომაზე სტამბულის „ქასიმფაშა" ჩაიბარა.

ჩვენთვის მხოლოდ ორი ვარიანტია ცნობილია – ფეხბურთელი, რომელიც რუსეთის პრემიერლიგაში 2006 წლიდან გამოდის (თუ თურქეთში ჩატარებულ სეზონს არ ჩავთვლით), საკმაოდ დიდი სახელი და ავტორიტეტი შეიქმნა და თუ "კრასნოდართან" მისი გზები გაიყოფა, მსურველი ნაღდად გამოუჩნდება.

# მამუკა ლონლაძე: ფეხბურთს თავს დავანებებ, დაუგავა კვლავ ხელს თუ შემიშლის

**მამუკა ლონლაძის** მიმართ ვლადიკავკაზის "ალანიას" ინტერესზე ადრე დავწერეთ. 26 წლის ქართველი თავდამსხმელისთვის გასული სეზონი წარმატებული გამოდგა, "დაუგავას" შემადგენლობაში ლატვიის ჩემპიონი და ვირსლიგის ბომბარდირი გახდა. ცხადია, მის მიმართ სხვა უფრო ძლიერი ლიგის კლუბების ინტერესი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ყველაზე საინტერესო ფეხბურთელისთვის ვლადიკავკაზის "ალანიას" წინადადება გამოდგა. რუსეთის პრემიერლიგის კლუბში მოხვედრა ბევრი ფეხბურთელისთვის საოცნებო არის, ვლადიკავკაზელებმა კი ქართველი თავდამსხმელის მიმართ ინტერესი დაადასტურეს. ამავე დროს, ლონლაძე ამბობს, რომ ჯერ ყველაფერი არ გარკვეულა.



"13 იანვარს მოსკოვში უნდა გავემგზავრო. მერე ვლადიკავკაზში ჩავალ და სამედიცინო შემოწმებას გავივლი. რა თქმა უნდა, ეს ბევრს ნიშნავს, ხშირად შემოწმება კონტრაქტის გაფორმებას წინ უსწრებს. მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ამაზე არ მეტყველებს. "ალანიას" პრეზიდენტმა და მთავარმა მწვრთნელმა ვალერი გაზაევმა მითხრა, რომ მოვწონვარ და ჩემი კლუბში ნახვა სურს. ალბათ, თურქეთში შეკრებაზე კლუბს გავყვები და ყველაფერი ამის შემდეგ გაირკვევა. ჯერ კი უნდა შევხვდეთ მე, კლუბის წარმომადგენლები და "დაუგავას" პრეზიდენტი ან სხვა პირი. კონტრაქტის ამბავი სწორედ ამის შემდეგ გაირკვევა", – ამბობს ლონლაძე.

თურმე, ვლადიკავკაზელებს ჯერ კიდევ ვერ გაურკვევიათ ურთიერთობა ლატვიის ჩემპიონებთან, რომლის პრეზიდენტი გავრილოვიც გამორჩეული ფეხბურთელის რუსებისთვის იოლად დათმობას არ აპირებს: "დიახ, ახლა მთავარი პრობლემა არის სწორედ "დაუგავას" პრეზიდენტი. გაიგო რა, რომ ჩემით რუსეთის პრემიერლიგის კლუბი დაინტერესდა, 300 ათას ევროზე ნაკლებ კომპენსაციას არ თანხმდება. მე ხომ კონტრაქტი 2013 წლის 31 აგვისტოს მიმთავრდება და პრინციპულად არ სურს რაიმე დათმოს.

შარშან რეალური იყო ჩემი უკრაინის კლუბებში გადასვლა, "ზარიაც" მიწვევდა და "კრივბასიც", ლუგანსკელები კონტრაქტს მიფორმებდნენ, მაგრამ არ გამიშვა და მაშინაც დიდი თანხა მოითხოვა. მესმის, რომ შესაბამისი თანხა მქონდეს აღებული, მაგრამ მე ერთწლიან კონტრაქტზე შევუთანხმდი, მათ კი მოტყუებით ხელი ორწლიანზე მომაწერინეს და ახლა ფულის შოვა ასეთი გზით უნდათ.

სხვათა შორის, გავრილოვთან დალაპარაკება რომ ვცადე, ტელეფონს არ იღებდა. მერე, როგორც იქნა, დავუკავშირდი და ვკითხე, ხელს რატომ მიშლიდა. ჩემპიონები გავხდით, მომავალ წელს ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე უნდა ვითამაშოთ, ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრა გვსურს და გვჭირდებიო. რა ჩემპიონთა ლიგაზე ოცნებობს, ვერ გავიგე, ლატვიური კლუბი ლიგაში კიდევ დიდხანს ვერ შეაღწევს, მე კი მის იდეებს ვერ გადავყვები. და კიდევ – წლეულს კარგი ტიტულები დავაგროვე და ვინ იცის, კარიერის ასეთ დონეზე გაგრძელების შანსი კიდევ როდის მომეცემა. ამიტომ, პრინციპულად აღარ დავბრუნდები ლატვიაში და ვითხოვ, რომ ხელი არ შემიშალოს. "დაუგავას" პრეზიდენტის გამო კონტრაქტი თუ კიდევ ერთხელ ჩაიშალა, გადავწყვიტე, ლატვიაში აღარ ჩავალ და ვეტყვი, რომ ფეხბურთს აღარ ვითამაშებ. მერე ცენტსაც ვერ იშოვის.

თავად "ალანიასთან" კი შეთანხმებული ვარ, იქ ყველაფერი ცალსახად გარკვეული არის. ჩამოდი და შენს პირად კონტრაქტზე ადგილზე დავილაპარაკოთ, შენი დამატება ძალიან გვინდაო".

მამუკა ლონლაძე ამბობს, რომ მისით **თემურ ქეცბაია** დაინტერესდა: "გუცაევისგან შევიტყვე, რომ ჩემს შესახებ ნაკრების მთავარ მწვრთნელს, თემურ ქეცბაიას ელაპარაკა, რომელიც, თურმე, თურქეთში "ალანიას" საკონტროლო შეხვედრებს დაესწრება და იმედია, ნაკრებში გამომიძახებს. მე ამ ინტერესითაც ბედნიერი ვარ და მჯერა, იმედს გავუმართლებ. ტრაბახში არ ჩამომართვათ: ლატვიის ჩემპიონატი ევროპის ტოპ-დონის ტურნირი არ არის, მაგრამ მონადინებული მოთამაშე აუცილებლად გაიზრდება. მე სულ ვამბობ, რომ ვირსლიგაში გავიზარდე და ბევრად უკეთესად ვარ, ვიდრე საქართველოში. რუსები, უკრაინელები და პოლონელები გიჟები არ არიან, ლატვიიდან ფეხბურთელები ხშირად რომ მიჰყავთ. ეს მაიმედებს, რომ ნაკრებში თავს არ შევირცხვენ".

ბოლოს ერთი საინტერესო ამბავი: ოსეთში ქართველი ფეხბურთელების მიმართ რამდენიმე ადგილობრივი გამოცემა აგრესიულ ტონს ამჟღავნებს. ასეა 2008 წლის რუსეთის აგრესიის შემდეგ. ოსეთში გამომავალი ინტერნეტ-გაზეთი "სპორტივნაია ოსეტია" მამუკა ლონლაძის ტრანსფერით აღტაცებული არ არის, არც ისე ძლიერი ჩემპიონატიდან მოთამაშეს რატომ ვიმატებთო და ამ კონტექსტში მერე **ვლადიმერ გუცაევს** მისდგა. მას გამოცემა კლუბის ქართველებით მომარაგებაში ადანაშაულებს, მაგრამ ეს შესავალი იყო: მას ბრალად იმ ფაქტს უყენებენ, რომ საქართველოს პარლამენტის წევრი იყო და 2008 წლის შემდეგაც არ დატოვა პარლამენტი. აი, ასე იქცეოდა თბილისის "დინამოს" ყოფილი ფეხბურთელიო.

არადა, როდესაც ლაპარაკია გუცაევზე, ყოველთვის წერენ, რომ ის დიდი ოსი ფეხბურთელი იყო და თბილისის "დინამოს" არც ასახელებენ, თითქოს ამ კლუბთან კავშირი არც ჰქონია. რას ერჩიან ამ კაცს, ვერ გაიგებ. გუცაევი ქართველებსა და ოსებს შორის ჩატეხილი ხიდის აღდგენაში უდიდეს როლს თამაშობდა და თამაშობს კიდეც.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

სავარაუდო ტრანსფერი

# ზვიად სიხარულია: ზესტაფონის ზარს ველოდები



ზვიად სიხარულია

საქართველოს მოქმედი ჩემპიონი, „ზესტაფონი" "ზუგდიდის" მოთამაშეებით ყოველთვის აქტიურ ინტერესს გამოხატავდა – წინა სეზონში კლუბმა **გურამ სამუშია** და **ლუკა გუგუჩია** დაიმატა, ახლა კი „ზუგდიდის" ან უკვე ყოფილი ლიდერი **ლევან კუტალია**.

ცხადია, ზუგდიდურ კლუბში არსებულ გაუთავებელ და არასტაბილურ გარემოსთან შეგუება ძნელია. შევიტყვეთ, რომ შესაძლოა, კლუბი **ზვიად სიხარულიამაც** დატოვოს. 20 წლის ნიჭიერი მოთამაშე, დიდი ხანია, წამყვანი ქართული კლუბების ყურადღებას იქცევს. საყრდენი ნახევარმცველი უნივერსალია და ფლანგებზე თამაშიც შეუძლია.

ადრინდელი ინფორმაციების თანახმად, ზვიად სიხარულიას თბილისის "დინამო" და გორის "დილა" აკვირდებოდნენ, მაგრამ საბოლოოდ, ის მაინც "ზუგდიდში" დარჩა. თუმცა, სავარაუდოდ, ზუგდიდური კლუბი ახლა 20 წლის მოთამაშეს ველარ შეინარჩუნებს.

"ჩემამდეც მოვიდა ინფორმაცია, რომ თბილისის "დინამო" იყო დაინტერესებული, მაგრამ ეს ადრინდელი ამბავია, ახლა არაფერი მსმენია და მეეჭვება, რეალური იყოს. ასევე იყო ლაპარაკი გორის "დილაზე" და ესეც წარსული ამბავია. არ დავმალავ, უცხოეთიდან მართლა არანაირი წინადადება არ მქონია. ბოლო დროს ქუთაისის "ტორპედოსა" და "ზესტაფონის" დაინტერესებაზე მითხრეს. რაც ვიცი, ქუთაისელებთან ჩვენები სატრანსფერო თანხაზე ვერ შეთანხმდნენ, ზესტაფონელები კი დამიკავშირდნენ და ახლა მათ საბოლოო გადაწყვეტილებას ველოდები" – გვითხრა სიხარულიამ.

სიხარულიამ პირველ წრეში 22 შეხვედრიდან 21 ჩაატარა, აქედან 17-ჯერ "ზუგდიდის" ძირითად შემადგენლობაში იყო და გუნდს 2 გოლით შეეწია. ფეხბურთელი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატია, მაგრამ რატომღაც, დღემდე არც ერთი ოფიციალური შეხვედრა არ ჩაუტარებია.

● საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ეტაპის შეჯამება — დილა (გორი) - ადგილი II

# დიდი ამბიციები და გაურკვევლობა



დილას აწ უკვე ყოფილი მთავარი მწვრთნელი გიორგი დარასელია კარიერას ხაბაროვსკში გააგრძელებს

გორის „დილა" ახლოს იყო დიდ მიღწევასთან - ევროპა ლიგის ჯგუფში შესვლასთან ერთი ნაბიჯი აშორებდა, მაგრამ პორტუგალიურ „მარიტიმუს" კისერი ვერ მოუგრიხა.

„დილა" განსაკუთრებული გუნდი გამოდგა, კლუბს შინაგან საქმეთა სამინისტრო აფინანსებდა, „დილაში" მივიდა გამოცდილი მენეჯერი, ქართველი ფეხბურთელების მომფულიანებელი **მამუკა ჯულელი.** ასეთ კომბინაციას კი მოჰყვა ის, რომ „დილაში" ძალიან ბევრი კარგი ფეხბურთელი მოხვდა.

ვინაიდან „დილა" ევროფრონტზე იყო გადართული, საქართველოს ჩემპიონატის პირველ ტურებში წარმატებით ვერ თამაშობდა. ძალიან ძნელია, ერთი ფრონტიდან მეორეზე გადმორთვა განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ორი ძალიან განსხვავებული რანგის ტურნირს ეხება საქმე.

ევროსარბიელის შემდეგ ჯულელმა მთავარ მწვრთნელად **გიორგი დარასელიას** უხმო. „დილა" არ ყოფილა დარასელიას გემოვნებით დაკომპლექტებული გუნდი, სეზონისწინა შეკრებაც არ გაუვლია ამ მწვრთნელის ხელში, მაგრამ დარასელიამ მაინც დაატყო ხელი გუნდს - „დილამ" ეროვნულ ჩემპიონატში მიჯრით თერთმეტი შეხვედრა მოიგო. შთამბეჭდავი გამოდგა დარასელიას დებიუტი „დილაში" - პირველივე ცდაზე „დინამო თბილისი" გააკრა ბეჭზე.

რა ფეხბურთს თამაშობდა გორის „დილა"? კონცეპტუალური მომენტები ძნელად შესამჩნევი იყო, უფრო ფეხბურთელების გამოცდილება და კლასი განაპირობებდა გორული გუნდის ძლევამოსილებას. თერთმეტმატჩიანი სერიის შემდეგ „დილა" უმცროსი **დუშან უჰრინის** გუნდთან თბილისში უნიათოდ გამოიყურებოდა და 0:3 დამარცხდა. სეზონის პირველი ეტაპის დასრულებამდე „დილა" კიდევ ერთხელ დამარცხდა - შინ ქუთაისის „ტორპედოსთან".

„დილა" „დინამოს" სამი ქულით ჩამორჩება, ოღონდაც სეზონის მეორე ეტაპზე გორელებს სულ სხვა გუნდი ეყოლებათ - "დილას" შინაგან საქმეთა სამინისტრო აღარ აფინანსებს, ადგილობრივი მუნიციპალიტეტი კი გუნდს ისე ველარ შეინახავს, როგორც ამას პოლიციის დახმარებით აკეთებდა, შესაბამისად, წამყვანი ფეხბურთელები „დილადან" წასვლას აპირებენ, მამუკა ჯულელს ელოდებიან, რომ ახალი გუნდი გამოუძებნოს. „დილა" უკვე დატოვა გიორგი დარასელიამ.

არ არის კარგი, რომ აღზევებული გორის „დილა" ხანმოკლე პროექტი გამოდგა, მნიშვნელოვანი შედეგის მისაღწევად ხომ დრო არის საჭირო. როგორც უნდა იყოს, მოღონიერებულმა „დილამ" ქართული საკლუბო ფეხბურთი გამოაცოცხლა.

### მეკარე

ხორვატი **მარინ სკენდერი** ჯერ კიდევ წინა სეზონში მივიდა „დილაში". საიმედო კიპერია, ძნელია მის თამაშში ნაკლის დანახვა, სკენდერი „დილას" მართლაც რომ გამოადგა.

ხორვატი მძაფრ კონკურენციას ვერ გრძნობდა „დილაში". **ბექა შეყრილაძე** ურიგო მეკარე როდია, მაგრამ ხორვატი ისე მყარად იდგა „დილას" კარში, რომ მისი ალტერნატივა არ ჩანდა.

უშეცდომო არც სკენდერი ყოფილა. გორში ქუთაისის „ტორპედოსთან" შეხვედრაში დაალალატა გუნდი, **ელგუჯა გრიგალაშვილის** დარტყმულზე ბურთი ხელიდან გაუვარდა და **ნიკა საბანაძემ** მეკარეს შეცდომა არ აპატია.

საერთო ჯამში, „დილას" მეკარეზე სამდურავი არ უნდა ეთქმოდეს, სკენდერმა სეზონის პირველი ეტაპი სტაბილურად ჩაატარა.

### დაცვა

დაცვის ხაზს საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი ფეხბურთელები ამაგრებდნენ, კიდევ **გიორგი ონიანი**, ვისაც საქართველოს ჩემპიონატში ჭიპი აქვს მოჭრილი. ფაქტიც სახეზეა: პირველ ეტაპზე ყველაზე ნაკლები გოლი „დილამ" გაუშვა.

კარგად შეეწყო ახალ გუნდს „დინამო თბილისიდან" წამოსული **გულვერდ თომაშვილიც.** მოკლედ, „დილას" დაცვის ხაზშიც დიდი რესურსი ჰქონდა, თუ ვინმე ტრავმას მიიღებდა ან დისკვალიფიკაციის გამო მოუწევდა თამაშის გამოტოვება, სრულფასოვანი შემცვლელის მოძებნა პრობლემა არ იყო.

### ნახევარდაცვა

„დილა" ამ რგოლშიც სოლიდურად გამოიყურებოდა. „დინამო თბილისიდან" იჯარით **გოგიტა გოგუაც** აიყვანა. „დილას" არ ჰყოლია პლეიმეიკერი, ანუ ისეთი გამორჩეული შუახაზელი, ვისზეც იტყოდით, თამაში მას მიყავსო.

აღსანიშნავია ისიც, რომ „დილას" საკმაოდ აგრესიული ფლანგელები ჰყავდა - **რომან ახალკაცი** და **სანდრო გურული.** ისინი ფაქტობრივად გარემარბები იყვნენ და მეტოქეებს საკმაოდ დიდ პრობლემებს უქმნიდნენ.




დავით კვირკველია დილას ისტორიაში საიუბილეო მე-700 გოლის ავტორი გახდა

საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე **გიგა ბექვაია** გამოირჩა. დიდი პოტენციალი აქვს **ზურაბ არზიანს**, ვინც ბოლო შეხვედრებში აღარ ჩანდა ძირითად შემადგენლობაში. „ვიტ ჯორჯია" - „დილას" მატჩში არზიანი მეორე ტაიმიდან ჩაერთო და შეიძლება ითქვას, რომ თამაშიც გააკეთა...

საინტერესო შუახაზელად წარმოაჩინა თავი **მიხაილ გორელიშვილმა.** რაც შეეხება **გოჩა ხოჯავას,** მას ტრავმიანობამ შეუშალა ხელი.

### თავდასხმა

წინა სეზონში „დილას" შეტევაში პირველი კაცი **მათე ვაწაძე** გახლდათ, მან ორჯერ მოასწრო მოედანზე გასვლა მიმდინარე ეროვნულ ჩემპიონატში, მერე კი დანიურ „ორჰუსში" გადავიდა.

„დილამ" ბრაზილიელ **ნათან ჟუნიორს** უხმო, ვინც ცუდად არ გამოიყურებოდა, თუმცა ვაწაძეს ნამდვილად ვერ შევადარებთ.

ძალიან საინტერესო შემტევია 20 წლის **გიორგი ილურიძე,** თუმცა ტრავმებმა არ მისცეს იმის საშუალება, სრულად გამოევლინა შესაძლებლობები.

### საუკეთესო მატჩი

ასეთი „დინამოსთან" მოგებული თამაში იყო. გორელებმა ბოლო თოთხმეტ წუთში გატეხეს უჰრინის გუნდი, ჯერ **ირაკლი მოდებაძემ** იხეირა, მერე კი გურულმა პენალტით გაუტანა „დინამოს". მასაპინძლებმა სტუმრები უშანსოდ დატოვეს.

### ყველაზე ცუდი მატჩი

ისევ „დინამო" უნდა ვახსენოთ. თბილისში „დილამ" საინტერესო ვერაფერი ვერ შემოგვთავაზა უშუალო კონკურენტთან დაპირისპირებაში. ამ შეხვედრამ დაგვანახა, რომ მხოლოდ კარგი ფეხბურთელების თავმოყრით არ კეთდება გუნდი. „დილამ" 0:3 წააგო.

### ლიდერი

ვაწაძის წასვლის შემდეგ ასეთი ფეხბურთელი „დილაში" ვერ დავინახეთ, თუმცა **ლაშა სალუქვაძის** თამაში მაინც უნდა გამოვარჩიოთ. ევროსარბიელზე გამოცდილმა სალუქვაძემ მართლაც რიგიანად ითამაშა, ცხადია, საქართველოს ჩემპიონატშიც დიდად დაეხმარა „დილას", მაგრამ ლიდერი მაინც სულ სხვა რამეა...

### მიზანი

აბა, რა გითხრათ?! „დილას" ჯერ ახალი მთავარი მწვრთნელიც კი არ ჰყავს, ბუნდოვანია, რა დაფინანსება ექნება კლუბს, ვინ დარჩება და ვინ წავა. თუ ეს ყველაფერი მალე დალაგდება, მიზანიც მერე გამოჩნდება, მანამდე კი გაურკვევლობაა...

**დავით თავართქილაძე**

ფოტოები: fcdila.ge



გორელთა დაცვის ლიდერები ლაშა სალუქვაძე (№3) და გიორგი შაშიაშვილი

**დილას ყველა მატჩი პირველ ეტაპზე**

| | | |
|---|---|---|
| 1 ტური. | დილა - ვიტ ჯორჯია | 0:1 |
| 2 ტური. | დილა - ჩიხურა | 2:3 |
| 3 ტური. | დილა - სიონი | 2:3 |
| 4 ტური. | ზუგდიდი - დილა | 0:0 |
| 5 ტური. | დილა - დინამო | 2:0 |
| 6 ტური. | ზესტაფონი - დილა | 0:1 |
| 7 ტური. | დილა - მეტალურგი | 3:0 |
| 8 ტური. | ტორპედო - დილა | 0:1 |
| 9 ტური. | დილა -ბათუმი | 2:0 |
| 10 ტური. | კოლხეთი - დილა | 0:3 |
| 11 ტური. | დილა -მერანი | 2:1 |
| 12 ტური. | ვიტ ჯორჯია -დილა | 0:2 |
| 13 ტური. | ჩიხურა -დილა | 0:2 |
| 14 ტური. | სიონი - დილა | 0:2 |
| 15 ტური. | დილა -ზუგდიდი | 3:0 |
| 16 ტური. | დინამო -დილა | 3:0 |
| 17 ტური. | დილა - ზესტაფონი | 1:0 |
| 18 ტური. | მეტალურგი -დილა | 0:2 |
| 19 ტური. | დილა -ტორპედო | 0:1 |
| 20 ტური. | ბათუმი-დილა | 1:2 |
| 21 ტური. | დილა - კოლხეთი | 1:0 |
| 22 ტური. | მერანი - დილა | 2:3 |

მეკარეები: მარინ სკენდერი - 21 მატჩი, ბექა შეყრილაძე - 1 მატჩი;

მცველები: დავით კვირკველია - 20 მატჩი, 2 გოლი, გიორგი ონიანი - 20 მატჩი, 3 გოლი, გიორგი შაშიაშვილი - 17 მატჩი, გულვერდ თომაშვილი - 15 მატჩი,3 გოლი, ლაშა სალუქვაძე - 14 მატჩი, 1 გოლი, შოთა კაშია - 10 მატჩი, კახა ალადაშვილი - 6 მატჩი, 1 გოლი;

ნახევარმცველები: გიგა ბექვაია - 19 მატჩი, 1 გოლი, ირაკლი კლიმიაშვილი - 18 მატჩი, 2 გოლი, გიორგი კახელიშვილი - 18 მატჩი, 3 გოლი, რომან ახალკაცი - 16 მატჩი, 4 გოლი, სანდრო გურული - 15 მატჩი, 2 გოლი, გოგიტა გოგუა - 14 მატჩი, 1 გოლი, ზურაბ არზიანი — 12 მატჩი, 1 გოლი, მიხაილ გორელიშვილი - 12 მატჩი, 1 გოლი, ლაშა გვალია - 9 მატჩი, 1 გოლი, გოჩა ხოჯავა - 5 მატჩი, ლეონარდო - 5 მატჩი, ნიკოლოზ ჯიშკარიანი - 4 მატჩი, ვალერიან კაციტაძე - 3 მატჩი, 1 გოლი, გიორგი აბურჯანია - 2 მატჩი, დათა მიქაძე - 1 მატჩი

თავდამსხმელები: ნათან ჟუნიორი -13 მატჩი, 2 გოლი, ირაკლი მოდებაძე - 12 მატჩი, 4 გოლი, გიორგი ილურიძე - 3 მატჩი, მათე ვაწაძე - 2 მატჩი, 2 გოლი.

მწვრთნელები: თემურ შალამბერიძე(I–IV ტური), გიორგი დარასელია (V -XII ტური).

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები | | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები | | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები | | ქ |
| | | | | | | გატ | გაშვ | | | | | | გატ | გაშვ | | | | | | გატ | გაშვ | |
| 1 | დინამო (თბ) | 22 | 16 | 4 | 2 | 63 | 19 | 52 | 11 | 11 | 0 | 0 | 43 | 11 | 33 | 11 | 5 | 4 | 2 | 20 | 8 | 19 |
| 2 | დილა | 22 | 16 | 1 | 5 | 36 | 15 | 49 | 11 | 7 | 0 | 4 | 18 | 9 | 21 | 11 | 9 | 1 | 1 | 18 | 6 | 28 |
| 3 | ტორპედო | 22 | 14 | 3 | 5 | 41 | 18 | 45 | 11 | 9 | 1 | 1 | 25 | 7 | 28 | 11 | 5 | 2 | 4 | 16 | 11 | 17 |
| 4 | ჩიხურა | 22 | 13 | 4 | 5 | 35 | 21 | 43 | 11 | 8 | 2 | 1 | 18 | 5 | 26 | 11 | 5 | 2 | 4 | 17 | 16 | 17 |
| 5 | ზესტაფონი | 22 | 11 | 4 | 7 | 30 | 20 | 37 | 11 | 6 | 2 | 3 | 11 | 7 | 20 | 11 | 5 | 2 | 4 | 19 | 13 | 17 |
| 6 | ზუგდიდი | 22 | 10 | 5 | 7 | 27 | 26 | 35 | 11 | 8 | 2 | 1 | 19 | 10 | 26 | 11 | 2 | 3 | 6 | 8 | 16 | 9 |
| 7 | მეტალურგი | 22 | 9 | 4 | 9 | 21 | 26 | 31 | 11 | 5 | 2 | 4 | 13 | 14 | 17 | 11 | 4 | 2 | 5 | 8 | 12 | 14 |
| 8 | მერანი | 22 | 7 | 2 | 13 | 23 | 36 | 23 | 11 | 6 | 1 | 4 | 16 | 13 | 19 | 11 | 1 | 1 | 9 | 7 | 23 | 4 |
| 9 | ვიტ ჯორჯია | 22 | 5 | 7 | 10 | 15 | 29 | 22 | 11 | 1 | 5 | 5 | 7 | 12 | 8 | 11 | 4 | 2 | 5 | 8 | 17 | 14 |
| 10 | სიონი | 22 | 4 | 6 | 12 | 14 | 38 | 18 | 11 | 1 | 5 | 5 | 5 | 18 | 8 | 11 | 3 | 1 | 7 | 9 | 20 | 10 |
| 11 | დინამო (ბთ) | 22 | 3 | 4 | 15 | 22 | 47 | 13 | 11 | 2 | 1 | 8 | 11 | 21 | 7 | 11 | 1 | 3 | 7 | 11 | 26 | 6 |
| 12 | კოლხეთი | 22 | 0 | 4 | 18 | 11 | 43 | 4 | 11 | 0 | 3 | 8 | 6 | 19 | 3 | 11 | 0 | 1 | 10 | 5 | 24 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩელსი

# გერმანული კოზირი


ყველა თანხმდება, რომ ფორმაში შესულ მარკო მარინს ჩელსის გაძლიერება შეუძლია

"ჩელსიში" 23 წლის გერმანელი გარემარბის **მარკო მარინის** კარიერა იმედის მომცემად დაიწყო. მოსამზადებელ ეტაპზე გულშემატკივრებმა ის გუნდის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. ის იყო, სეზონის ოფიციალური ნაწილი უნდა დაწყებულიყო, რომ მარკომ მუხლის ტრავმა მიიღო, რის გამოც თვე-ნახევარზე მეტი გამოტოვა. ამ დროისთვის "ჩელსის" თამაშის რიტმი უკვე ნაპოვნი ჰქონდა და გერმანელიც პრაქტიკულად სათადარიგოთა სკამზე ჯდომისთვის ალმოჩნდა განწირული. მაგრამ მერე დასავლეთლონდონელებმა ფორმა დაკარგეს და **რაფა ბენიტესს** იძულებითი ცვლილებების გაკეთება მოუხდა. თამაშის შანსი (ძირითადად შეცვლებზე) მარინსაც მიეცა. "ჩელსიში" მარინის კარიერა თითქოს არ შედგა. თუმცა ახლა ამას ასე ხელაღებით უკვე ველარ ვიტყვით. ფეხბურთელმა 8 იანვარს კლუბის ოფიციალურ ვებგვერდს მისცა ინტერვიუ. აი, რას ამბობს ის:

- ყველაფერი კარგად მესმის. სეზონის სტარტზე ერთი დაზიანება არ მქონდა მოშუშებული, რომ მეორე მივილე და ამიტომაც არ მომცემია თამაშის შანსი. თუმცა ახლა თავს უკვე კარგად ვგრძნობ. ფიზიკური კონდიციები თითქმის სრულად ალვიდგინე. ეს უკვე ადვილად შესამჩნევია. მთავარია, თამაშის შანსი, რაც შეიძლება ხშირად მომეცეს. მხოლოდ ასე თუ შევძლებ ფორმის პიკზე გასვლას. ვარჯიში მნიშვნელოვანია, მაგრამ მოედანზე გატარებულ დროს ის ვერ შეცვლის. ლიგის თასი ("ჩელსი" 1/2-ფინალში წუხელ "სუონსის" უნდა შეხვედროდა) მნიშვნელოვანი ტურნირია და ჩვენ მასში გამარჯვებას ვაპირებთ. თებერვალში პირველი ტიტულის მოგება ცოტა ადრეა, მაგრამ ამას გარდა ასოციაციის თასიც გვრჩება. თუკი ამ ტურნირებზე წარმატებით ვითამაშებთ, ეს ჩემპიონატშიც წაგვადგება. პრემიერლიგაში დასახული მიზნის მიღწევა ,ყველაზე მეტად გაგვიჭირდება, მაგრამ შანსი გვაქვს და ამისთვის აუცილებლად ვიბრძოლებთ. ტიტულების მოგება ყველაზე მეტად იმ მოთამაშეებისთვის არის მნიშვნელოვანი, რომელთაც საკლუბო დონეზე ჯერ არაფერი მოუგიათ, მაგალითად ჩემთვის. კარიერის განმავლობაში მხოლოდ ევროპის ახალგაზრდული პირველობა მაქვს მოგებული გერმანიის ნაკრებში. „ვერდერის" შემადგენლობაში მითამაშია გერმანიის თასის ფინალშიც, მაგრამ იქ "ბაიერნთან" წავაგე. "ჩელსიში" გატარებულ პირველივე სეზონში რაიმეს მოგება ჩემთვის უდიდესი მიღწევა იქნება. ამისთვის კი სეზონის დარჩენილ ნაწილში ყველაფერს გავილებ.

ვარსკვლავი


გადის წლები, მაგრამ 37 წლის დევიდ ბექჰემის პოპულარობას არაფერი აკლდება

# ბექჰემი ჯერ კიდევ მოდაშია

## ყატარელები ვეტერანს სეზონში 10 მილიონ ფუნტს სთავაზობენ

დეკემბრის ბოლოს "ლოს ანჯელეს გალაქსისთან" კონტრაქტის ამოწურვის შემდეგ, სადაც მან ხუთი წელიწადი გაატარა, ინგლისის ნაკრების ყოფილი კაპიტანი **დევიდ ბექჰემი** ოფიციალურად უმუშევარია და ამბობენ, რომ ახალ კლუბს ჯერ კიდევ ეძებს. ყოველ შემთხვევაში მას ჯერ არსად დასცდენია, რომ ფეხბურთიდან წასვლას აპირებს. დევიდს პრემიერლიგური კლუბებიდან რამდენიმე შეთავაზება ჰქონდა კიდეც. მაგალითად, მასთან თანამშრომლობას "ვესტ ჰემი" და "ქუინზ პარკი" გეგმავდნენ, მაგრამ ვარსკვლავს დედაქალაქური კლუბებისგან თავი ჯერჯერობით შორს უჭირავს. მან ჩინური კლუბების კონტრაქტების განხილვაც არ ისურვა, არადა, აზიელები ნამდვილად სარფიან პირობებს სთავაზობდნენ. ვეტერანი შობა-ახალწელს სამშობლოში შეხვდა, მას მერე ლონდონშია და ამ ეტაპზე მხოლოდ ისვენებს.

და აი, უკანასკნელი ინფორმაციით მას ერთ-ერთი ყატარული კლუბი იწვევს. ნამდვილად ვერ გეტყვით, წმინდა საფეხბურთო თვალსაზრისით რითი შეიძლება სჯობდეს ყატარული ლიგაში თამაში ჩინეთის ჩემპიონატს და რითი შეიძლება მოხიბლონ მათ ისედაც შეძლებული ფეხბურთელი, მაგრამ ფაქტი ერთია, ბრიტანული ტაბლოიდების მტკიცებით, უკანასკნელები მზად არიან ბექჰემს 2-წლიან კონტრაქტში 20 მილიონი ფუნტი (24,5 მილიონი ევრო) გადაუხადონ. *"ყატარელები დარწმუნდნენ, თუ რა ძალა აქვს დევიდ ბექჰემს და რამდენად შეუწყო მან ხელი ამერიკის საფეხბურთო ჩემპიონატის პოპულარიზაციას. ისინი დარწმუნებულები არიან, რომ დევიდი ერთადერთი ფეხბურთელია მსოფლიოში, რომელსაც მათი ჩემპიონატის იმიჯის შეცვლა შეუძლია,"* – განუცხადა ინკოგნიტო წყარომ გაზეთ "სანს".

ფიფა

# დაგეგმილი რევოლუცია სატრანსფერო ბაზარზე


ფიფას ალმასკომის წევრი ჟაკ ანუმა

**ლიონელ მესისთვის** "ოქროს ბურთის" გადაცემის მეორე დღეს ფიფას აღმასრულებელი კომიტეტის 2013 წლის პირველი სხდომა გაიმართა, რომელზეც ორგანიზაციის ხელმძღვანელმა **ზეპ ბლატერმა** გასული კალენდარული წლის სტატისტიკური ანალიზი გააკეთა. ფიფა ამავე სხდომაზე მთელ მსოფლიოს სატრანსფერო ბაზრის რეორგანიზაციას დაჰპირდა. პრეზიდენტის მოხსენებიდან პირველ რიგში ის შევიტყვეთ, რომ ფიფამ იაპონიაში გამართული საკლუბო ჩემპიონატის ტრანსლაციები 205 ქვეყანაში გაყიდა, რამაც მოსალოდნელზე მეტი შემოსავალი მოიტანა. კიდევ უფრო უხვ "მოსავალს" ელიან მიმდინარე წელს მაროკოში გასამართი საკლუბო ჩემპიონატისგან. აფრიკის კონტინენტზე ეს ტურნირი 11-დან 21 დეკემბრამდეა დაგეგმილი.

სტატისტიკიდან საინტერესოდ მოგვეჩვენა ტრანსფერების საერთო რაოდენობა – 11 555. ყველაზე ხშირად ფეხბურთელები პორტუგალიის ჩემპიონატიდან ბრაზილიაში მიდიოდნენ სათამაშოდ. ყველაზე დიდი მოთხოვნით მსოფლიოში სწორედ ბრაზილიელი ფეხბურთელები სარგებლობდნენ. აგენტებისთვის გადახდილი წილი საერთო თანხის 28%-ს გაუტოლდა. ბაზარზე წესრიგის დასამყარებლად გეგმის შემუშავებას ფიფას აღმასრულებელი კომიტეტის წევრი **ჟაკ ანუმა** უდგას სათავეში. მისი თქმით, ფეხბურთის მმართველი ორგანიზაცია ხელს შეუწყობს ტრანსფერებით დაინტერესებულ კლუბებს ფეხბურთელებზე ამომწურავი ინფორმაციის მოძიებაში და ამისთვის ცალკე საინფორმაციო ბაზა შეიქმნება. ანუმა შეგვპირდა, რომ ახალი პროგრამა ნამდვილ გადატრიალებას მოახდენს ამ ბაზარზე.

დაბოლოს, გეტყვით, რომ თითოეული კლუბი, ვისი წარმომადგენელიც 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გაემგზავრება, ფიფასგან ყოველი მათგანისთვის დღეში 2 850 აშშ დოლარის კომპენსაცია მიიღებს. 2010 წელს ეს თანხა თითქმის ორჯერ ნაკლებს, 1600 დოლარს შეადგენდა.

ამბები

## ლივერპული ზაფხულამდე მოიცდის

"ტელეგრაფის" ცნობით, მიუხედავად დიდი ძალისხმევისა, "ლივერპულს" იანვარში "ბლექპულიდან" **ტომ ინსის** შეძენა ძალიან გაუჭირდება. ჩემპიონშიპის წარმომადგენელი 20 წლის შემტევი ნახევარმცველის გაყიდვაზე უარს აცხადებს. მიზეზი მარტივია, 6 მილიონიდან, რასაც მერსისაიდელები იხდიან, 35% მათ უკანვე დაუბრუნდებათ, რადგან ინსი 1,5 წლის წინ სწორედ "ლივერპულიდან" გადავიდა. სატრანსფერო დოკუმენტეციაში კი წერია, რომ ფეხბურთელის მომავალი ტრანსფერებიდან მის აღმზრდელ კლუბს ეს წილი ეკუთვნის. ამას გარდა, თავად ინსი სატრანსფერო თანხის 10%-ს ნაილებს და ესეც სრულიად კანონიერია. კონტრაქტში ესეც გათვალისწინებულია. რა გამოდის? "ბლექპულს" 6 მილიონიდან მხოლოდ 3,4 მილიონი რჩება და ისიც საგადასახადო ვალდებულებების ჩაუთვლელად. "დეილი მეილის" ცნობით, "ბლექპული" "ლივერპულს" სუფთა 6 მილიონის გადახდას სთხოვს, რაზეც მერსისაიდელები უარს არიან. ისინი ზაფხულამდე მოცდას არჩევენ, რადგან ივლისში ფეხბურთელი თავისუფალი აგენტი ხდება.

## აუტსაიდერი ცდილობს

"რედინგის" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, კლუბმა ქვედალიგელი "ქროულიდან" 21 წლის საყრდენი ნახევარმცველი **ჰოუპ აკპანი** გადაიბირა. მართალია, ის 2 წლის განმავლობაში ირიცხებოდა "ევერტონის" შემადგენლობაში, მაგრამ პრემიერლიგაში ერთხელაც არ დაუცავს მერსისაიდელთა ღირსება. ცოტა ხანი ის "ჰალ სიტიშიც" ირიცხებოდა, რის მერეც "ქროულის" მიაშურა და აი, ის კიდევ ერთხელ იღებს უმაღლეს დონეზე თავის გამოჩენის შანსს. აკპანის გარდა "არისტოკრატებს" კიდევ ერთი ხმაურიანი ტრანსფერი აქვთ დაგეგმილი. „ტაიმსის" ცნობით, მათ "მანჩესტერ იუნაიტედს" ოფიციალურად მიმართეს 22 წლის **დენი უელბეკის** 6-–თვიან იჯარასთან დაკავშირებით.

## უისდომის ახალი კონტრაქტი

გუშინ "ლივერპულის" ოფიციალურმა ვებგვერდმა პერსპექტიულ მარჯვენა მცველთან, 19 წლის **ანდრე უისდომთან** ახალი 5-წლიანი კონტრაქტის გაფორმება დაადასტურა. ხელშეკრულების ფინანსური დეტალები არ ხმაურდება. *"ჩემთვის უდიდესი პატივია საყვარელ კლუბთან ხანგრძლივ თანამშრომლობაზე შეთანხმება. ამ წუთას უსაშველოდ ბედნიერი ვარ,"* – განაცხადა აღფრთოვანებულმა ფეხბურთელმა.

## სუონსის კიდევ ერთი ესპანელი

"დეილი ტელეგრაფის" ცნობით, თითქმის გადაწყვეტილია, რომ "ბეტისის" 25 წლის ნახევარმცველი **ხოსე კანიასი** უახლოეს დღეებში უელსს ეწვევა და "სუონსის" ბაზაზე სამედიცინო შემოწმების გავლის შემდეგ კლუბთან 3-წლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს. "გედებს" გარიგება 750 ათასი ფუნტი დაუჯდებათ. სევილიური კლუბი უბრალოდ იძულებულია ამ თანხას დასჯერდეს, რადგან კანიასი ზაფხულზე თავისუფალი აგენტი ხდება.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

მანჩესტერ იუნაიტედი

# რეზერვისტებზე დიდი მოთხოვნაა

"მანჩესტერ იუნაიტედის" აკადემია გავლილ ფეხბურთელებზე ბოლო ორი ათეული წელია მოთხოვნა არა და არ მცირდება. ცხადია, **ალექს ფერგიუსონის** სტატუსი ბევრს ნიშნავს, მაგრამ მარტო ეს არ კმარა. სკოლა მსურველებს ხარისხიან "პროდუქციას" აწვდის. ასე მაგალითად, ამ დღეებში ჩემპიონშიპის მეორეადგილოსანმა "ჰალ სიტიმ" "ეშმაკებისგან" 20 წლის ირლანდიელი შემტევი ნახევარმცველი **რობი ბრეიდი** გამოისყიდა და მასთან 3,5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. ტრანსფერის ღირებულებაზე ვერაფერს მოგახსენებთ. ინგლისური წყაროები ამაზე დუმან.

Peterborough Telegraph-ის ცნობით კი "პიტერბორომ" ("ჰალისგან" განსხვავებით ის ჩემპიონშიპის აუტსაიდერია) "იუნაიტედისგან" ორი ფეხბურთელი წაიყვანა იჯარით. **დავიდე პეტრუჩიც** (ნახევარმცველი) და **სკოტ ვუტონიც** (მცველი) 21 წლისანი არიან. უკანასკნელი "ლონდონ როუდ სტედიუმზე" წინა სეზონში უკვე თამაშობდა და მიუხედავად იმისა, რომ მას "ბირმინგემი" და "ბლექბერნი" იწვევდნენ, უკან დაბრუნება გადაწყვიტა.

დაბოლოს, რაკი "იუნაიტედის" ტრანსფერებზე ვლაპარაკობთ, აქვე გეტყვით, რომ ბრიტანული გაზეთების ცნობით, "ეშმაკები" "კრისტალ პალასის" ფეხბურთელის, 20 წლის **უილფრიდ ზაასთვის** ბრძოლაში ფავორიტებად გადაიქცნენ. აქამდე ფეხმარდი გარემარბის ხელში ჩაგდების ყველაზე მეტ შანსს "არსენალი" ფლობდა. "იუნაიტედი" დათანხმდა ტრანსფერის სრულყოფის შემდეგ სეზონის დასრულებამდე ზაას ლონდონურ კლუბში იჯარით დატოვებას.


რობი ბრეიდი ვეფხვებს უბრუნდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

## ამბები

### მუსა სისოკოზე დიდი მოთხოვნაა

საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველ **მუსა სისოკოს**, "ტულუზთან" კონტრაქტი სეზონის ბოლოს უსრულდება და მის გახანგრძლივებას არც აპირებს. ფრანგული L'Equipe-ის ინფორმაციით, სისოკოს შეძენით საკმაოდ ბევრი კლუბია დაინტერესებული. ინგლისური კლუბების გარდა ("ნიუკასლი", "სანდერლენდი", "ტოტენჰემი" და "ლივერპული"), 22 წლის ფეხბურთელის გადაბირება "მონაკოს" და "მარსელს" სურთ. ჯერჯერობით, რბოლაში მთავარ ფავორიტად "მონაკო" მოჩანს, რომელიც მზადაა სისოკოს თვეში, ხელფასის სახით 300 000 ევრო გადაუხადოს.

მუსა სისოკო "ტულუზის" ახალგაზრდული აკადემიის აღზრდილი გახლავთ და მთელი კარიერა ამ კლუბში აქვს გატარებული. 2007 წლიდან მოყოლებული, სისოკომ "ტულუზის" ღირსება 189-ჯერ დაიცვა და 20 გოლი გაიტანა, საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებში კი 5 თამაში ჩაატარა, თუმცა ჯერ გოლი არ გაუტანია.

### სენტ ეტიენი ლაუდრუპით გაძლიერდა

ლეგენდარული **მიკაელ ლაუდრუპის** შვილი, "ნორდსიელანდის" ნახევარცმველი **ანდრეას ლაუდრუპი**, კარიერას საფრანგეთის ყველაზე ტიტულოვან კლუბში გააგრძელებს. "სენტ ეტიენის" პრესატაშეს განცხადებით, 22 წლის ნახევარმცველთან ყველაფერი შეთანხმებულია და სამედიცინო ტესტის გავლის შემდეგ, მასთან კონტრაქტიც გაფორმდება.

ანდრეასმა მთელი თავისი პროფესიონალური კარიერა "ნორდსიელანდში" გაატარა, სადაც 2009 წლიდან ირიცხება. მიუხედავად იმისა, რომ ბარსელონაშია დაბადებული, ლაუდრუპმა თამაში დანიის ნაკრებში გადაწყვიტა, სადაც ეროვნული ნაკრების გარდა, ყველა ასაკობრივ გუნდში აქვს ნათამაშები.

### ბაპტიშტა შეიძლება ვასკოში გადავიდეს

ბრაზილიური "ლანსნეტის" ინფორმაციით, "ვასკო და გამა" **ჟულიო ბაპტიშტას** შეძენით არის დაინტერესებული. 31 წლის ნახევარმცველი, ბოლო პერიოდში ტრავმას ხშირად იღებს და "მალაგას" თითქმის ვერ ეხმარება, მაგალითად ამ სეზონში ბრაზილიელს საერთოდ არ უთამაშია. შესაძლო ტრანსფერთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარი არც ერთ მხარეს არ გაუკეთებია.

ბაპტიშტა ანდალუსიურ კლუბში 2011 წლის იანვარში გადავიდა და კლუბს პრიმერაში ადგილის შენარჩუნებაში დაეხმარა. სულ, ორი წლის განმავლობაში, ბრაზილიელმა "მალაგას" რიგებში 15 თამაში ჩაატარა და 10 გოლი გაიტანა, რომელთაგანაც რამდენიმე ულამაზესთა კატეგორიიდან იყო.

შეგახსენებთ, რომ ბაპტიშტა "მალაგას" გარდა, "სან პაულოს", "სევილიას", "რეალის", "არსენალის" და "რომას" რიგებში თამაშობდა. განსაკუთრებით კარგად ნახევარმცველმა "სევილიაში" ითამაშა, სადაც გუნდის მაშინდელმა მწვრთნელმა **ხოაკინ კაპაროსმა** შემტევ ნახევარმცველად აქცია და ბაპტიშტამ ორ სეზონში 38 გოლი გაიტანა.

### იზმაილოვი პორტუში, მიგელ ლოპეში სპორტინგში

პორტუგალიური ფეხბურთის გრანდებმა ფეხბურთელები გაცვალეს – რუსი **მარატ იზმაილოვი** ლისაბონის "სპორტინგიდან" "პორტუში" გადავიდა და კლუბთან კონტრაქტი 2015 წლამდე გააფორმა, პორტუგალიის ნაკრების მცველი **მიგელ ლოპეში** კი, რომელიც "პორტუს" შარშანწინ "ბეტისში", შარშან კი "ბრაგაში" ჰყავდა განათხოვრებული, კარიერიას "სპორტინგში" გააგრძელებს.

30 წლის იზმაილოვი "სპორტინგში" 2007 წლიდან ირიცხებოდა, თუმცა ბოლო წლებში ძირითადში მოხვედრა უჭირდა. წელს, რუსმა შემტევმა ლისაბონური კლუბის რიგებში 7 თამაში ჩაატარა და გოლის გატანა ვერ მოახერხა.

26 წლის ლოპეშმა ამ სეზონში სულ ორჯერ ითამაშა და მიუხედავად იმისა, რომ მცველი გახლავთ, ამ მცირე დროში ერთი გოლის გატანაც მოასწრო.

**ტატო ბაციკაძე**

## კოპა ამერიკა. U-20

# მომავლის კოპა ამერიკა

**დღეს, თბილისის დროით დილის საათებში, არგენტინაში 20-წლამდელთა კოპა ამერიკა დაიწყო. გარდა თავისი პირდაპირი დანიშნულებისა, ეს ტურნირი ასევე მუნდიალის საკვალიფიკაციო ეტაპიც გახლავთ. ზაფხულში, თურქეთში გასამართი მსოფლიოს 20-წლამდელთა ჩემპიონატის საგზურს, სამხრეთ ამერიკის 4 საუკეთესო ნაკრები მოიპოვებს.**

### ისტორია

სამხრეთ ამერიკის 20-წლამდელთა ჩემპიონატი 26-ედ გაიმართება. პირველი გათამაშება 1954 წელს, ვენესუელაში გაიმართა და ის ურუგვაის ნაკრების გამარჯვებით დასრულდა. ყველაზე ტიტულოვანი გუნდი ბრაზილიის ნაკრები გახლავთ, რომელიც 11-გზის ჩემპიონია, მეორე ადგილზე 7 საჩემპიონო ტიტულით ურუგვაია, მესამე კი არგენტინა, რომელიც კონტინენტის საუკეთესო გუნდი 4-ჯერ გახდა. გარდა ამ სამი გრანდისა, ტიტული მოგებული აქვთ კოლუმბიას (2-ჯერ) და პარაგვაის (ერთხელ). ტურნირში მონაწილე დანარჩენ ხუთ ნაკრებს (ჩილე, პერუ, ვენესუელა, ეკვადორი, ბოლივია) მთავარი ჯილდო არასდროს მოუგია.

ბოლო სამი ტურნირი ბრაზილიის ნაკრების გამარჯვებით დასრულდა. 2011 წელს, აქამდე გამართულ ბოლო ახალგაზრდულ კოპა ამერიკაზე, ბრაზილიელებმა მხოლოდ არგენტინასთან წააგეს და ზედიზედ მესამე ტიტულს დაეუფლნენ. იმ ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი, 9 გატანილი გოლით, **ნეიმარი** გახდა, გუნდს კი "სან პაულოს" ამჟამინდელი დამრიგებელი **ნეი ფრანკო** წვრთნიდა, რომელმაც იმავე წლის ზაფხულში "სელესაოს" 20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატიც მოაგებინა.

ამ ტურნირზე ყოველთვის უამრავი ამომავალი ვარსკვლავი თამაშობს. ამაში დასარწმუნებლად, საკმარისია წინა ტურნირების რამდენიმე ბომბარდირს გადავხედოთ: **ენცო ფრანჩესკოლი** (1981 წელს), **რომარიო** (1985 წელს), **ადრიანო** (2001 წელს), **ფერნანდო კავენაგი** (2003 წელს), **უგო როდალეგა** (2005 წელს), **ედინსონ კავანი** (2007 წელს), **ნეიმარი** (2011 წელს)...

არგენტინაში ახალგაზრდული კოპა ამერიკა მესამედ გაიმართება. 1988 წელს მასპინძლებმა მესამე ადგილი დაიკავეს, ტიტული კი ბრაზილიას დაუთმეს, აი 1999 წელს კი გამარჯვება "ალბისელესტემ" მოიპოვა. 9 გოლით საუკეთესო ბომბარდირი **ლუსიანო გალეტი** გახდა, ნაკრებში კი გალეტის გარდა, **გაბრიელ მილიტო, ესტებან კამბიასო, ალდო დუშერი, ერნესტო ფარიასი** და **პაბლო აიმარი** თამაშობდნენ.

### რეგლამენტი

10 ნაკრები ორ ჯგუფშია განაწილებული. თითოეული ჯგუფიდან, მომდევნო ეტაპზე, 3-3 საუკეთესო გადის. ეს 6 გუნდი ფინალურ ჯგუფს შექმნის, რომელიც გაარკვევს კიდეც გამარჯვებულის ვინაობას.

კენჭისყრის შედეგად, გუნდები ჯგუფებში ასე გადანაწილდნენ:

A ჯგუფი: **არგენტინა, ბოლივია, ჩილე, კოლუმბია და პარაგვაი.**

B ჯგუფი: **ბრაზილია, ურუგვაი, ეკვადორი, პერუ და ვენესუელა.**

პირველი ჯგუფური ეტაპი 10-დან 19 იანვრამდე გაგრძელდება, ხოლო ფინალური ეტაპი 21 იანვარს დაიწყება და ბოლო ტური 3 თებერვალს გაიმართება.

### შემადგენლობები

ალბათ ბევრს გაინტერესებთ, რომელი ფეხბურთელები დაიცავენ არგენტინის და ბრაზილიის ნაკრების ღირსებას. აი, ვინ გამოიძახეს **მარსელო ტრობიანიმ** (არგენტინა) და **ემერსონ ავილამ** (ბრაზილია).

**არგენტინის ნაკრები:**

**მეკარეები:** ვალტერ ბენიტესი (კილმესი), ანდრეს მერინგი (კოლონი), ხუან მუსო (რასინგი).

**მცველები:** ლისანდრო მაგალიანი (ბოკა ხუნიორსი), კარლოს რუისი (რივერ პლეიტი), ალან აგირე (ბოკა ხუნიორსი), ხონათან ვალე (ნიუელსი), ლაუტარო ჯანეტი (ველეს სარსფილდი), ლუკას როდრიგესი (არხენტინოს ხუნიორსი), ეროს მედალია (ველეს სარსფილდი).

**ნახევარმცველები:** ლუკას რომერო (ველეს სარსფილდი), ალან რუისი (სან ლორენსო), ადრიან სენტურიონი (რასინგი), აგუსტინ ალიონე (ველეს სარსფილდი), მარკოს ფერნანდესი (კოლონი), მანუელ ლანსინი (რივერ პლეიტი), ფედერიკო კარტაბია (ვალენსია), ხუან იგნასიო კავალიარო (უნიონი).

**თავდამსხმელები:** ხუან მანუელ იტურბე (რივერ პლეიტი), ლუსიანო ვიეტო (რასინგი), ლუკას მელანო (ბელგრანო).

**ბრაზილიის ნაკრები:**

**მეკარეები:** მატეუსი (კორინთიანსი), ლუის გუსტავო (ვიტორია).

**მცველები:** უოლასი (ფლუმინენსე), დორია (ბოტაფოგო), ანტონიო კარლოსი (კორინთიანსი), დუგლას სანტოსი (ნაუტიკო), იგორ ჟულიაო (ფლუმინენსე), სამირი (ფლამენგო), მანსური (ვიტორია), ლუანი (ვასკო და გამა).

**ნახევარმცველები:** ჟადსონი (ბოტაფოგო), ფელიპე ანდერსონი (სანტოსი), რაფაელ ალკანტარა (ბარსელონა), მისაელი (გრემიო), ლუკას კანდიდო (ატლეტიკო მინეირო), მატეუს ოლივერია (ფლამენგო), ფრედი (ინტერნასიონალი), ადრიანი (ფლამენგო).

**თავდამსხმელები:** მარკოს ჟუნიორი (ფლუმინენსე), ადემილსონი (სან პაულო), ბრუნო მენდეში (ბოტაფოგო), ლეანდრო (გრემიო).



რაფაელ ალკანტარა

იმის გამო, რომ ტურნირი იანვარში იმართება, ორივე ნაკრებს საკმაოდ სერიოზული დანაკლისი აქვს, რადგან მწვრთნელებმა ევროპაში მოთამაშე უამრავი ახალგაზრდა ფეხბურთელი ვერ გამოიძახეს. მიუხედავად ამისა, ორივე გუნდში ძალიან ბევრი საინტერესო მოთამაშეა – არგენტინელებს შეტევაში ოთხი უნიჭიერესი ახალგაზრდა, **მანუელ ლანსინი, ლუსიანო ვიეტო, ხუან მანუელ იტურბე** და **ადრიან სენტურიონი** ჰყავთ. ბრაზილიელთა მხრიდან კი, შესაბამისად, "ჩელსისა" და "იუვენტუსში" გადასასვლელად გამზადებული **უოლასი** და **დორია** უნდა გამოვყოთ. გარდა ამისა, სერია A-ში საკუთარი შესაძლებლობები უკვე დაამტკიცეს **ჟადსონმა, ფელიპე ანდერსონმა** და **ბრუნო მენდეშმა**. განსაკუთრებულ ყურადღებას კი, რა თქმა უნდა, **რაფაელ ალკანტარა** მიიქცევს, რომელმაც ძმისგან განსხვავებით, მამის სამშობლოს ღირსების დაცვა გადაწყვიტა.

**ტატო ბაციკაძე**

## შალკე



„შალკეს" კაპიტან ბენედიქტ ჰიოვედესს და მთავარ მწვრთნელ იენს კელერს ბევრი საფიქრალი აქვთ

# ვნებათაღელვა გელზენკირხენში

### ჰელდტმა აფელაის შემცვლელს კიევში მიაგნო?

„შალკემ" ეს სეზონი ბრწყინვალედ დაიწყო, მაგრამ პირველი წრის მიწურულს აურია, მწვრთნელიც შეუცვალეს და 17 ტურის შემდეგ მეშვიდე ადგილზეა. როგორც იცით, გელზენკირხენული კლუბის ახალი დამრიგებელი **იენს კელერია**, რომელზეც „შალკეს" შეფებმა დიდი იმედები დაამყარეს, მაგრამ ჯერჯერობით „გვირაბის ბოლოს სინათლე" არ ჩანს. მართალია, კელერს ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი ჰყავს ტრავმირებული, მაგრამ „ბაიერნთან" ამხანაგურ მატჩში 0:5-ზე განადგურება გელზენკირხენში მაინც ძალიან მტკივნეულად აღიქვეს.

**იბრაჰიმ აფელაის** და **კრისტოფ მორიტცის** ტრავმებზე ამას წინათაც ვწერდით და გუშინ გუნდთან ერთად ვარჯიში ვერც **მარკო ჰიოგერმა, კრისტოფ მეტცელდერმა, ჯერმეინ ჯონსმა** და **ჯოელ მატიპმა** შეძლეს. თუმცა მათი ტრავმები სერიოზული არაა. აი, მორიტცი (4-5 კვირა) და აფელაი (მინიმუმ ორი თვე) კი გუნდს დიდხანს ველარ დაეხმარებიან.

„კიკერის" ინფორმაციით, „შალკეს" მენეჯერი **ჰორსტ ჰელდტი** კიევის „დინამოს" ბრაზილიელი წინახაზელის, **რაფაელის** გადაბირებაზე ფიქრობს და დიდი შანსია, რომ ფეხბურთელი, რომელსაც ბუნდესლიგაში თამაშის დიდი გამოცდილება აქვს (110 მატჩი პირველ და 30 მატჩი მეორე ბუნდესლიგაში, „ჰერტას" რიგებში), სეზონის ბოლომდე ინათხოვროს.

რაც შეეხება მიზნებს: *„ბაიერნთან" ძალიან ცუდად ვითამაშეთ და იმედია, შეცდომებზე ვისწავლით. სეზონის მეორე ნახევარში ჩვენი მიზანი ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება იქნება,"* - უთხრა კელერმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს.

**გოტფრიდ ლენცი**

## მოსალოდნელი ტრანსფერი

# სალაის რიგი დაუდგა

### არსენალი, ვოლფსბურგი, დორტმუნდი - სად გადავა უნგრელი ფორვარდი?

„მაინცის" უნგრელი თავდამსხმელი **ადამ სალაი** ამ სეზონში ძალიან კარგად ასპარეზობს (9 გოლი ბუნდესლიგაში), რის გამოც ბევრი მთხოვნელი გამოუჩნდა. 25 წლის ცენტფორვარდის გადაბირება ლონდონის „არსენალს", „ვოლფსბურგს" და დორტმუნდის „ბორუსიას" სურთ. ლონდონელთა თავკაც **არსენ ვენგერს ოლივიე ჟირუს** სახით მხოლოდ ერთი მაღალი კლასის ცენტრალური თავდამსხმელი ჰყავს და სალაი სწორედ მისი დამზღვევის რანგში სჭირდება.

მაინცელებს სალაის (კონტრაქტი 2015 წლამდე) დაკარგვის პერსპექტივა არ ხიბლავთ, მაგრამ, კონკრეტული შეთავაზების შემთხვევაში, ტრანსფერზე უარის თქმა გაუჭირდებათ. თუკი „არსენალს" სალაის გადაბირება ახლავე უნდა, ვოლფსბურგელებისა და დორტმუნდელებს მისი შეძენა ზაფხულში სურთ.

**გოტფრიდ ლენცი**



ადამ სალაის ანგარიშზე ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონში 9 გოლია

ეროვნული ბიბლიოთეკა

● იტალიის თასი. 1/4 ფინალი

# ლაციოს იოლი გამარჯვება



ერნანესმა "კატანიასთან" დუბლი შეასრულა

**ლაციო–კატანია 3:0**

**გოლები:** 1:0 რადუ (30), 2:0 ერნანესი (61), 3:0 ერნანესი (90).

**ლაციო (4-5-1):** ბიძარი - კავანდა (78. ბრონკი), ბიავა, ცანა, რადუ (86. სიანი) - ლედესმა, გონსალესი, ერნანესი, კანდრევა (67. კონკო), ლულიჩი - ფლოკარი.

**კატანია (4-3-3):** ფრიზონი - კაპუანო (84. რიკიუტი), ლეგროტალიე, ბელუში, როლინი - ალმირონი, ისკო, ლოდი - ბარიენტოსი (68. კასტრო), გომესი, ბერგესიო (84. დუკარა).

[illegible] რომ ვთქვათ, **ვლადიმირ პეტკოვიჩმა** კრიზისში მყოფი "ლაციო" ჩაიბარა და ერთიანად გარდასახაო, არ ვიქნებით მართალნი, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მის ხელში რომაული გუნდი შესანიშნავად ასპარეზობს. შესაძლოა, ეს უფრო შედეგებზე ითქმის, ვიდრე თამაშის სანახაობრივ მხარეზე, მაგრამ მწვრთნელის მუშაობა რომ სწორედ შედეგებით ფასდება, ცხადზე უცხადესია. "ბიანოჩელესტე" სერია A-ს სატურნირო ცხრილში მეორე ადგილს იკავებს, იტალიის თასზე კი ნახევარფინალშია გასული. დიახ, პირველი მეოთხედფინალური ჯახი "სტადიო ოლიმპიკოზე" გაიმართა, რომაელებმა "კატანიას" უმასპინძლეს და სამი უპასუხო გოლი მიართვეს.

მატჩის დაწყებიდან ნახევარი საათი იყო გასული, როდესაც მასპინძლებმა კუთხური ჩააწოდეს, **სტეფან რადუმ** კი თავური დარტყმით ბურთი კარის ბადეში გაახვია. მეორე ნახევარში **ერნანესმა** გაიბრწყინა და ორი მეტად ეფექტური გოლი გაიტანა - პირველ შემთხვევაში, რამდენიმესვლიანი კომბინაცია დააბოლოვა, ზედ საფინალო სასტვენის წინ კი ინდივიდუალური ოსტატობა გამოავლინა და სოლორეიდი ტექნიკური დარტყმით დააგვირგვინა. დედაქალაქელებს კიდევ ბევრჯერ შეეძლოთ გატანა, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში სცოდავდნენ. მოკლედ, "ლაციომ" ყველა კომპონენტში დაჯაბნა მეტოქე და ნახევარფინალში სრულიად დამსახურებულად გავიდა.

მატჩის შემდეგ, ვლადიმირ პეტკოვიჩმა შეგირდები შეაქო: *"ბედნიერი ვარ, რომ ასეთ პროფესიონალებთან მიწევს მუშაობა. ვშიშობდი, რომ ფეხბურთელები სათასო პაექრობისთვის სათანადოდ ვერ განეწყობოდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა. ბოლომდე ვიბრძოლეთ, მეტოქეს ყველა კომპონენტში ვაჯობეთ და დამსახურებულად გავიმარჯვეთ. "ბიანკოჩელესტე" დიდი ტრადიციების გუნდია, მაგრამ მეორე მხრივ, ტიფოზები ტროფეებით განებივრებულნი არ არიან - ამიტომ, თითოეულ გათამაშებას და თითოეულ პაექრობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ყველაზე მეტად მაინც ის მახარებს, რომ საუკეთესო "ლაციო" ჯერ კიდევ არ გვინახავს - გაზაფხულზე ფორმის პიკზე გავალთ, ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული".*



● მოსაზრება

# მესიჯი ნეაპოლიდან

## მაცარი: ბალოტელის იოლად გავუგებდი

**მარიო ბალოტელი** უკვე 22 წლისაა, მაგრამ მის დაჭკვიანებას აღარ დაადგა საშველი... იტალიელ ფორვარდს მუდმივი პრობლემები აქვს **რობერტო მანჩინისთან** და თუ გუნდი არ გამოიცვალა, შეიძლება სათამაშო პრაქტიკის გარეშე დარჩეს. ბევრჯერ ითქვა იმის შესახებ, რომ მარიოს გადაბირება "მილანის" მესვეურებს სურთ, მაგრამ ფაქტია, რომ ლომბარდიელები ამ ინფორმაციას არ ადასტურებენ. პირიქით, **სილვიო ბერლუსკონიმ** არაერთხელ განაცხადა, რომ მარიო "როსონერის" გეგმებში არ შედის. სამაგიეროდ, "ნაპოლის" მთავარმა მწვრთნელმა **ვალტერ მაცარიმ** გამოთქვა ბალოტელის გადაბირების სურვილი და შემდეგი განაცხადა:

*"სატრანსფერო ბაზარზე უფრო მეტად ვიაქტიურებდით, მაგრამ საქმეც იმაშია, რომ გაძლიერების რეალურ რესურს ვერ ვხედავთ. რამდენიმე სასურველი მოთამაშე მონიშნული მყავს, მაგრამ მათი გადაბირება ურთულესი საქმეა. ერთ-ერთი მათგანი მარიო ბალოტელი გახლავთ, რომლის მანჩესტერული მომავალი კითხვის ნიშნის ქვეშაა. თუ ინგლისელები მარიოში კოლოსალურ თანხას არ მოითხოვენ, მის შეძენაზე აუცილებლად დავფიქრდებით. ხასიათი? - ბალოტელის პირისპირ არასდროს შევხვედრივარ, მაგრამ ჩემი შეგირდებისგან ვიცი, რომ ძალიან მხიარული და კარგი ადამიანია. კრისტიან მაჯო, მორგან დე სანქტისი და "სკუადრა აძურას" სხვა წევრები მას მხოლოდ დადებითად ახასიათებენ. ვფიქრობ, ყველა ის თვისება მაქვს, რომელიც მასთან მუშაობას და ურთიერთობას გამიადვილებს. სიამოვნებით ვიხილავდი მარიოს "ნაპოლის" მაისურით და მინდა ეს თვითონაც იცოდეს".*



ვალტერ მაცარის მარიო ბალოტელისთან მუშაობა სურს

● მილანი

# შავ-წითელთა სატრანსფერო გეგმები

## ოგბონა, შაჰინი, დესტრო



მატია დესტრო მილანელთა სამიზნეშია

**"კორიერე დელო სპორტში"** მეტად საინტერესო სტატია გამოქვეყნდა - ავტორიტეტული გამოცემა ირწმუნება, რომ სანდო წყაროზე დაყრდნობით, "მილანის" ზამთრის სატრანსფერო გეგმებს მიაკვლია. რაც არ უნდა ბევრს ლაპარაკობდეს სილვიო ბერლუსკონი ფინანსურ "ფეარ პლეიზე", ფაქტია, რომ გუნდი გაძლიერებას საჭიროებს და წინააღმდეგ შემთხვევაში, მიმდინარე სეზონში ფიასკო გარდაუვალი იქნება. შესაძლოა, ლომბარდიელებმა სუპერ-ტრანსფერები ვერ განახორციელონ, მაგრამ რამდენიმე მაღალი კლასის ფეხბურთელის დამატება რომ მართებთ, ცხადზე უცხადესია. თუ "კორიერეს" ვენდობით, ასეთი გეგმა უკვე არსებობს და მივყვეთ თანმიმდევრობით, დაცვიდან შეტევისკენ...

**დაცვა**

დაცვის ხაზში "მილანს" სერიოზული პრობლემები აქვს და **მასიმილიანო ალეგრის** არა თუ ერთი, ოთხი მაღალი კლასის უკანახაზელიც არ აწყენდა. "კორიერეს" მტკიცებით, ლომბარდიელთათვის პრიორიტეტი **ანჯელო ოგბონას** გადაბირებაა, რომელიც "ტორინოს" ღირსებას იცავს. ანჯელო 24 წლისაა და პერიოდულად იტალიის ეროვნულ ნაკრებშიც იწვევენ. ოგბონა უნივერსალური თვისებებით გამოირჩევა და თანაბარი წარმატებით შეუძლია თამაში როგორც ცენტრში, ისე მარცხენა ფრთაზე.

ოგბონას გადაბირებით, მილანელები ცენტრსაც გააძლიერებენ და მარცხენა ფრთასაც - აი, მარჯვენა ფრთა კი **კრისტიან ძაკარდომ** უნდა გააძლიეროს, რის შესახებაც გუშინდელ ნომერში ვწერდით. ოგბოინას მსგავსად, ცენტრში თამაში კრისტიანსაც შეუძლია, თუმცა უფრო მარჯვენა მცველია. მოკლედ, თუ მილანელებმა საწადელს მიაღწიეს, დაცვის ხაზი ვეტერან კოლუმბიელთა იმედად აღარ იქნება დარჩენილი.

**ნახევარდაცვა**

მას შემდეგ, რაც **ნაიჯელ დე იონგმა** უმძიმესი ტრავმა მიიღო, **ადრიანო გალიანი** ხშირად ლაპარაკობს მისი შემცვლელის მოძიებაზე. "კორიერეს" მტკიცებით, ნომერ პირველი კანდიდატი 24 წლის **ნური შაჰინია**, რომელიც მადრიდის "რეალის" საკუთრებაა და იჯარის წესით, "ლივერპულში" ასპარეზობს. თუმცა, გერმანელმა ინგლისში ვერაფრით იპოვა საკუთარი თამაში და ცნობილია, რომ ლივერპულელები მის ესპანეთში დაბრუნებას ეშურებიან. მილანელებს ფულის დახარჯვა არ უნდათ და იჯარა მათთვისაც იდეალური ვარიანტი იქნებოდა... ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური ეტაპის წილისყრის შედეგებიდან გამომდინარე, "მილანის" გაძლიერების წინააღმდეგნი, წესით, არც მადრიდელები უნდა იყვნენ. სავარაუდოდ, ესპანელები ოფიციალურ წინადადებას რამდენიმე დღეში მიიღებენ და პასუხი უკვე მათზე იქნება.

თუ მადრიდელებმა ნური შაჰინის იტალიაში გაშვება არ ისურვეს, მილანელებს სათადარიგო ვარიანტებიც ჰყავთ... ერთი **ლუკას მუნი** გახლავთ არგენტინული "ატლეტიკო კოლონიდან", ხოლო მეორე **კევინ სტროტმანი** ჰოლანდიური პსვ-დან.

**თავდასხმა**

**ალეშანდრე პატოს** გასხვისების შემდეგ, "მილანის" თავდასხმა ოთხი ფეხბურთელის ამარაა დარჩენილი - იქიდან ერთი თინეიჯერია, კერძოდ **სტეფან ელ შაარავი**; ორი არასტაბილურია, ვგულისხმობთ **ჯამპაოლო პაცინის** და **ბოიან კრკიჩს**, ხოლო მეოთხემ საუკეთესო დროება, თუკი ასეთი ოდესმე ჰქონდა, უკან მოიტოვა - **რობინიოზეა** ლაპარაკი. მოკლედ, "მილანს" შეტევაშიც უჭირს და მინიმუმ ერთი მოთამაშე აქაც სჭირდება.

"კორიერე" ირწმუნება, რომ ლომბარდიელთა სამიზნეში **მატია დესტროა**, რომელიც ამჟამად "რომაში" ირიცხება, თუმცა ძირითად შემადგენლობაში აქა-იქ ხვდება. 21 წლის ფორვარდი **ზდენეკ ზემანის** როტაციაშია მოყოლილი, მაგრამ უფრო თადარიგშია, ვიდრე სასტარტოში. **ფრანჩესკო ტოტისთან, ერიკ ლამელასთან** და **პაბლო ოსვალდოსთან** კონკურენცია უფრო რთული ჩანს, ვიდრე თუნდაც ჯამპაოლო პაცინისთან და წესით, თავად დესტრო წინადადებაზე სერიოზულად უნდა დაფიქრდეს. სხვა საქმეა, რა პოზიციას დაიჭერენ რომაელები. ვნახოთ...

● ინტერი

# ერთი ნერაძურიდან მეორეში

## ინტერს სკელოტო სურს

იტალიური სპორტული პრესის ცნობით, "ინტერის" მესვეურები "ატალანტას" 23 წლის ნახევარმცველის, **ესეკილ სკელოტოს** გადაბირებით არიან დაინტერესებულნი და ამ მიმართულებით, უკვე გადადგეს კიდეც ნაბიჯები. მილანურ გრანდს ყველაზე მეტად მაინც შუა ხაზში უჭირს და ამ რგოლის გაძლიერებას **მასიმო მორატი** სერიოზულად აპირებს. სკელოტო არგენტინული წარმოშობის იტალიელია, რომელიც "ატალანტას" ერთ-ერთი ლიდერი და "სკუადრა აძურას" კანდიდატია.

სკელოტოს სანაცვლოდ, მილანელები მზად არიან ბერგამოში ახალგაზრდა ფორვარდი, **მარკო ლივაია** გაუშვან. თუმცა, მხოლოდ ეს არ იქნება საკმარისი და "ინტერის" მესვეურები კიდევ 2 მილიონ ევროს ამზადებენ. თავად სკელოტომ უკვე დააფიქსირა საკუთარი პოზიცია და განაცხადა, რომ ერთი "ნერაძურიდან" მეორეში დიდი სიამოვნებით გადაბარგდება. იტალიური პრესის ცნობით, ესეკილის გადაბირება ინგლისურ გუნდებსაც სურთ, კერძოდ კი "ევერტონს" და "ფულჰემს".

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**



ესეკილ სკელოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ. კრისტოფ დაუმი

# მე დავბრუნდები!

## კრისტოფს ბუნდესლიგა მოენატრა

**კრისტოფ დაუმი** უკვე 59 წლისაა, მაგრამ მოტივაციის ნაკლებობას ჯერ არ უჩივის და დიდ ფეხბურთში დაბრუნება უნდა. დაუმი ბოლოს „ბრიუგეს" წვრთნიდა, საიდანაც ექვსი თვის წინ აიბარგა, ახლა კი ბუნდესლიგაში დაბრუნებაზე ოცნებობს. გთავაზობთ ინტერვიუს ყველაზე სკანდალურ გერმანელ სპეციალისტთან, რომელიც გუშინ „ბილდმა" გამოაქვეყნა.

**- ჰერ დაუმ, ექვსი თვეა, უმუშევარი ხართ. თავს როგორ გრძნობთ, რას საქმიანობთ?**

- 30 წელია, მწვრთნელი ვარ და ასეთი ხანგრძლივი პაუზა ჩემი არჩევანი იყო. არაერთი შემოთავაზება მქონდა, მაგრამ არც ერთი არ იყო გადასარევი და მეც დასვენება ვარჩიე. ამ ხნის მანძილზე ოჯახის წევრებთან ერთად ვმოგზაურობდი. ბოლოს ტაილანდში გახლდით. მოკლედ, ვისვენებდი.

**- კრისტოფ დაუმი ფეხბურთის გარეშე წარმოუდგენელია. რას აპირებთ?**

- ფეხბურთის გარეშე ჩემი ცხოვრება მეც ვერ წარმომიდგენია. რა თქმა უნდა, დიდ ფეხბურთში დაბრუნებას ვაპირებ და სხვათა შორის, გერმანულ ფეხბურთს ახლა ყველაზე დიდი ყურადღებით ვაკვირდები. ყველაფრის საქმის კურსში ვარ, ყველაფერი ვიცი, რაც ბუნდესლიგაში ხდება.

**- როდის შეიძლება გიხილოთ რომელიმე გუნდის მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე?**

- უფრო ზაფხულში, არა მგონია, რომ მანამდე დავიწყო მუშაობა. ცხადია, ჩემი მიზანი ბუნდესლიგაა, მაგრამ ნებისმიერ წინადადებას ნამდვილად არ დავთანხმდები. შემოთავაზების მიღების შემთხვევაში ყველაფერს დეტალურად გავაანალიზებ, რადგან ყველგან ნაღდად არ ღირს მუშაობა. სხვათა შორის, ჩემთვის ძალიან საინტერესოა აზიური და არაბული ფეხბურთიც. ევროპაში კი, ბუნდესლიგის გარდა პრემიერლიგა მაინტერესებს.


კრისტოფ დაუმი დიდ ფეხბურთში დაბრუნებას ზაფხულში აპირებს

**- ტრადიციული კითხვა: როგორ ფიქრობთ, მიუნხენის „ბაიერნს" ჩემპიონთა ლიგის მოგება შეუძლია?**

- დიახ! „ბაიერნს" ახლა ყველა წინაპირობა აქვს შექმნილი იმისათვის, რომ ჩემპიონთა ლიგა მოიგოს. ზედიზედ ორ სეზონში უტიტულოდ დარჩენის შემდეგ გუნდი დამშეულია. ფეხბურთელები და ხელმძღვანელები უკიდურესად მოტივირებულები ჩანან, რაც რეკორდმაისტერისთვის ყოველთვის იყო ტიტულების მოგების საწინდარი.

**- ზაფხულში „ბაიერნის" სპორტულ დირექტორად მათიას ზამერი დაინიშნა. როგორ შეაფასებდით მის მუშაობას სეზონის პირველი ნახევრის შემდეგ და რას ფიქრობთ მასზე, როგორც ული ჰიონესის შემცვლელზე მიუნხენურ გრანდში?**

- სხვათა შორის, ყოველთვის ვამბობდი, ზამერი „ბაიერნს" ძალიან მოუხდება-მეთქი. იმიტომ, რომ მათიასიც ყოველთვის დამშეული და ძალიან მონდომებული იყო როგორც ფეხბურთელობის დროს, ისე კარიერის დასრულების შემდეგაც. ზამერი გერმანიის საფეხბურთო კავშირშიც უდიდესი შემართებით მუშაობდა. რაც შეეხება კითხვის მეორე ნაწილს: ული ჰიონესის სრულფასოვანი შეცვლა ყოველდღიურობაში შეუძლებელია და თუ ვინმეს შეუძლია, ულის დონეს მაქსიმალურად მიუახლოვდეს, ეს პირველ რიგში სწორედ მათიას ზამერზე ითქმის. თამამად ვიტყვი: მისი სპორტულ დირექტორად დანიშვნა „ბაიერნის" საკადრო პოლიტიკაში ყველაზე მნიშვნელოვანი და სწორი გადაწყვეტილება იყო. ამ გადაწყვეტილების სისწორეს ბავარიელები წლების შემდეგ მოიმკიან.

> ზამერის სპორტულ დირექტორად დანიშვნა „ბაიერნის" ყველაზე მნიშვნელოვანი და სწორი გადაწყვეტილება იყო

**- თქვენი აზრით, ვინ არის საუკეთესო გერმანელი მწვრთნელი?**

- რა თქმა უნდა, იურგენ კლოპი! მან უკვე ტიტულებიც დააგროვა და ესეც რომ არ იყოს, მართლა ძალიან მაგარი სპეციალისტია. იურგენს უდიდეს პატივს ვცემ! თუმცა 2012 წლის საუკეთესო გერმანელ მწვრთნელად „ფრაიბურგის" თავკაცი კრისტიან შტრაიხი მიმაჩნია - მან ხომ შეუძლებელი შეძლო და აბსოლუტურად უნიათო გუნდისგან ყოველგვარი დანახარჯების გარეშე ძალიან ბრძოლისუნარიანი, წარმატებული კლუბი ჩამოაყალიბა. შტრაიხს დიდი სამწვრთნელო მომავალი აქვს.

დორტმუნდი


ნევენ სუბოტიჩის ტრავმა სერიოზული აღმოჩნდა

# თვე-ნახევარი სუბოტიჩის გარეშე!

## სერბი მცველი ფელიპე სანტანამ უნდა შეცვალოს

ესპანურ ლა მანგაში შეკრებაზე მყოფ დორტმუნდის „ბორუსიას" **ნევენ სუბოტიჩი** დაუშავდა და დორტმუნდელები იმედოვნებდნენ, რომ სერბი მცველის ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდებოდა, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა: 24 წლის უკანახაზელს ლაზარეთში ყოფნა 6 კვირის მანძილზე მოუწევს, რაც გერმანიის ჩემპიონისთვის სერიოზული პრობლემაა, რადგან სუბოტიჩი „ბორუსიას" ძირითადი შემადგენლობის მკვიდრია.

„დორტმუნდის" სამედიცინო შტაბს იმედი ჰქონდა, რომ ნევენს უქმობა მხოლოდ 2-3 კვირა მოუწევდა, მაგრამ ტრავმა მოსალოდნელზე სერიოზული გამოდგა. სუბოტიჩი, რომელმაც რამდენიმე დღის წინ „ბორუსიასთან" კონტრაქტი 2016 წლამდე გააგრძელა, ესპანეთში რჩება - კლუბის ექიმები მას იქვე მიხედავენ.

ახლა საინტერესო ისაა, ვინ უნდა შეცვალოს სუბოტიჩი „დორტმუნდის" ძირითად შემადგენლობაში. დაცვის ცენტრში, **მატს ჰუმელსის** მხარდამხარ გამწესების ნომერ პირველი კანდიდატი ბრაზილიელი **ფელიპე სანტანაა**, რომელსაც არაერთხელ დაუმტკიცებია, რომ სუბოტიჩის და ჰუმელსის ღირსეული შემცვლელია.

„ბორუსიას" თავკაცმა **იურგენ კლოპმა** „ალბასეტესთან" ტესტ-მატჩში, რომელიც გერმანელებმა 3:1 მოიგეს, სწორედ ბრაზილიელი ათამაშა, მეორე ტაიმში კი მოედანზე 18 წლის **ქორაი გიუნტერი** შეუშვა, რომელიც ნიჭიერი ცენტრალური მცველია და საჭიროების შემთხვევაში, კლოპის აზრით, მისი ნდობაც შეიძლება. ამრიგად, სუბოტიჩის თვენახევრიანი ტრავმის გამო დორტმუნდელები ახალი ცენტრალური მცველის შეძენას არ აპირებენ, რაც გუშინ გუნდის გენერალურმა მენეჯერმა **ჰანს-იოახიმ ვატცკემაც** დაადასტურა.

### გროსკროიტცი შეთავაზებას ელის

სუბოტიჩთან და **სვენ ბენდერთან** ახალი კონტრაქტები გაფორმებულია, ახლა კი კლუბის ხელმძღვანელებისგან ხელშეკრულების გახანგრძლივებაზე შეთავაზებას **კევინ გროსკროიტცი** ელოდება. *„ჯერჯერობით ახალი კონტრაქტი არ შემოუთავაზებიათ, მოლოდინის რეჟიმში ვარ,"* - უთხრა კევინმა „შპორტ ბილდს".

მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე სეზონში კლოპი მას იშვიათად ათამაშებს, გროსკროიტცი, რომელიც ბავშვობიდან დორტმუნდის თავგადაკლული ფანი იყო, წასვლაზე არ ფიქრობს და პირველ რიგში „ბორუსიასთან" სურს ურთიერთობის გარკვევა.

*„მართალია, ამ სეზონში სათამაშო პრაქტიკა აშკარად მომაკლდა, მაგრამ „დორტმუნდიდან" წასვლა არ მინდა. მხოლოდ ამის გამო „ბორუსიადან" ნამდვილად არ ავიბარგები. ეს გუნდი ჩემთვის ყოველთვის უსაყვარლესი იყო და მუდამ ასეთი იქნება,"* - ამბობს გროსკროიტცი, მაგრამ არც იმას მალავს, რომ ოდესმე ინგლისში თამაშიც უნდა...

ამბები

### ჟირესი სენეგალის ნაკრებში დაინიშნა



საქართველოს ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი **ალენ ჟირესი** სენეგალის ეროვნული გუნდის თავკაცად დაინიშნა. 60 წლის ფრანგმა სენეგალის ფეხბურთის ფედერაციასთან გუშინ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ჟირესის ამოცანა სენეგალის ნაკრების მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატსა და 2015 წელს მაროკოში დაგეგმილ აფრიკის თასზე გაყვანა იქნება. შეგახსენებთ, რომ გუნდს, რომელიც 2002 წლის მუნდიალზე ყველასათვის მოულოდნელად, მეოთხედფინალში გავიდა, მსოფლიოს ბოლო ორ ჩემპიონატზე არ უასპარეზია. ჟირესი, რომელიც 80-იან წლებში **მიშელ პლატინისთან, ლუის ფერნანდესთან** და **ჟან ტიგანასთან** ერთად საფრანგეთის ნაკრების ლეგენდარული ნახევარდაცვის წევრი იყო, სენეგალელებმა გერმანელ **ფოლკერ ფინკეს** ამჯობინეს.

### შტუტგარტი: ნიდერმაიერიც რჩება

**კრისტიან გენტნერისა** (2016 წლამდე) და **ტამაშ ჰაინალის** (2014) შემდეგ, „შტუტგარტმა" ცენტრალურ მცველ **გეორგ ნიდერმაიერსაც** ახალი კონტრაქტი გაუფორმა. 26 წლის ფეხბურთელს ძველი ხელშეკრულება 2014 წლამდე ჰქონდა გაფორმებული, ახლის მიხედვით კი, შვაბენლანდურ კლუბში 2016 წლის ზაფხულამდე უნდა ითამაშოს. შეგახსენებთ, რომ ნიდერმაიერი, რომელიც მიუნხენის „ბაიერნის" აღზრდილია, „შტუტგარტში" 2009 წლის ზაფხულიდან თამაშობს და მას მერე ბუნდესლიგაში 77 მატჩი ჩაატარა (6 გოლი). ამ სეზონში შვაბთა მწვრთნელმა **ბრუნო ლაბადიამ** ნიდერმაიერი 14 შეხვედრაში ათამაშა.

### კირხჰოფი მაინცში ზაფხულამდე დარჩება

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მიუნხენის „ბაიერნი" **იან კირხჰოფს** ახლავე ვერ გადაიბირებს. *„ფეხბურთი ისეთი სპორტია, სადაც მომდევნო დღის შესახებ გადაჭრით ვერაფერს იტყვი, მაგრამ ახლა ისეთი სიტუაციაა, რომ ალბათ სეზონის ბოლომდე „მაინცში" ვითამაშებ,"* - უთხრა 22 წლის მცველმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს. შეგახსენებთ, რომ „ბაიერნი" მას უკვე შეუთანხმდა და სეზონის დასრულების შემდეგ კირხჰოფი რეკორდმაისტერში გადავა, თუმცა ბავარიელებს მისი გადაბირება ახლავე სურდათ.

### კურანის მოსკოვში გაუტკბა



გერმანიის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი **კევინ კურანი** მოსკოვის „დინამოდან" წასვლაზე არ ფიქრობს. *„დინამოსთან" კონტრაქტი კიდევ ორი წლით მაკავშირებს. არ არსებობს მიზეზი, რის გამოც კლუბის გამოცვლაზე უნდა ვფიქრობდე. რუსეთში თამაშით ბედნიერი ვარ,"* - უთხრა ჩვენს გერმანელ კოლეგებს 30 წლის კურანიმ, რომელიც მოსკოვურ კლუბში ორწელიწადნახევარია თამაშობს.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოპა დელ რეი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები

# მალაგა და ვალენსია მეოთხედფინალში


ვალენსიელი ნელსონ ვალდესი

| მალაგა-ეიბარი | 4:1 (1:1) |
|---|---|

**გოლები:** 0:1 აროიო (12), 1:1 ბუონანოტე (74), 2:1 სება ფერნანდესი (76), 3:1 პორტილიო (83), 4:1 ბუონანოტე (90)

**მალაგა (4-2-3-1):** კამენი - გამესი, ონიევუ, ს. სანჩესი, მონრეალი - ტულალანი (60. დემიკელისი), იტურა (60. პორტილიო) - დუდა, ბუონანოტე, სება ფერნანდესი - სავიოლა (86. ხუანმი).

**ეიბარი (4-4-2):** ირურეტა - ბოვედა, ანიბარო, რ. ნავასი, ბინგენი - კაპა (74. როლდანი), დ. გარსია, ერასტი (46. ხიმენესი), აროიო - მაინსი (76. აკეჩე), არუაბარენა.

**გაძევება:** როლდენი (85)

| ვალენსია-ოსასუნა | 2:1 (2:0) |
|---|---|

**გოლები:** 1:0 ტინო კოსტა (33), 1:1 ხ. ლორენტე (36), 2:1 სოლდადო (93)

**ვალენსია (4-2-3-1):** გუაიტა - ბარაგანი, რამი, რუისი, სისოკო - ალბელდა, ტინო კოსტა - ბერნატი (87. გუარდადო), ჟონასი, ვიერა (57. ბანეგა) - ვალდესი (65. სოლდადო).

**ოსასუნა (4-2-3-1):** ა. ფერნანდესი - ეჩაიდე, რუბენი (68. ფლანიო), არიბასი, ნანო - ლოლო, ტიმორი - სეხუდო (71. ომვუ), ოიერი (62. პუნიალი), ლამა - ხ. ლორენტე.

## ბუონანოტეს ბენეფისი და ტრავმა

**მანუელ პელეგრინის** „მალაგა" ესპანეთის თასის მეოთხედფინალში გავიდა, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ უპრობლემოდ. ბასკურ „ეიბართან" პირველი მატჩი 1:1 დასრულდა, საპასუხოს დასრულებამდე 16 წუთით ადრე მესამე დივიზიონის გუნდი სტუმრად 1:0-ს იგებდა! გოლი „ეიბარის" გამოცდილმა ნახევარმცველმა **რუბენ აროიომ** გაიტანა.

„მალაგას" პასუხი ნაგვიანები, მაგრამ ეფექტური იყო - ანდალუსიელებმა მეტოქეს 4 გოლი გაუტანეს. ბენეფისი მოიწყო 24 წლის არგენტინელმა, **დიეგო ბუონანოტემ**, რომელიც ესპანურმა მედიამ „პალერმოში" იჯარით გადასულად ნაადრევად შერაცხა - დიეგომ ორი გოლი გაიტანა და ერთი საგოლე გადაცემა გააკეთა, მაგრამ მატჩის ბოლოს (გოლის გატანისას) სერიოზული ტრავმა მიიღო. სხვა გოლები **სება ფერნანდესის** და **ფრანსისკო პორტილიოს** ანგარიშზეა.

**მანუელ პელეგრინი** (მალაგა): *„ძალიან მაგარი მეტოქე გვყავდა, თუმცა ჩვენც სათანადოდ დავუხვდით. გუნდში ერთ ფეხბურთელსაც არ უფიქრია, რომ იოლი გასეირნება ელოდა. ყველამ კარგად იცოდა, რომ „ბილბაოს" გამზდები გუნდი საპასუხო მატჩშიც დიდ წინააღმდეგობას გაგვიწევდა. პირველ ტაიმში კრეატიულობა გვაკლდა, მეორეში კი მიზანს მივაღწიეთ".*

**გაისკა გარიტანო** (ეიბარი): *„70 წუთზე მეტს ვუგებდით ჩემპიონთა ლიგის წარმატებულ გუნდს! ამაყი ვარ. ახლოს ვიყავით მიზანთან, მაგრამ კლასმა ბოლოს თავისი გაიტანა. შინ ხელცარიელები, მაგრამ თავაწეულები ვბრუნდებით".*

„მალაგა" მეოთხედფინალშია და, დიდი ალბათობით, „ბარსელონას" შეხვდება, რომელმაც პირველ მატჩში სტუმრად 2:0 მოუგო „კორდობას" (ორივე გოლი **ლიონელ მესიმ** გაიტანა).

## ემერი მესტალიაზე

„ვალენსიას" და „ოსასუნას" დაპირისპირებაში ბევრი რამ პირველივე მატჩში (2:0 „ღამურების" სასარგებლოდ) გადაწყდა, ხოლო, როცა „მესტალიაზე" **ტინო კოსტამ** 33-ე წუთზე ანგარიში გახსნა - ყველაფერი გადაწყდა. საბოლოოდ, „ვალენსიამ" ორი მატჩის ჯამში 4:1 იმარჯვა.

სხვათა შორის, საპასუხო მატჩში „ოსასუნა" უკეთ თამაშობდა და ბევრსაც უტევდა, მაგრამ მონოდების სიმაღლეზე იყო **ვისენტე გუაიტა**, „ღამურების" სათადარიგო მეკარემ მხოლოდ ერთ შემთხვევაში ვერ გადაარჩინა გუნდი, როცა პირველ ტაიმში **ხოსება ლორენტემ** ანგარიში გაათანაბრა. გამარჯვების გოლი ბოლო წუთზე შეცვლაზე შესულმა **რობერტო სოლდადომ** გაიტანა.

**ერნესტო ვალვერდე** (ვალენსია): *„მეტოქეს მხოლოდ გამარჯვება აძლევდა ხელს და ბევრი პრობლემა გაგვიჩინა. ჩვენს პირველ გოლამდე სანერვიულოც ბევრი მქონდა".*

**ხოსე ლუის მენდილიბარი** (ოსასუნა): *„კარგად ვითამაშეთ, ბევრი მომენტი შევქმენით, მაგრამ სტაბილურობა გვაკლია. საბოლოო მიზნის მისაღწევად ცოტა კლასი და ცოტა იღბალი დაგვაკლდა".*

სხვათა შორის, „მესტალიას" „ვალენსიას" ყოფილი თავკაცი **უნაი ემერი** სტუმრობდა. ბასკი სპეციალისტი მოსკოვის „სპარტაკიდან" წამოსვლის შემდეგ უმუშევარია. რაც „ვალენსიადან" წავიდა, ემერი პირველად ეწვია „მესტალიას", თუმცა ესპანეთის ჩემპიონატის წინა ტურში ის „ლევანტე"-„ბილბაოს" დაესწრო.

„ვალენსიას" მომდევნო მეტოქის ვინაობა წუხელ „სანტიაგო ბერნაბეუზე" გაირკვა.

ქესტი



მესის სამახსოვრო საჩუქარი

# პატივისცემით და აღტაცებით

## ლეო მესის საჩუქარი გერდ მიულერს

**ლიონელ მესიმ** სამახსოვრო საჩუქარი უძღვნა გერმანული ფეხბურთის ლეგენდას, **გერდ მიულერს**, რომლის რეკორდიც დაამხო 2012 წელს.

შეგახსენებთ, რომ 1972 წელს გერდ მიულერმა 85 ოფიციალური (ზოგი მონაცემით, 84) გოლი გაიტანა, თუმცა 2012 წელს ლეომ 40-წლიანი რეკორდი დაამხო - 91 („მარკას" აზრით, 90) გოლი გაიტანა.

და აი, ლეომ გადაწყვიტა გერმანელს სამახსოვრო საჩუქარი გაუკეთოს - მაისურა, რომლითაც მან ეს რეკორდი დაამყარა. *„გერდ მიულერს, დიდი პატივისცემით და აღტაცებით"*, - აწერია ლეოს მაისურს.

მესის საჩუქართან ერთად „ბარსელონას" პრეზიდენტმა **სანდრო როსელმა** გერმანელ კოლეგას, **კარლ-ჰაინც რუმენიგეს** წერილი გაუგზავნა, რომელშიც კატალონიური გრანდის პრეზიდენტი დიდ პატივისცემას გამოხატავს მიულერის პერსონასთან. რომ მესისთვის გერდის რეკორდი შთაგონების წყარო იყო.

## ბარსას მეათე ოქროს ბურთი

ლეო მესის მიერ მიღებული „ოქროს ბურთი" მეათეა „ბარსელონასთვის". ბუნებრივია, ამ მაჩვენებლით კატალონიური გრანდი მსოფლიოში პირველია. აქედან ლეოს ლომის წილი მიუძღვის - 4 „ოქროს ბურთი". 1960 წელს პირველად „ბარსელონა" **ლუის სუარესმა** ასახელა. ტიტულები გუნდს 1973 და 1974 წლებში **იოჰან კრუიფმა** შემატა. შემდეგ იყო 20-წლიანი პაუზა და „ბარსელონას" მეოთხე „ოქროს ბურთი" **ჰრისტო სტოიჩკოვმა** მოუპოვა. 5 წლის შემდეგ ბრაზილიელმა **რივალდომ** გადაიბარა ესტაფეტა, ხოლო 2005 წელს მისი თანამემამულე **რონალდინიო** გახდა „ბარსას" მე-6 „ოქროს ბურთის" მფლობელი.

„ოქროს ბურთი" 8-8-ჯერ „მილანის" და „იუვენტუსის" ფეხბურთელებს აქვთ მოპოვებული; 6-ჯერ მადრიდის „რეალის", ხოლო 5-ჯერ „ბაიერნის" ფეხბურთელებს.

პსჟ

# ლეონარდო: კრიშტიანო რონალდო პსჟ-ში? შესაძლებელია

## პარი სენ ჟერმენის სპორტული დირექტორი მესის ტრანსფერს გამორიცხავს

**თავიდან** აგორდა ხმები კრიშტიანო რონალდოს „რეალიდან" „პარი სენ-ჟერმენში" შესაძლო გადასვლაზე. ამის მიზეზი კი პარიზელთა სპორტული დირექტორი ლეონარდოა. ბრაზილიელმა მედიას რამდენიმე საგულისხმო ფრაზა უთხრა, რომელთაც აქვე გთავაზობთ

### კრიშტიანო რონალდოზე

*„ყველამ კარგად უნდა ვიცოდეთ, რომ კრიშტიანო რონალდო „რეალის" ფეხბურთელია და მას თან ხელშეკრულება აკავშირებს. ჩვენ არ დავკავშირებივართ პორტუგალიელს და არც მის აგენტთან გვილაპარაკია ამ საკითხზე.*

*თუმცა, თუკი რონალდო სეზონის ბოლოს მადრიდიდან წასვლას გადაწყვეტს, ცხადია, ის ამას რომელიმე უბრალო კლუბის სასარგებლოდ არ გააკეთებს. სულ 4-5 კლუბია მსოფლიოში, სადაც შეიძლება ის გადავიდეს და მათ შორის „პარი სენ-ჟერმენიცაა". დღეს პსჟ უკვე ყველანაირი შესაძლებლობების კლუბია. ასე რომ, რონალდო პსჟ-ში? შესაძლებელია".*

### ლეო მესიზე

*„ლეო მესის დამატების არანაირი შანსი არა გვაქვს. არგენტინელი არასოდეს არ წავა „ბარსელონადან".*



ლეონარდო ამტკიცებს, რომ ლუკას მოურა პსჟ-ს ბოლო შენაძენია იანვარში

### ჟოზე მოურინიოზე

*„ვფიქრობ, პრესაში ყველაფერი გაბუქებულია - პირადად, ვერ ვხედავ მიზეზს, რის გამოც ჟოზე მოურინიო „რეალიდან" წავა".*

### პსჟ-ს გეგმებზე

*„ფრანგული ლიგის ვერმოგება იქნება დიდი ჩავარდნა, იგივეს თქმა შემიძლია ქვეყნის თასზეც, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაში ფავორიტი „ბარსელონაა". თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ გვაქვს შანსი, ახლა სულ რაღაც 6 მატჩი გვაშორებს ლიგის ფინალთან".*

### ფიფას 2012 წლის სიმბოლურ ნაკრებზე

*„არ ვიცი, ვინ მისცა ხმა ამ ნაკრებს. მაგრამ 11 საუკეთესო ფეხბურთელში არ იყოს ტიაგო სილვა? ეს ხომ შეუძლებელია"*

### ზამთრის ტრანსფერებზე

*„ჩვენი ბაზარი დაიხურა ლუკას მოურას შეძენით. შესაძლოა, გუნდიდან ერთი-ორი ფეხბურთელი წავიდეს, სულ ეს არის".*

ამბები

## მოურინიო 2012 წლის საუკეთესო საკლუბო მწვრთნელია

**ფეხბურთის** ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ (IFFHS) 2012 წლის საუკეთესო საკლუბო მწვრთნელად მადრიდის „რეალის" პორტუგალიელი თავკაცი **ჟოზე მოურინიო** დაასახელა. ჟოზე კარიერაში მე-4-ედ აღიარეს საუკეთესო საკლუბო მწვრთნელად. მან 101 ქულა მიიღო.

მე-2 ადგილზე იტალიელი **რობერტო დი მატეო** (ჩელსი) გავიდა - 99 ქულა, ხოლო მესამეზე - არგენტინელი **დიეგო სიმეონე** (ატლეტიკო) - 97. როგორც ხედავთ, მოურინიომ მძაფრ კონკურენციაში გაიმარჯვა.

ათეულის სხვა წევრები: 4. **ხოსეპ გვარდიოლა** (ბარსელონა) - 82 ქულა; 5. **ტიტე** (სან პაულო) - 61; 6. **იუპ ჰაინკესი** (ბაიერნი) - 40; 7. **ალექს ფერგიუსონი** (მანჩესტერ იუნაიტედი) - 27; 8. **იურგენ კლოპი** (დორტმუნდი) - 15; 9. **მარსელო ბიელსა** (ბილბაო) - 12; 10. **რობერტო მანჩინი** (მანჩესტერ სიტი) - 11.

## ლუნა მალიორკაში

„სევილიას" 21 წლის მარცხენა მცველმა **ანტონიო ლუნამ** თავის „ტვიტერზე" დაწერა, რომ ანდალუსიურმა კლუბმა ის სეზონის ბოლომდე „მალიორკაში" გაანათხოვრა. *„მადლობა „მალიორკას", რომ მენდო. დიდი სურვილი მაქვს, ბალეარულ კლუბს გამოვადგე. „სევილიას" კი წარმატებას ვუსურვებ"*, - ამბობს ლუნა.

ლუნა ძალიან ნაწყენია „სევილიას" ხელმძღვანელობაზე, თუმცა არ აკონკრეტებს მწვრთნელი **მიჩელი** ჰყავს მხედველობაში, თუ პრეზიდენტი **ხოსე მარია დელ ნიდო**.

ლუნა „სევილიას" აღზრდილია და მთელი კარიერა ჯერჯერობით იქ აქვს გატარებული, თუ არ ჩავთვლით ნახევარწლიან იჯარას „ალმერიაში".

## კორეაში 41 ფეხბურთელი სამუდამო დისკვალიფიკაციით დასაჯეს

**კორეის** ფეხბურთის ასოციაციამ 41 ფეხბურთელს სამუდამო დისკვალიფიკაცია მისცა თამაშების ჩაწყობებთან დაკავშირებულ სკანდალში.

ეს სკანდალი 2011 წლის ზაფხულში აგორდა კორეის კეი ლიგაში. 21-მა ფეხბურთელმა მაშინ გადაწყვიტა გამოძიებასთან თანამშრომლობა, მათ შანსი მიეცათ 2-5 წლის განმავლობაში უკან დაბრუნების. ფიფამ კორეელთა ამ სანქციას უკვე განუცხადა დასტური.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამინისტრო. ლაურეატთა დაჯილდოება

# შავდათუაშვილი – ქართული სპორტის ოქროსფერი ელვარება

## სეზონის საუკეთესოები სამინისტროს ვერსიით

**გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ „ივენთ ჰოლში“ 2012 წლის შედეგები შეაჯამა და საუკეთესონი დაასახელა. წარმოდგენილი იყო ხუთი ნომინაცია - საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენი, გუნდი, ფედერაცია, მწვრთნელი და შარშანდელი სეზონის ყველაზე წარმატებული სპორტსმენი.**



ბოლოდან დავიწყებთ და თავშივე გეტყვით, რომ 2012 წლის საუკეთესო სპორტსმენად ოლიმპიური ჩემპიონი ძიუდოში **ლაშა შავდათუაშვილი** დაასახელეს, მისი პირადი მწვრთნელი **ნიკოლოზ ბიბილაშვილი** კი საუკეთესო დამრიგებლად აღიარეს. ფედერაციებს შორის რაგბი გამოარჩიეს, გუნდებს შორის კი ასეთივე პატივი 17-წლამდელ ფეხბურთელთა ნაკრებს ერგო. საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენად სამბოში 20-წლამდელთა შორის ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი **ამირან იანვარაშვილი** დაასახელეს.

ცერემონიალზე შესავალი სიტყვით სამინისტრო წარსდგა, რომლის სახელითაც გასული სეზონი მინისტრის მოადგილე **თამაზ თევზაძემ** მიმოიხილა. *„ვსარგებლობ შემთხვევით და შარშანდელი სეზონის წარმატებულ სპორტსმენებს ვულოცავ მიღწევებს. აგრეთვე დიდი მადლობა მათ მწვრთნელებს და აღვნიშნავ ფედერაციების მეტ-ნაკლებად გამართულ მუშაობას, რამაც განაპირობა მიღწევებიც და წარუმატებლობებიც. მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ საქართველოში ჩატარდა მთელი რიგი საერთაშორისო შეჯიბრებები, რაც საამაყოა ქვეყნისთვის და ეს სამომავლოდაც პრიორიტეტი იქნება. ამით სპორტში ჩაბმის პროპაგანდას გავუწევთ ჩვენს ახალგაზრდებს, საამისოდ მეტ მოტივაციას გავუჩენთ მათ. ქვეყნისთვის პრესტიჟულ საერთაშორისო შეჯიბრებათა შორის დავასახელებ ჭადრაკში გამართულ ქალთა ძლიერ ტურნირს, აგრეთვე - ბლიცსა და სწრაფ ჭადრაკში. საქართველოში გაჩნდა პლაჟის ხელბურთი და ახალგაზრდების ევროპის ჩემპიონატსაც ვუმასპინძლეთ, გაიმართა წყალბურთელთა საერთაშორისო შეჯიბრება და სხვა“* - აღნიშნა თევზაძემ და ისიც დაამატა, რომ არ ეხება ოლიმპიადას, რადგან ეს ყველამ ისედაც იცის, თუმცა იქვე დაამატა, რომ მედალოსნებს ულოცავს იქ მიღწეულ შედეგებს.

სხდომაზე წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს შარშან გარდაცვლილ სპორტსმენთა ხსოვნას, თუმცა ვინმე არ გამოგვრჩესო და საერთო სახელით სამი გარდაცვლილი ლეგენდა დაასახელეს: „ოქროს თაობის“ ფეხბურთელი რამაზ შენგელია, ოლიმპიური ჩემპიონი ფარიკაობაში ვლადიმერ აფციაური და ლაფანყურის სპეცოპერაციისას დაღუპული მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი სამბოში არჩილ ჩოხელი.

ამის შემდეგ დაიწყო ცალკეული ნომინაციების დასახელება. საუკეთესო ახალგაზრდის ტიტულის მოპოვებაში იანვარაშვილს კონკურენციას 20-წლამდელ ძიუდოისტთა შორის ევროპის ჩემპიონი **ლევან მატიაშვილი** და NBA-ს კლუბ „ბრუკლინის“ წევრი **თორნიკე შენგელია** უწევდნენ. იანვარაშვილის სპორტული რადიო „ჯაკოს“ სახელით ცნობილი კომენტატორის - კოტე მახარაძის სახელობის პრიზი **ჯამლეტ ხუხაშვილმა** გადასცა და იხუმრა, იანვარაშვილს იანვარში ვაჯილდოებთო. მისი თქმით, კონკრეტულად ამ ნომინაციას იმიტომ აჯილდოებენ ამ თასით, რომ ყველა ახალგაზრდამ უნდა იცოდეს, ვინ იყო კოტე მახარაძე. გუნდის ნომინაციაში 17-წლამდელ ფეხბურთელებთან ერთად კალათბურთელთა და მორაგბეთა ეროვნული ნაკრებებიც იყვნენ წარდგენილნი, გამარჯვება კი ფეხბურთელებს ერგოთ. აქვე კიდევ ერთხელ გავიხსენოთ იმ დაუვიწყარი თამაშების შემოქმედნი, რომლებიც გუშინ სრული შემადგენლობით ავიდნენ სცენაზე: **ალექსანდრე ძაძამია, ნიკა შერმადინი, ოთარ კაკაბაძე, ლაშა დვალი, ნიკა ჭანტურია** (კაპიტანი), **გიგა სამხარაძე, ჭიაბერ ჭეჭელაშვილი, გიორგი აბურჯანია, გიორგი გოროზია, გიორგი პაპუნაშვილი, ივანე წილოსანი, ნიკოლოზ ახვლედიანი, დავით დარციმელია, მათე ცინცაძე, დავით ჯიქია, ალექსანდრე მზევაშვილი, გიორგი გაბაძე** და **არჩილ მესხი**.

მწვრთნელთა ნომინაციაში ლაურეატთა სამეულში თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების აწ უკვე ექსთავკაცი **ზაზა თურმანიძე** და 17-წლამდელ ფეხბურთელთა დამრიგებელი **ვასილ მაისურაძე** შედიოდნენ, ხოლო ფედერაციებს შორის მორაგბეებს კონკურენციას კალათბურთელები და ფეხბურთელები უწევდნენ. ყოველი ნომინაციის დაჯილდოებას თან კინოეკრანზე მათი სპორტული პაექრობების ამსახველი სლაიდები ერთვოდა, რომელთა მეშვეობითაც ქომაგთ კიდევ ერთხელ ისიამოვნეს შარშანდელი სპორტული სეზონის საუკეთესო კადრებით.

ბოლო ნომინაციის ანუ წლის საუკეთესო სპორტსმენის დასახელების პატივი წილად სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრ **ლევან ყიფიანს** ხვდა წილად, რომელმაც ამ საპატიო მისიის შესრულებამდე საზოგადოებას ჯერ მრჩეველთა საბჭო წარუდგინა, რომელშიც ქართული სპორტის თანავარსკვლავედი შედის: **ნონა გაფრინდაშვილი, ვიქტორ სანეევი, ლევან თედიაშვილი, რომან რურუა, მზია ჯუღელი, ქეთევან ლოსაბერიძე, გურამ მინაშვილი, ვლადიმერ ბარქაია, თემურ ბენდიაშვილი, ჯემალ ცერცვაძე, გურამ საღარაძე, როსტომ აბაშიძე, გურამ პაპიტაშვილი, ჯუმბერ ლეჟავა, ჯანო ბაგრატიონი** და **ალექსანდრე მეტრეველი**. ყიფიანმა დამსწრეთ ორი სასიმოვნო ამბავიც ამცნო - წლეულს ქართული სპორტი აუცილებლად დაიბრუნებს სპორტის აკადემიას, ოღონდ უკვე სპორტის უნივერსიტეტის სახელით, ხოლო გაზაფხულზე, მარტ-აპრილში სანეევი პრაქტიკულადაც დაეხმარება ქართულ სპორტს. თურმე მას ამ დღეებში ისევ შეეხმიანნენ და ისიც სიხარულით დათანხმდა თანამშრომლობაზე, ხოლო სპორტის უნივერსიტეტის აღდგენაზე უკვე მთავრობაც თანახმაა და კონკრეტული ნაბიჯებიც იდგმება - მიმდინარეობს პარამეტრების შეჯერება. ორივე ინფორმაციას დარბაზი ტაშით შეხვდა.

დასასრულს, ვიდრე ლაშა შავდათუაშვილი ლევან ყიფიანთან ერთად ტორტს გაჭრიდა, მედიისთვისაც მოიცალა და შემდეგი გვითხრა: *„სასიხარულოა, როცა ქვეყნის საუკეთესო სპიორტსმენად გასახელებენ და რჩეულთა შორის გამოგარჩევენ. ამასთან, ეს დიდი პასუხისმგებლობაცაა, რადგან ისევ ვაგრძელებ სპორტს და ყველაფერს გავაკეთებ, რათა ჩემს ქვეყანას კიდევ არაერთი წარმატება მოვუტანო, კიდევ არაერთხელ გავახარო ქომაგი“.*

**ირაკლი თავაძე**




წყალბურთი



# პირველი ქულა, მაგრამ დაკარგული შანსი

**თბილისი. საცურაო კომპლექსი „ოლიმპიკი“**

**ჩემპიონთა ლიგა. 2013 წლის 9 იანვარი.**

**ლიგამუსი-თბილისი - ვასპო-98 — 6:6**

3:2, 1:1, 1:1, 1:2

ლიგამუსი: ჭუმბურიძე, ქენქაძე, ჩიქვინიძე, რუსიშვილი (3), ლაითაძე, ურუშაძე, ხვედელიანი (1), ბალათურია, რურუა, გეგელაშვილი (2), ყაზახიშვილი, ქავთარაძე, კაპანაძე, მთავარი მწვრთნელი ჩომახიძე.

ვასპო-98: კონგი, პოლვერინო (1), ჰერმანი, შვარცი (1), ტაპლიკი, ბიტერი, იმერმანი (2), პიკერტი (1), ჰაარსტიკი (1), ტოტი, ვიეკანპი, ბრიკმანი, საგი, მთავარი მწვრთნელი შიპაფერი.

არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ სამამულო სპორტის ისტორიაში საქართველოს წყალბურთელთა გუნდი პირველად ცდის ძალებს ჩემპიონთა ლიგაზე. ცხადია, დებიუტანტისთვის, რომელსაც საერთაშორისო შეხვედრების სათანადო გამოცდილება არ ჰყოფნის, იოლი არ არის, პირველსავე ცდაზე საუკეთესოთა შორის მოხვდეს, მაგრამ ქვეყნის სამგზის ჩემპიონ „ლიგამუს-თბილისს“, იმის მიუხედავად, რომ წინა ხუთი მატჩი დათმო, გუშინდლამდე დიდი შანსი ჰქონდა, შესარჩევი ეტაპი დაეძლია და პლეი ოფში ეთამაშა. სამწუხაროდ, **რევაზ ჩომახიძის** შეგირდებმა ეს შესაძლებლობა ხელიდან გაუშვეს.

„ლიგამუსმა“ ჰანოვერში პირველი წრის პაექრობა „ვასპო -98“-თან 5:7 დათმო და ქართველები ალემანებთან განმეორებით მატჩში რევანშს გეგმავდნენ. „ოლიმპიკის“ აუზში გამართული შეხვედრით თუ ვიმსჯელებთ, მასპინძლებს გამარჯვება არ უნდა გასჭირვებოდათ. მით უმეტეს, რომ საქართველოს სამგზის ჩემპიონთა პირველივე იერიში გეგელაშვილმა გოლით დააგვირგვინა. სტუმრებს წუთნახევარი დასჭირდათ წონასწორობის აღსადგენად - ბურთი იმერმანმა გაიტანა. ამ გოლის შემდეგ ჩვენი ბიჭები აშკარად გამოცოცხლდნენ და სამი წუთის განმავლობაში სრულ უპირატესობას ფლობდნენ, ანგარიშიც 3:1-მდე გაზარდეს (გოლები გეგელაშვილმა და რუსიშვილმა მიითვალეს). პირველი მეოთხედის დამთავრებამდე 2 წუთით ადრე ჩვენებს მორიგი წარმატების შანსი მიეცათ, რადგან არბიტრებმა უხეშობისთვის პოლვერინო გააძევეს. „ლიგამუსმა“ რიცხობრივი უპირატესობა ვერ გამოიყენა. მეტიც - მერვე წუთზე საკუთარ კარში მიიღო მეორე ბურთი.

მოვლენებს გავუსწრებთ და ვიტყვით, რომ მასპინძლებს ამ მატჩში ცხრაჯერ ჰქონდათ რიცხობრივი უპირატესობა, მაგრამ რეალიზება ერთხელაც ვერ მოახერხეს. მეორე რვაწუთიანი მონაკვეთის დასაწყისში, როცა ანგარიში გახდა 4:2, იმერმანმა უხეშად ითამაშა ლაითაძის წინააღმდეგ, მაგრამ რურუამ პენალტი ვერ გაიტანა. სამაგიეროდ, სტუმრებმა ისარგებლეს მასპინძელთა რიცხობრივი უმცირესობით და ანგარიშში სხვაობა ისევ ერთ ბურთამდე დაიყვანეს. საერთოდაც, მსაჯებმა ქართველი წყალბურთელები შვიდჯერ გააძევეს და ამ პერიოდში გერმანელებმა სამი ბურთი გაგვიტანეს.

მეორე და მესამე რვაწუთიანი მონაკვეთები ფრედ - 1:1 დასრულდა. საქართველოს ჩემპიონები 24 წუთის განმავლობაში ერთბურთიან უპირატესობას ინარჩუნებდნენ. აი, ბოლო პერიოდში კი გერმანელებმა ჯერ ანგარიში გაათანაბრეს, საფინალო სასტვენამდე ორი წუთით ადრე კი პოლვერინომ თავისი გუნდი წინ გაიყვანა. „ლიგამუსი-თბილისი“ მეექვსე მარცხისგან რუსიშვილმა იხსნა - 6:6.

ჩომახიძის შეგირდებმა ჩემპიონთა ლიგაზე პირველი ქულა კი მოიპოვეს, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, A ჯგუფში მე-4 ადგილზე გასვლის შანსი დაკარგეს, უშუალო კონკურენტებიდან ჰოლანდიის „შუურმანს“ 6 ქულა აქვს, ხოლო „ვასპო-98“-მა უკვე 4 ქულას მოუყარა თავი. მართალია, 6 თებერვალს „შურმანს“ შინ ვეთამაშებით, მაგრამ მასთან გამარჯვება მხოლოდ კარების გაჯახუნება იქნება და ჩვენს გუშინდელ მეტოქეს - ჰანოვერის გუნდს პლეი ოფში გასვლის შანსს მივცემთ - ბოლო ტურში გერმანელები ტიტების ქვეყნის წარმომადგენლებს მასპინძლობენ. „შუურმანის“ გარდა, „ლიგამუსს“ კიდევ სამი მატჩი რჩება - ორი უნგრეთის „ეგერთან“ და ერთიც ვოლგოგრადის „სპარტაკთან“ სტუმრად, მაგრამ... სასწაულების ნამდვილად არ გვჯერა.

- დღეს პლეი ოფში გასვლის რეალური შანსი გავუშვით ხელიდან, - გვითხრა მატჩის შემდეგ რევაზ ჩომახიძემ. - თავდასხმაში უკეთ ვითამაშეთ, დაცვაში დავუშვით უხეში შეცდომები. რას იზამ. თუნდაც „ვასპოს“ მსგავს გუნდებს რომ მოუგო ჩემპიონთა ლიგაზე, მეტი რესურსი და საერთაშორისო თამაშებში გამოცდილება გჭირდება.

*„ქართველმა წყალბურთელებმა შინ ბევრად უკეთ ითამაშეს, ვიდრე გერმანიაში. პრესინგიც კარგად გამოუვიდათ. წაგების უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ რიცხობრივი უპირატესობის გამოყენება ვერ შეძლეს. ახალგაზრდული გუნდია, გამოცდილებას შეიძენს და მომავალ შეჯიბრებებში უკეთ ითამაშებს. ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, „ლიგამუსი“ როგორ გაირჯება ჰოლანდიელების წინააღმდეგ. მომდევნო ეტაპზე „ვასპოს“ გასვლის შანსი იმ მატჩზეცაა დამოკიდებული“,* - გვითხრა სტუმართა მთავარმა მწვრთნელმა.

მომდევნო შეხვედრას „ლიგამუსი-თბილისი“ 23 იანვარს ვოლგოგრადში „სპარტაკთან“ გამართავს.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგიონი. წლის მონაგარი

# ქუთაისისთვის სპორტის ყველა სახეობა მნიშვნელოვანია

**ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებაში 14 სპორტსკოლა, საცხენოსნო კლუბი და სპორტის სასახლე შედის, სადაც დაახლოებით 4000-მდე მოზარდია გაერთიანებული. როგორი იყო გასული წელი და რა მიზნებს ისახავს ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება 2013 წელს. ამის შესახებ სამსახურის უფროსი დავით აბულაძე გვესაუბრება.**


დავით აბულაძე

- 2012 წელი ქუთაისელი სპორტსმენებისთვის საკმაოდ წარმატებული გამოდგა. გამარჯვებულებისა და პრიზიორების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, თუ შევაჯამებთ, საქართველოს ჩემპიონატებსა თუ თასის გათამაშებებში ჩვენი ყოველი მეხუთე სპორტსმენი გამარჯვებული ან პრიზიორი გახდა. ეს არის იმ დიდი გუნდის თავდაუზოგავი შრომის შედეგი, რომელიც ქუთაისში ბავშვთა სპორტის განვითარებისთვის მუშაობს.

**- რა როლი ითამაშა ამ საქმეში თქვენმა სამსახურმა და რით დაეხმარა სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება სპორტსმენებს მიზნების მიღწევაში?**

- ყველაზე მთავარი, რაც სასიკეთოდ წაადგა ადგილობრივ სპორტს, ეს იყო სამივლინებო თანხების გაზრდა. ადრე კვებისთვის 8 ლარი იყო გამოყოფილი სასტუმროსთვის კი 15 ლარი, რაც დღევანდელობისთვის მართლაც შეუსაბამო თანხაა და სპორტსმენების უკმაყოფილებას იწვევდა. შარშან ეს თანხები გაორმაგდა. დაფინანსების გაზრდამ შედეგებზეც დადებითად იმოქმედა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჩვენი სამსახურის შექმნის დღიდან სპორტსკოლებში არ შეჩერებულა სარემონტო სამუშაოები, მე-17 სპორტულ ფილიალში მალე თანამედროვე, კეთილმოწყობილი ბაზა გვექნება, სადაც ერთდროულად 70-80 ბავშვს დავაბინავებთ. კვების ბლოკიღა დარჩა გასაკეთებელი და მალე ჩვენს ბავშვებს იქ მოსამზადებელი შეკრებების გავლაც შეეძლებათ. ყოველივე ამან კი შედეგების გაუმჯობესებაზე უნდა იმოქმედოს.

**- სპორტსკოლებისა და დარბაზების კეთილმოწყობა რა თანხებით ხორციელდება?**

- ეკონომიის ხარჯზე. ამ ფულით არცთუ ისე მცირე სამუშაო ჩავატარეთ. მე-17 სპორტსკოლასთან ერთად გაკეთდა ფარიკაობის სკოლა, მე-12 სპორტსკოლის სპორტული ტირი, გარემონტდა დარბაზები. რაგბის სპორტსკოლის გარდა, სადაც სამუშაოები რაგბის კავშირის პროგრამით მიმდინარეობს, თითქმის ფილიალებში ჩავატარეთ მცირე სამუშაოები. წლეულს ვაპირებთ ყველა სპორტსკოლაში მოვაწესრიგოთ სანიტარული პირობები... ამ წლიდან სპეციალური პროგრამით დავიწყებთ მუშაობას თბილისის 2015 წლის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისთვის. გეგმა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვითაა გაწერილი, რომელსაც კოორდინირებული მუშაობისთვის სპორტის სამინისტროს და ფედერაციებსაც გავაცნობთ. ვფიქრობ, რომ ამ შეჯიბრებაზე 15-20 სპორტსმენი უნდა გამოვიყვანოთ. ეს არის ის აუცილებელი ამოცანა, რაზეც დღესვე უნდა დავიწყოთ მუშაობა, რომ 2015 წელს შესაბამისი შედეგი მივიღოთ.

**- ეს იმას, ხომ არ ნიშნავს, რომ პრიორიტეტი იმ სპორტის სახეობებს მიენიჭება, რომელიც თბილისის 2015 წლის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე იქნება წარმოდგენილი?**

- ფესტივალის პროგრამაში მხოლოდ სპორტის 9 სახეობაა შეტანილი, ჩვენთვის კი სპორტის ყველა სახეობა მნიშვნელოვანია. ვმუშაობთ ისეთი სახეობების წამოწევაზე, რომლებიც წლების განმავლობაში მივიწყებული იყო და ფაქტობრივად აღარც არსებობდა. მაგალითად, ბოლო წლებში პირველად გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში, სადაც ქუთაისელმა სპორტსმენებმა პირველი ადგილი დაიკავეს, რამაც ძალიან გაგვახარა. გამოჩნდნენ პერსპექტიული სპორტსმენები აკრობატიკაში, მხტვრულ ტანვარჯიშში, მშვილდოსნობაში, წინა პლანზე წამოიწია წყალბურთმა. აღარაფერს ვამბობ ისეთ ტრადიციულ სახეობებზე, როგორიცაა რაგბი, კალათბურთი, ჭადრაკი, ძიუდო და ჭიდაობის სახეობები. დიდი ძვრები არის ნიჩბოსნობაში, სადაც ახალგაზრდა მწვრთნელების კარგი გუნდი ჩამოყალიბდა და შედეგებიც მალე გვექნება. ჩვენი სამსახურის ფუნქცია არა მარტო ჭიდაობისა თუ სხვა ტრადიციული სახეობების განვითარება, არამედ სპორტის მასობრიობის ხელშეწყობაა და ვცდილობთ, რომ ეს ამოცანა წარმატებით შევასრულოთ.

ქუთაისში 40-ზე მეტი სპორტის სახეობაა დანერგილი და ჩვენი მიზანია, ყველა მათგანს თანაბარი პირობები შევუქმნათ.

**- რომელმა სპორტსმენმა ან გუნდმა შემოგთავაზათ გასულ წელს სასიამოვნო სიურპრიზი?**

- ძალიან გახარებულები ვართ ჩვენი მორაგბეების წარმატებით („აიას" ჭაბუკთა გუნდი), რომლებმაც ჭაბუკთა ა ლიგაში პირველი ადგილი დაიკავეს. ჩემპიონები გახდნენ კალათბურთელებიც, თუმცა ყველაზე მოულოდნელი პატარა წყალბურთელების ჩემპიონობა იყო. ახალჩამოყალიბებული გუნდია და მართლაც კარგი სიურპრიზი შემოგვთავაზეს.

**- ქვეყანაში პოლიტიკური ვითარება შეიცვალა და ეს კორექტივებს ხომ არ შეიტანს სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების გეგმებში?**

- არა მგონია რაიმე ცვლილება მოხდეს. ჩვენ მთლიანად ადგილობრივი ბიუჯეტიდან ვფინანსდებით. სპორტის მინისტრი, ბატონი ლევან ყიფიანიც მხარს უჭერს სპორტული სკოლების არსებობას და მათ დაფინასებას ადგილობრივი ბიუჯეტებიდან. ასეთი სქემა საშუალებას გვაძლევს ყოველგვარი გადასახადის გარეშე მოვიზიდოთ ნიჭიერი ბავშვები, ისინი ჩვენს სპორტსკოლებში უფასოდ ვარჯიშობენ, შეჯიბრებებზე დადიან, სპორტულ ფორმები ურიგდებათ, ერთი სიტყვით, ყველა პირობას ვუქმნით, რომ თავიანთი შესაძლებლობები ბოლომდე გამოავლინონ. ქუთაისი ოდითგანვე ნიჭიერი სპორტსმენების სამჭედლო იყო და ეს ტრადიცია უნდა გავაგრძელოთ. მჯერა, რომ სპორტის სამინისტროსა და ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით ქუთაისში სპორტი კიდევ უფრო განვითარდება.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან



## გურამ დათიაშვილი

არიან მწვრთნელები, რომლებიც თავიანთ შეგირდებს არა მარტო სპორტული მიღწევებისთვის ამზადებენ, არამედ ცხოვრებისთვისაც, უნერგავენ მათ მაღალ ზნეობას და ამით თავიანთი წვლილი შეაქვთ შეგირდის სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიულად აღზრდაში. უპირველესად სწორედ ამ თვისებებით გამოირჩეოდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში **გურამ დათიაშვილი.**

ამ ბრწყინვალე სპეციალისტის სამწვრთნელო ქურაში გამოიწრთო საქართველოს საფალავნოს არაერთი თაობის წარჩინებული წარმომადგენელი, რომლებისთვისაც გურამ მასწავლებელმა სპორტი პიროვნებად ჩამოყალიბებისა და ცხოვრების სკოლად იქცა. ამ ადამიანს ჰქონდა საოცარი უნარი საერთო მიზნისთვის შეეკრა-შეეკავშირებინა გუნდი. სწორედ ამან განაპირობა, რომ 1973 წელს მისი შეგირდები ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ქართული სპორტის ისტორიაში პირველად დაეუფლნენ ევროპის თასს, რაც ჯერჯერობით განუმეორებელია.

გურამ დათიაშვილი ქვეყნისა და ქართული სპორტის, თავისი მრავალრიცხოვანი შეგირდების წინაშე ვალმოხდილი 77 წლისა წავიდა ამ ქვეყნიდან. მისი ნათელი ხსოვნა დავიწყებას არ მიეცემა.

**საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია**

ჩოგბურთი

# წყვილებში უკეთ ასპარეზობენ

თბილისელი ჩოგბურთელი **ოქსანა კალაშნიკოვა**, როგორც გაუწყეთ, ჩინური გუანჩჟოუს საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 50.000 დოლარი) მონაწილეობს. ერთეულებში იგი სტარტზევე გამოეთიშა შეჯიბრებას, წყვილებში კი ტაილანდელ ნოპავან ლერტჩეევაკარნთან ერთად ორი ეტაპი დაძლია. პირველ წრეში მასპინძლები - ძია სიან ლუს და ძია-ძიან ლუს დუეტი დაამარცხა (6:4, 6:1), გუშინაც ჩინელებს - თინ ლის და ძინ-ძინ ლუს აჯობა იოლად - 6:1, 6:1. დღეს ნახევარფინალშიც მასპინძლებს - ჩენ ლიანსა და შენ-ნან სუნს დაუპირისპირდება. შეგახსენებთ, რომ კალაშნიკოვა მეწყვილესთან ერთად ტურნირზე მეორე ნომრადაა განთესილი. მეორე ნახევარფინალში აკარი ინოე - მიკი მიიამურა (ორივე - იაპონია) და ირინა ბურიაჩოკი - ნადია კიჩენოკი (ორივე - უკრაინა) გაარკვევენ ერთმანეთთან ურთიერთობას.

**სოფიო ქვაცაბაია** ანტალიის 10.000-იან ტურნირში ცდის ძალებს. ერთეულთა თანრიგში ისიც პირველსავე წრეში გამოეთიშა ასპარეზობას. წყვილებში კი მის მძლეველ მარიანა ზაკარლიუკთან (უკრაინა) ერთად გამოდის. სტარტზე ჩვენებურმა და მისმა მეწყვილემ ანგელინა კლიმოვას (გერმანია) და იოანა პოსირკას (რუმინეთი) მოუგეს - 6:2, 6:2. მეოთხედფინალში ისინი მარიტ ბოონსტრას (ჰოლანდია) და მარიანას დას - ტაისია ზაკარლიუკს (უკრაინა) დაუპირისპირდებიან.

■ ■ ■

შეგახსენებთ, რომ 14 იანვრიდან მელბურნის კორტებზე ავსტრალიის ღია პირველობა დაიწყება. უკვე გამოქვეყნდა საკვალიფიკაციო ბადის შემადგენლობა, რომელშიც პირველ ნომრადაა განთესილი უკრაინელი ლესია ცურენკო. იგი მსოფლიო რეიტინგით 83-ე ადგილზეა. კვალიფიკაციაში არ ფიგურირებს 22 წლის ქართველი ჩოგბურთელის - **ანა ტატიშვილის** გვარი. ეტყობა, იგი ძირითად ბადეშია დაშვებული. მისი წილისყრა კი 11 იანვარს გაიმართება.

**ვაჟა დანელია**


ოქსანა კალაშნიკოვა

თარიღები და მოვლენები

### 10-11 ივნისი

**10. 01. 1972 წ.** ცნობილი გახდა, რომ ბაკურიანელი 37 წლის ვეტერანი ტრამპლინიდან მხტომელი **კობა წაქაძე** საპაროს 1972 წლის ზამთრის ოლიამპიადაზე გაემგზავრება საბჭოთა კავშირის ნაკრებში. ეს უფლება მან ბაკურიანში გამართულ „მფრინავ მოთხილამურეთა" წინასაოლიმპიადო ტურნირში მოიპოვა.

**11. 01. 1915 წ.** დაიბადა **გაიოზ ჯეჯელავა** - ფეხბურთი გარდაიცვალა 2005 წელს.

**11. 01. 1973 წ.** დაიბადა **ირაკლი ჯაფარიძე** - კალათბურთი.

**11. 01. 1971 წ.** თბილისელმა ჩოგბურთელმა **ა. მეტრეველმა** წარმატებით აიღო სტარტი სამხრეთ უელსის ტურნირში. პირველ შეხვედრაში მან ავსტრალიელი ს. ვედერბორნი დაამარცხა - 6:4, 6:2, 7:5.

ჭადრაკი


შოთა აზალაძე (წინა პლანზე) და დავით ბენიძე

# მხოლოდ ყაიმი და მარცხი

ერევანში გრძელდება ანდრანიკ მარგარიანის მემორიალი, რომელშიც 5 ქვეყნის 10 მოჭადრაკე წრიული სისტემით იბრძვის მთავარი პრიზისთვის. შეჯიბრებაში ორი ჩვენებურიც მონაწილეობს. **დავით ბენიძე** და **შოთა აზალაძე** პირველ ტურში ერთმანეთს დაუზავდნენ. გუშინ ბენიძემ ლევონ ბაბუჯიანთან (სომხეთი) გაიყო ქულა, აზალაძემ კი ტიგრან ჰარუთიუნიუნთან (სომხეთი) წააგო. დანარჩენი სამი პარტია ყაიმით დამთავრდა: მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს შტეფან ჟილკა (ჩეხეთი) - ჰოვანეს გაბუზიანი (სომხეთი), მარტინ კრავცივი (უკრაინა) - კარენ გრიგორიანი (სომხეთი), ალექსეი გოგანოვი (რუსეთი) - ანდრეი ბარიშპოლეცი (უკრაინა).

ორი ტურის შემდეგ: გრიგორიანი, ჰარუთიუნიანი, გოგანოვი - 1,5-1,5, ბარიშპოლეცი, კრავცივი, გაბუზიანი, ბენიძე - 1-1, აზალაძე, ჟილკა, ბაბუჯიანი - 0,5-0,5 ქულა.

მესამე ტურში ითამაშებენ: ბარიშპოლეცი - ბაბუჯიანი, გრიგორიანი - გოგანოვი, გაბუზიანი - კრავცივი, აზალაძე - ჟილკა, ბენიძე -ჰარუთიუნიანი.

**ვაჟა დანელია**

დარჩა 237 დღე

ევრობასკეტი. სლოვენია 2013

## მეტოქის თვალით

# ხორვატებმა საქართველო პოლონეთის შემდეგ გაამწესეს

სპორტულ ენაზე რომ ვთქვათ, 2012 ოლიმპიური წელიწადი იყო. თუ ამავე პრინციპს მივყვებით, 2013 საკალათბურთო წელია, რადგან სექტემბერში ევროპის ჩემპიონატი იმართება. ქართველებსაც თამამად შეგვიძლია ვწეროთ ევრობასკეტის ამბებზე, რადგან ჩვენი ნაკრები ზედიზედ მეორედ მოხვდა ევროპის უმთავრეს ფორუმზე.

დღეიდან ყოველ კვირას მინიმუმ ერთხელ შემოგთავაზებთ რუბრიკას „ევრობასკეტი“ და ყოველი შეხვედრისას შეგახსენებთ, რამდენი დღე გვაშორებს ევროპის ჩემპიონატს.

ამჯერად ჩვენი ჯგუფის ერთ-ერთი წევრის, ხორვატიის თვალით შევათვალიეროთ მომავალი მეტოქეები: ესპანეთი, პოლონეთი, ჩეხეთი, სლოვენია... ეს სტატია ერთ-ერთ ხორვატულ საიტზე გამოქვეყნდა. შესავალში აღნიშნულია, რომ C ჯგუფში ერთადერთი გუნდი, რომელსაც NBA-ში კალათბურთელი არ ჰყავს, ხორვატიაა.


ნავარო ესპანეთის ნაკრებში, სავარაუდოდ, აღარ ითამაშებს

### ესპანეთი

ამერიკის ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციიდან ყველაზე მეტი მოთამაშე ესპანეთის ნაკრებშია თავმოყრილი. **პაუ გასოლმა, ფელიპე რეიესმა** და **ხუან კარლოს ნავარომ** გამოაცხადეს, რომ ნაკრებში ადგილს ახალგაზრდებს დაუთმობენ. თუმცა პირენეელები მათ გარეშეც ფავორიტები იქნებიან, გავიხსენოთ თუნდაც ოთხი გვარი: **გასოლი** (ოღონდ მარკი), **კალდერონი, იბაკა, ფერნანდესი**. მათ 2013 წელს ფენომენი **რიკი რუბიოც** შეუერთდება.

### სლოვენია

სლოვენიელებმა პირველი ეტაპისთვის ქალაქი ცელიე აირჩიეს, რომელშიც **ბენო უდრიხია** დაბადებული. იგი ევრობასკეტზე არ ითამაშებს, სამაგიეროდ მასპინძლებს NBA-ს გამოცდილების მქონე, ფინიქსელი **გორან დრაგიჩი** გაუძღვებათ. მას 34 წლის **იაკა ლაკოვიჩი** დაეხმარება.

სლოვენიელთა დამრტყმელი ძალა მაინც წინა ხაზია - ბარსელონელი **ერაზემ ლორბეკი** და რეალელი **მირზა ბეგიჩი.**

მწვანეებისთვის ევრობასკეტზე ნაჩვენები საუკეთესო შედეგი, მეოთხე ადგილი 2009 წელზე მოდის. ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლა მათ საბერძნეთთან დათმეს - 56:57.


სლოვენიელი გორან დრაგიჩი შენგელიასა და შერმადინის გარემოცვაში

### პოლონეთი

წინასწარ შეიძლება ითქვას - მხოლოდ **მარცინ გორტატი** და **მაცეი ლამპე** პოლონეთს მეორე ეტაპზე ვერ გაიყვანენ. მარცინს NBA-ში თამაშის ხუთწლიანი სტაჟი აქვს. თავიდან „ორლანდოში“ **ჰოვარდის** შემცვლელი იყო, ახლა კი „ფინიქსის“ სასტარტო კალათბურთელია.

მეორე მეფარე, ლამპეც თამაშობდა ოკეანის გაღმა, მაგრამ ნაკლებად წარმატებით. ამჟამად ესპანური „კახა ლაბორალის“ წევრია.

პოლონეთის ნაკრების კალათბურთელთა უმეტესობა შიდა ჩემპიონატის წამყვან გუნდებს წარმოადგენენ. არ არის გამორიცხული, ევრობასკეტისთვის ნატურალიზებული ამერიკელი **დევიდ ლოგანი** დაიმატონ, რომელიც „მაქაბის“ ღირსებას იცავს და პოლონელებს 2009 წელს ეხმარებოდა.

შესარჩევ ეტაპზე პოლონეთმა ორი მატჩი წააგო, ორივე შინ - ფინეთთანა და ბელგიასთან.

### საქართველო

ქართველები სლოვენიაში NBA-ს ორი კალათბურთელით ჩამოვლენ. **ზაზა ფაჩულია** ამერიკაში 2003 წლიდან თამაშობს და საშუალოდ 7 ქულასა და 8 მოხსნას აგროვებს.

**თორნიკე შენგელია** შედარებით ახალგაზრდაა. იგი 2012 წლის დრაფტის შემდეგ „ბრუკლინს“ დარჩა და გუნდისგან კონტრაქტიც დაიმსახურა.

NBA-ში თამაშისკენ ისწრაფვოდა ცენტრი **გიორგი შერმადინიც**, თუმცა ევროპაშიც კარგად აიწყო კარიერა - ევროლიგის წამყვან გუნდებში გამოდის.

საქართველოს ნაკრების უკანა ხაზი შედარებით სუსტია, თუმცა იქაც არიან მაღალი დონის კალათბურთელები: კანტუელი **მანუჩარ მარკოიშვილი** დიდებული მსროლელია. კავკასიელები ევრობასკეტისთვის სავარაუდოდ, ახალ ამერიკელს დაიმატებენ, რადგან ბოლომდე ვერ გაამართლეს **კორი ფიშერმა** და **ჯეიკობ პულენმა.**

საქართველოს ნაკრებმა შესარჩევ ეტაპზე რვიდან ორი მატჩი დათმო - ბოსნიასა და ჰოლანდიასთან.

### ჩეხეთი

ახალგაზრდა **იან ვესელი** სერბული „პარტიზანის“ ღირსებას იცავდა, ახლა კი „ვაშინგტონში“ ირჯება. NBA-ში არაერთი წელი აქვს გატარებული გამთამაშებელ **ჟირი ველშს** („დალასი“, „გოლდენ სტეიტი“, „ბოსტონი“, „კლივლენდი“, „მილუოკი“), რომელიც, ბოლოს და ბოლოს, სამშობლოში დაბრუნდა და „ნიმბურკის“ ღირსებას იცავს.

განვლილ შესარჩევზე საუკეთესო ჩეხი **დევიდ ჟელინეკი** იყო. მისმა თანანაკრებელებმა კი იტალიისა და თურქეთის შემდეგ შესარჩევ ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავეს.

***რაც შეეხება უშუალოდ ხორვატიის ნაკრებს, მასსა და დანარჩენ მეტოქეებზე უფრო ვრცლად თანმიმდევრულად მოგითხრობთ.***

## ქართველები NBA-ში

# ზაზა და ევროპელი მგლები

**ზაზა ფაჩულიასა** და **თორნიკე შენგელიას** გუნდებმა NBA-ში მორიგი გასვლითი მატჩები გამართეს. თორნიკეს „ბრუკლინ ნეთსმა“ „ფილადელფია სიქსერსი“ დაამარცხა (109:89), ხოლო „ატლანტა ჰოქსმა“ დრამატულ ბრძოლაში წააგო „მინესოტა ტიმბერვულვზთან“ (103:108).

საინტერესო სანახავი გამოდგა მინეაპოლისური მატჩი, რომელშიც ორი სხვადასხვა სტილის გუნდი დაუპირისპირდა ერთმანეთს. „მინესოტაში“ წამყვან პოზიციებზე თამაშობენ ევროპელები: **შვედი, კირილენკო** (ორივე რუსეთი), **რუბიო** (ესპანეთი) და **პეკოვიჩი** (ჩერნოგორია). მათგან სამი გუშინ სასტარტო ხუთეულში იყო. „მგლები“ ევროპულ, პასებზე ორიენტირებულ კალათბურთს თამაშობენ. იყო მომენტი, როცა ისინი „ატლანტას“ პერიმეტრსა და სამწამიან ზონაში ბურთს სწრაფად, თავის ნებაზე ატრიალებდნენ, რასაც შედეგიც მოჰყვა - მესამე პერიოდის ბოლოს მასპინძლები 16 ქულის სხვაობით დაწინაურდნენ (58:42). ამ დროისთვის „ვულვზის“ ცენტრ ნიკოლა პეკოვიჩს უკვე ორმაგი დუბლი ჰქონდა შესრულებული, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ატლანტელთა ფარქვეშ დომინირებდა.

იკითხავთ, სად იყო ამ დროს ქართველი ცენტრი **ზაზა ფაჩულია**, ან რას აკეთებდნენ სტუმრები? დავიწყოთ იქიდან, რომ უფრო ამერიკული სტილით, ინდივიდუალიზმზე ორიენტირებულმა „ატლანტამ“ მასპინძელთა დაცვითი ზღუდის გადალახვა ვერ მოახერხა. სროლა არ წაუვიდათ **ჯოშ სმიტსა** და **ელ ჰორფორდს,** პერიმეტრიდან ტყორცნას არ ანებებდნენ **კაილ კორვერს**. რაც შეეხება ფაჩულიას, მწვრთნელმა იგი პირველ ტაიმში არასათანადოდ დატვირთა.

მეოთხე პერიოდის დასაწყისში „ატლანტას“ სათადარიგოებმა დაცვაში თამაში დაალაგეს, შეტევაში კი ქულას ქულა წაუმატეს და ზაზა ფაჩულიას შორეული ტყორცნის შემდეგ ჯორჯიელთა ჩამორჩენა 10 ქულას ჩამოსცდა. საინტერესო სანახავი იყო ფაჩულიას თითოეული ტყორცნა: 4-5 მეტრის დისტანციიდან აგდებდა (მხოლოდ ერთი ააცილა), ფარქვეშიდან ერთადერთხელ „დალაშქრა“ „მინესოტას“ კალათი, მაგრამ მსაჯებმა არ ჩაუთვალეს - სამი წამის წესი დაირღვაო. მალე სათადარიგოები სასტარტოებმა შეცვალეს, თუმცა ზაზა და **ლუ უილიამსი** მწვრთნელმა მოედანზე დატოვა. საინტერესოა, რომ მანამდე ეფექტურად მოთამაშე პეკოვიჩმა მეოთხე რაუნდში მხოლოდ 4 ქულა და 2 მოხსნა მოაგროვა (მას ფაჩულია მეურვეობდა). ჩერნოგორიელის ერთი ორქულიანი არბიტრებმა სადავო სიტუაციაში ჩათვალეს: ჯოშ სმიტმა დაუფარა, თუმცა მსაჯებმა ანიშნეს - ბურთი კალათისკენ დაღმავალი ტრაექტორიით „მიეშურებოდაო“. ეს იყო მატჩის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი 2 ქულა, რომლის შემდეგაც „მინესოტა“ 104:101 დაწინაურდა (სირენამდე კი 52 წამი რჩებოდა). ბოლო წუთებზე ასევე ღირებული სამქულიანები ჩააგდო რუსმა ანდრეი კირილენკომ, ხოლო საბოლოო წერტილი ასევე შორეული ტყორცნით **დანტე კანინგემმა** დასვა.

### მინესოტა–ატლანტა 108:103

**ზაზა ფაჩულია:** 24 წუთი, 8 ქულა (4\3 ორქულიანი, 2\2 საჯარიმო), 3 მოხსნა, 1 პასი, 2 ჩაჭრა, 3 შეცდომა, 1 ფოლი.

| | | |
|---|---|---|
| **I პერიოდი** | | |
| 3:24 | ჰორფორდი შეცვალა | 15-20 |
| **II პერიოდი** | | |
| 10:32 | ფოლი: 1 | 22-34 |
| 10:32 | შეცდომა: 1 | 22-34 |
| 7:58 | საჯარიმოები: 2\2 (2ქ) | 29-44 |
| 6:13 | სმიტმა შეცვალა | 34-49 |
| 0:02 | უილიამსი შეცვალა | 42-56 |
| **III პერიოდი** | | |
| 2:17 | ჰორფორდი შეცვალა | 67-79 |
| 1:51 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 | 67-82 |
| 0:29 | ორქულიანი: 4ქ | 71-84 |
| **IV პერიოდი** | | |
| 11:41 | მოხსნა: შეტ-0, დაც-2 | 71-85 |
| 11:02 | ორქულიანი: არაზუსტი | 73-87 |
| 10:52 | ჩაჭრა: 1 (რუბიოს აართვა) | 73-87 |
| 10:14 | შეცდომა: 2 | 75-87 |
| 9:12 | მოხსნა: შეტ-0, დაც-3 | 77-88 |
| 8:51 | ორქულიანი: 6ქ | 79-88 |
| 6:56 | ორქულიანი: 8ქ | 86-92 |
| 4:31 | შეცდომა: 3 | 89-98 |
| 3:40 | ჩაჭრა: 2 (შვედს აართვა) | 89-100 |
| 3:34 | პასი: 1 (სმიტი 2ქ) | 91-100 |

„ფილადელფიასთან“ მატჩი თორნიკე შენგელიასთვის NBA-ში მეთორმეტე იყო. მისი გუნდის, „ბრუკლინის“ მწვრთნელები თოკოს, **ტელეტოვიჩსა** და **ტეილორს** მხოლოდ მაშინ ათამაშებენ, როცა მატჩის ბედი გადაწყვეტილია. ბრუკლინელებმა მესამე პერიოდში გატეხეს „ფილადელფია“ და შენგელიასაც მატჩის ბოლოს 5 წუთი ერგო. დროის ამ მონაკვეთში მოედანზე სათადარიგოები იყვნენ, თავის გამოჩენას ცდილობდნენ, შესაბამისად პასებსაც ვერ იმეტებდნენ და ბურთი თორნიკემდეც იშვიათად აღწევდა.

ქართველმა ფორვარდმა ერთ ეპიზოდში ჩვეული სლალომი წამოიწყო, თუმცა მასზე დაჯარიმდნენ და თავის მონაგარს ორი ზუსტი საჯარიმო შემატა.

### ფილადელფია–ბრუკლინი 89:109

**თორნიკე შენგელია:** 5 წუთი, 2 ქულა (1\0 სამიანი, 2\2 საჯარიმო), 1 მოხსნა, 1 პასი.

| | | |
|---|---|---|
| **IV პერიოდი** | | |
| 4:58 | ბოგანსი შეცვალა | 99-78 |
| 3:19 | მოხსნა: შეტ-1, დაც-0 | 101-78 |
| 3:18 | პასი: 1 (ბლატჩე 2ქ) | 103-78 |
| 1:49 | საჯარიმოები: 2\2 (2ქ) | 107-81 |
| 0:56 | სამქულიანი: არაზუსტი | 109-85 |

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**


ზაზას ამ შორეულმა ტყორცნამ მიზანს მიაღწია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# ფანჯარა გაიხსნა, ლეგიონი გაიზარდა

**საქართველოს ჩემპიონატში საზამთრო არდადეგებია. ოფიციალურად სატრანსფერო ფანჯარაა გამოცხადებული, რომელიც 15 იანვარს იხურება. მოთამაშეების გარკვეული ნაწილი ერთი ქართული კლუბიდან მეორეში გადადის. თუმცა არიან ისეთებიც, რომლებმაც უცხოეთს მიაშურეს.**


ბიძინა სამხარაძე

უკვე გადაწყვეტილია, რომ საქართველოს ჩემპიონისა და თასის მფლობელის, „არმიას" რიგებს დატოვებენ ცხრა ნომერი **ბიძინა სამხარაძე** და შერკინების ბურჯი **გიორგი ხოსიტაშვილი.** ორივე მორაგბე რუმინეთში, ამ ქვეყნის ჩემპიონ „ტიმიშოარაში" განაგრძობს კარიერას.

შეგახსენებთ, რომ „ტიმიშოარას" ღირსებას იცავს ქართული წარმოშობის რუმინეთის ნაკრების შერკინების კვაჭი **ოთარ ტურაშვილი.** აღსანიშნავია, რომ სამხარაძე და ხოსიტაშვილი რუმინეთში უწინაც ასპარეზობდნენ. ისინი ოთხი წლის განმავლობაში კონსტანცას „ფარულის" წამყვანი მორაგბეები იყვნენ.

ამის გარდა, კიდევ რამდენიმე ტრანსფერი მზადდება, თუმცა სანამ ყოველივე საბოლოოდ არ გაირკვევა, რაგბის კავშირი ინფორმაციის გავრცელებისგან თავს იკავებს.

რადგან ლეგიონერებზე ვსაუბრობთ, აქვე გავიხსენოთ ის მოთამაშეებიც, რომლებიც საფრანგეთის ფედერალ 1 დივიზიონში ასპარეზობენ, მით უფრო, რომ ელიტურ პირველ და მეორე დივიზიონში მოთამაშე ჩვენებურებზე უკვე გიამბეთ.

საფრანგეთის ამ სანახევროდ პროფესიულ დივიზიონში ქართველ მორაგბეთა რაოდენობამ სეზონის დაწყების წინ საგძნობლად იკლო. ამის მიზეზი პოზიტიური იყო, ფედერალ 1 დივიზიონში მოთამაშე ქართველ მორაგბეთა დიდმა ნაწილმა რანგით უფრო მაღალი, ელიტური, მეორე დივიზიონის გუნდებში გადაინაცვლა. ამჟერად ფედრალ 1 დივიზიონის 15 გუნდში 21 ქართველი მორაგბე ირიცხება. აქედან ექვსი უკანახაზელია, ერთი - მეორეხაზელი და 14 პირველხაზელი.

ფედერალ 1 დივიზიონში აქამდე 11 ტურია ჩატარებული და გუნდები საშობაო არდადეგებზე იმყოფებოდნენ. გათამაშება მომავალ უქმეებზე განახლდება. დღეისთვის საუკეთესო მაჩვენებელი „ქართული გუნდებიდან" **ბაჩუკი გუჯარაიძისა და შოთა ცხოვრებაშვილის** „სენ ნაზერს" აქვს, რომელიც 49 ქულით C ჯგუფში მეორე ადგილზეა.

გუჯარაიძე მეორეხაზელია და ძირითად შემადგენლობაში რეგულარულად თამაშობს. მას ეროვნულ ნაკრებშიც ჰქონდა თავის გამოჩენის შანსი. კერძოდ, მაშინ, როცა „ბორჯღალოსნებს" ავსტრალიელი **ტიმ ლეინი** ხელმძღვანელობდა, ბუქარესტში გამართულ IRB-ის ერთა თასის გათამაშებაში იასპარეზა. მას შემდეგ, კი რამდენჯერმე საქართველოს A ნაკრებში ითამაშა. ცხოვრებაშვილი, რომელიც შერკინების ბურჯია „სენ ნაზერის" შემადგენლობაში იშვიათად ჩნდება.

„სენ ნაზერს" ორი ქულით ჩამორჩება და ამავე ჯგუფში მესამე ადგილზეა **თედო ზიბზიბაძის** „პერიგო". საქართველოს ნაკრების ამ შუამარბს წარდგინება არ სჭირდება. ის დიდი ხანია „ბორჯღალოსანთა" კვართს ატარებს და მსოფლიოს ორ თასზე აქვს ნათამაშები.

A ჯგუფში 34 ქულით მესამე ადგილზეა **შოთა მელიქიძისა და ავთანდილ კოპალიანის** „მაკონი". ისინი შერკინების ბურჯები არიან და ასპარეზობა ხშირად უწევთ. კოპალიანი საქართველოს ნაკრების ყოფილი წევრია. ის ჩვენი ქვეყნის ღირსებას 2007 წლის მსოფლიოს თასის გათამაშებაში იცავდა. თუმცა მას მერე ეროვნულ ნაკრებში აღარ გამოუძახიათ.

B ჯგუფში 24 ქულით მეოთხე ადგილზეა და პლეი ოფში მოხვედრის შანსი აქვს **თენგიზ გელანტიასა და ბექა ურჯუკაშვილის** „ობენას". გელანტია პირველხაზელია, ის ერთი ხანობა რუსეთში ირჯებოდა, თუმცა მერე საფრანგეთს მიაშურა და სამ წელიწადზე მეტია იქ თამაშობს.

ურჯუკაშვილი საქართველოს ნაკრებში ტიმ ლეინის ერაში ერთ-ერთ ყველაზე იმედისმომცემ უკანახაზელად ითვლებოდა. „ბორჯღალოსანთა" რიგებში მან რამდენიმე მატჩი გამართა და ყველა შეხვედრაში ფულბეკი იყო. თუმცა ოფიციალურად ამპლუით გარემარბია, ობენაში კი შუამარბის (№12) პოზიციაზე ათამაშებენ. მისი ყველაზე დიდი დადებითი თვისება ფეხით თამაშია, თუმცა არც სისწრაფის უქონლობას უჩივის. ტანადაც საკმაოდ მაღალია, მაგრამ რატომღაც ლეინის მემკვიდრეების, რიჩი დიქსონისა და მილტონ ჰეიგის ყურადღება ვერაფრით მიიპყრო.

საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში არიან საქართველოს ნაკრების წევრების გუნდები, „როდეზი", „ბაგნერე" და „სენ ჟუნიენი". „ბორჯღალოსნების" შუამარბი **დავით კაჭარავა** „როდეზში" წლევანდელი სეზონის დაწყების წინ ჩაირიცხა. მანამდე „კაჭი" ამავე დივიზიონში მოთამაშე „ნიცას" ღირსებას იცავდა.

„როდეზი" 11 ტურის შემდეგ 17 ქულით B ჯგუფში ბოლო ადგილზეა და დივიზიონიდან გავარდნა ემუქრება. კაჭარავა ამ გუნდში ბოლო მომენტში მოხვდა. ვინაიდან მისი „ნიცა" ფინანსური პრობლემების გამო დააქვეითეს, მას ახალი გუნდის ძებნამ მოუწია. ერთი ხანობა ჭორიც კი გავრცელდა, კაჭარავა რუსეთში, მონინოს ვვა-ში გადადისო, მაგრამ ეს ინფორმაცია არ დადასტურდა. თუმცა, რომ არა „როდეზის" ვარიანტი, გამორიცხული არაფერი იყო. ერთი სიტყვით, „კაჭის" ეს გუნდიც „შავ დღეშია" და, შესაძლოა, ჩვენი ნაკრების ერთ-ერთ წამყვან მორაგბეს ისევ გუნდი გაუხდეს საძებნი.

D ჯგუფში 18 ქულით მერვე ადგილზეა **მერაბ კვირიკაშვილისა** და **გიორგი მჭედლიძის** „სენ ჟუნიენი". ჩვენებურთა ეს გუნდიც გავარდნის საფრთხის წინაშეა. საქართველოს ნაკრების მგეზავი მერაბ კვირიკაშვილი „სენ ჟუნიენის" მთავარი მესაჭე და დამრტყმელია. ძირითად შემადგენლობაში რეგულარულად თამაშობს პირველხაზელი გიორგი მჭედლიშვილიც.

ერთი ქულით ჩამორჩება და ამავე ჯგუფში ბოლოსწინა ადგილზეა **სიმონ მაისურაძისა** და **ლაშა მალალურაძის** „ბაგნერე". მაისურაძეს „ბორჯღალოსანთა" რიგებში არაერთხელ უთამაშია, ოღონ მესამეხაზელის პოზიციაზე. ბაგნერეში კი ის პირველ ხაზში გადაბარგდა და შერკინების კვაჭად თამაშობს.

მალალურაძე ერთი ხანობა ეროვნულ გუნდში ძირითად მგეზავად მიიჩნეოდა, ბოლო დროს კი კვირიკაშვილის დუბლიორია. თუმცა მას შემდეგ, რაც ნაკრებში ლელოელი **ლაშა ხმალაძე** გამოჩნდა, ამ პოზიციაზე კონკურენცია გაიზარდა და გუნდში ადგილის დასაბევებლად დიდი გარჯა მოუწევს.


თედო ზიბზიბაძე

ინტერვიუ ლაშა მალაღურაძესთან


ჯაბა და ლაშა მალაღურაძეები

# მნიშვნელოვანი შეჯიბრებაა, თუ გამომიძახებენ, ჩამოვალ

**საქართველოს ნაკრების მგეზავი ლაშა მალალურაძე ოთხ წელიწადზე მეტია საფრანგეთში თამაშობს და ამ დროის განმავლობაში რამდენიმე კლუბის გამოცვლა მოასწრო. მისი სარაგბო კარიერა თბილისის „ყოჩებში" დაიწყო. მერე უკრაინას მიაშურა და ძმასთან, ჯაბა მალალურაძესთან ერთად ოდესის „კრედოში" რამდენიმე წელიწადი ასპარეზობდა.**

სწორედ იმ პერიოდში მიიპყრო, მან საქართველოს ნაკრების მაშინდელი მწვრთნელის **ტიმ ლეინის** ყურადღება. ლაშა „ბორჯღალოსანი" გახდა. მისი და ჯაბას გზები გაიყო. უფროსი ძმა უკრაინის ნაკრებში მიიწვიეს და ისიც დათანხმდა.

ძმებს ერთხელ უკვე მოუწიათ ერთმანეთის პირისპირ თამაშმა. შარშანდელ ერთა თასის გათამაშების ბოლო მატჩში „ბორჯღალოსნებმა" უკრაინის ეროვნულ გუნდს თბილისში უმასპინძლეს და 33:3 მოუგეს.

ლაშას ფრანგული კარიერა თავიდან კარგად აეწყო. ის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტრადიციების „ბეზიეში" თამაშობდა და სათადარიგოთა სკამს ლეგენდარულ **ენდრიუ მერთენსს** ახეხინებდა. ლანგედოკელელები მაშინ ფედერალ 1 დივიზიონიდან ელიტურ, მეორე დივიზიონში გადაბარგდნენ. სამწუხაროდ, მწვრთნელებმა გუნდის გადახალისება გადაწყვიტეს და ქართველი მგეზავი იძულებული გახდა კარიერა ფედერალ 2 დივიზიონის სამოყვარულო კლუბში გაეგრძელებინა. წლევანდელი სეზონის დაწყებამდე კი ისევ ფედერალ 1 დივიზიონში დაბრუნდა. ამჯერად ლაშა მალალურაძემ „ბაგნერეს" კვართი მოირგო.

კარიერაში მიმდინარე პროცესებსა და მომავლის გეგმებზე სასაუბროდ ლაშას საფრანგეთში დავუკავშირდით.

**- რაგბის კლუბი „ბაგნერე" აქამდე უცნობი იყო ქართველი ქომაგისთვის. საინტერესო იქნება გვიამბოთ მის შესახებ...**

- ბაგნერე საფრანგეთის უკიდურეს სამხრეთში, ტარბთან ახლოს მდებარე პატარა ქალაქია. სულ ათი ათასი კაცი ცხოვრობს. გუნდს, ისევე როგორც ფრანგული კლუბების უმრავლესობას, ქალაქის სახელი ჰქვია. „ბაგნერე" ფედერალ 1 დივიზიონში წლეულს აღზევდა და ნორმალური, საკმაოდ კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურის კლუბია.

**- თქვენ გარდა „ბაგნერეში" კიდევ ერთი ქართველი სიმონ მაისურაძე თამაშობს...**

- დიახ, ამ გუნდში ჩვენ ერთად მიგვიწვიეს. სეზონისწინა შეკრებაც ერთად გავიარეთ. ის აქამდე მესამე ხაზში თამაშობდა, თუმცა „ბაგნერეში" შერკინების კვაჭის (№2) პოზიციაზე დააყენეს და იქ ასპარეზობა შესანიშნავად გამოსდის. ფაქტობრივად, ყველა მატჩში ძირითად შემადგენლობაშია.

**- მხოლოდ მგეზავის პოზიციაზე თუ სხვაგანაც გიწევთ თამაში?**

- ძირითადად მგეზავად (№10) ვთამაშობ. მხოლოდ ერთხელ გამამწესეს ფულბეკის (№15) პოზიციაზე. ძირითადი დამრტყმელი მე ვარ, თუმცა დუბლიორიც მყავს - ადგილობრივი, ფრანგი მორაგბეა. ისე, უცხოელები სულ ოთხნი ვართ. ჩვენ გარდა „ბაგნერეში" თითო ესპანელი და ურუგვაელი თამაშობს. სხვა ყველა ფრანგია.

**- რა მიზნები აქვს წლეულს „ბაგნერეს"?**

- ჩვენი გუნდი ფედერა 1 დივიზიონის D ჯგუფში ასპარეზობს. რეგულარული გათამაშების დასრულებამდე შვიდი ტური დარჩა და ამ დროისთვის 17 ქულით ბოლოდან მეორე ადგილზე ვართ. ცხადია, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მიზანი დივიზიონში ადგილის შენარჩუნებაა.

**- კლუბის ხელმძღვანელები კმაყოფილები არიან თქვენი თამაშით? ახალი კონტრაქტი ხომ არ შემოუთავაზებიათ?**

- დიახ, კმაყოფილნი არიან, თუმცა ახალი კონტრაქტის თაობაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა. „ბაგნერეში" ჩემი დარჩენის საკითხი იმის მიხედვით გადაწყდება, შეძლებს თუ არა გუნდი დივიზიონში ადგილის შენარჩუნებას. ამოცანის წარმატებით გადაჭრის შემთხვევაში შესაძლოა ამ გუნდში დავრჩე კიდეც.

**- საქართველოს ნაკრებმა ნოემბრის ტესტებზე შინ ორი მატჩი გამართა. თქვენ რატომ არ ითამაშეთ ეროვნულ გუნდში?**

- ნოემბრის ტესტებისთვის ნაკრებში ვერ მოვხვდი. მანამდე საფრანგეთში გამართულ მოკლევადიან შეკრებაზე გამომიძახეს, მაგრამ მერე მწვრთნელმა ისე გადაწყვიტა, რომ თამაშმა არ მომიწია.

**- მალე ერთა თასის გათამაშება იწყება, რომელიც იმავდროულად 2015 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირიცაა...**

- ძალიან მნიშვნელოვანი შეჯიბრებაა, მაგრამ ყველაფერი ჩემზე არ არის დამოკიდებული. პრობლემა არ მაქვს, თუ გამომიძახებენ, ჩამოვალ და ვითამაშებ.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

### ავტოსპორტი. დაკარი 2013



რობი გორდონი

# ამოტრიალებული გორდონი

დრამატულად განვითარდა მოვლენები რალი-რეიდ დაკარის მეოთხე ეტაპზე. ავტომარათონის მონაწილეებს პერუს ტერიტორიაზე 429 კილომეტრი უნდა დაეფარათ და ეს დისტანცია ბევრი გამოცდილი პილოტისთვის საკმაოდ რთული აღმოჩნდა.

ყველაზე მეტად ხელი მოეცარათ ესპანელ **კარლოს საინსსა** და ამერიკელ **რობი გორდონს**. საინსი დისტანციის მსვლელობისას რამდენჯერმე გაჩერდა და ეს მას ეტაპის გამარჯვებულთან სამსაათიან ჩამორჩენად დაუჯდა.

რაც შეეხება გორდონს, ის ზედმეტად აქტიურობდა და მაქსიმალურად ცდილობდა წინა ეტაპებზე დაგროვილი ჩამორჩენის გაბათილებას, მაგრამ საკუთარი შესაძლებლობები ვერ გათვალა და მისი „ჰამერი" ამოტრიალდა, რამაც გორდონს ბრძოლის გაგრძელების შანსი არ დაუტოვა.

ბოლო ეტაპებზე შესანიშნავად გამოიყურება კატარელი **ნასერ ალ-ატიია**, რომელმაც ზედიზედ მეორე რბოლა მოიგო და ოდნავ შეამცირა ჩამორჩენა საერთო ჩათვლის ლიდერთან, ფრანგ **სტეფან პეტერანსელთან**. ამ უკანასკნელმა მესამე ადგილი დაიკავა. ახლა, სხვაობა პეტერანსელსა და ალ-ატიიას შორის 5 წუთსა და 16 წამს შეადგენს.

გენერალურ კლასიფიკაციაში მესამე ადგილზე გადაინაცვლა სამხრეთაფრიკელმა **ჟინიელ დე ვილიერსმა**, რომელმაც მეოთხე პოზიციაზე დაასრულა ეტაპი. დე ვილიერსი პეტერანსელთან საკმაოდ ბევრს - 33 წუთს აგებს.

**საერთო ჩათვლა**

1. **სტეფან პეტერანსელი** (Mini) - 9:04.29; 2. **ნასელ ალ-ატიია** (Buggy) - +5.16; 3. **ჟინიელ დე ვილიერსი** (Toyota) - +33.22; 4. **ლეონიდ ნოვიცკი** (Mini) - +33.48; 5. **ხოან რომა** (Mini) - +39.06; 6. **გერლენ შიშერი** (SMG) - +42.32...

■ ■ ■

მოულოდნელად განვითარდა მოვლენები მოტოციკლების კლასში. მას შემდეგ, რაც მეორე ეტაპიდან მოყოლებული საერთო ჩათვლაში მოქმედი ჩემპიონი, ფრანგი **სირილ დეპრე** დაწინაურდა, ყველას ეგონა, რომ გამოცდილი მრბოლელი აღარავის დაუთმობდა პირველობას, მაგრამ მეოთხე ეტაპზე დეპრეს ძალიან ცუდი გამოსვლა ჰქონდა. ფრანგმა მხოლოდ მე-15 დრო აჩვენა, რის გამოც KTM-ის ლიდერს გენერალურ კლასიფიკაციაში „იამაჰას" ორმა პილოტმა - **ოლივიე პენმა** და **დავიდ კასტომ** გაუსწრეს.

პენმა მეორე ადგილი დაიკავა ეტაპზე და სათავეში ჩაუდგა საერთო ჩათვლას. ის ორწუთნახევარს უგებს კასტოს და სამ წუთზე ოდნავ მეტს - დეპრეს. საერთოდ, მოტოციკლებს შორის გენერალურ კლასიფიკაციაში დიდი სიმჭიდროვეა. ლიდერ პენსა და მეექვსე ადგილზე მყოფ **რუბენ ფარიას** შორის სხვაობა დაახლოებით ცხრა წუთს შეადგენს.

რაც შეეხება მეოთხე ეტაპის გამარჯვებულს, ეს გახლავთ **ხოან ბარედა ბორტი**, რომელიც ამ წარმატების წყალობით პირველ ექვსეულში დაბრუნდა და მეოთხე ადგილზე იმყოფება.

**საერთო ჩათვლა**

1. **ოლივიე პენი** (Yamaha) - 10:10.38; 2. **დავიდ კასტო** (Yamaha) - +2.24; 3. **სირილ დეპრე** (KTM) - +3.09; 4. **ხოან ბარედა ბორტი** (Husqvarna) - +5.38; 5. **ხორდი ვილადომსი** (Husqvarna) - +7.22; 6. **რუბენ ფარია** (KTM) - +8.39...

## ამბები

**კალათბურთი**

### ჯექსონი: არასდროს დავბრუნდები

"ლეიკერსის" ზედიზედ ოთხი მარცხის შემდეგ, ისევ ალაპარაკდნენ დიდ კალათბურთში NBA-ის ყველაზე ტიტულოვანი მწვრთნელის **ფილ ჯექსონის** დაბრუნების შესახებ. თუმცა გუშინ ESPN-მა დაწერა, რომ "ჩიკაგოსა" და "ლეიკერსის" ყოფილი დამრიგებელი არ აპირებს კარიერის განახლებას.

"აღარ ვაპირებ სამწვრთნელო სამუშაოზე დაბრუნებას", - განაცხადა ჯექსონმა.

ადრე იტყობინებოდნენ, რომ "ბრუკლინის" ხელმძღვანელობა ცდილობდა 67 წლის სპეციალისტის დათანხმებას, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

### როუზი უკონტაქტოდ ათამაშდა

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ვარსკვლავი **დერიკ როუზი** მუხლის ტრავმის შემდეგ აღდგენითი პროცესის მომდევნო ეტაპზე გადავიდა. მან უკვე დაიწყო თანაგუნდელებთან ერთად თამაში, ოღონდ მცველს შეზღუდული აქვს კონტაქტში შესვლა.

შემდეგი სტადიაა – სრული კონტაქტი, რომელიც, ფაქტობრივად, მის მოედანზე დაბრუნებას ნიშნავს.

### კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ჩემპიონების ანტირეკორდი

რთული დროება უდგას "მაიამის". ჩემპიონებს ინდიანაპოლისში ლიგის მეორე დაცვის წინააღმდეგ უწევდათ თამაში. **ფრენკ ფოგელის** შეგირდები საშუალოდ მატჩში 89.9 ქულას (საუკეთესოა "მემფისი" – 89.1) უშვებენ, გარდა ამისა, "პეისერსი" ლიდერობს მეტოქის მიერ თამაშიდან ჩაგდებული პროცენტის მიხედვით. თავის მხრივ, "მაიამის" პირველი ადგილი აქვს ტყორცნების გამოყენების პროცენტით, მაგრამ ფლორიდელების რიგებში სერიოზული კრიზისი სახეზეა. "ჰიტმა" ბოლო შვიდი მატჩიდან ძირითად დროში მხოლოდ ერთი მოიგო და ისიც ასოციაციის ყველაზე უარეს გუნდთან – "ვაშინგტონთან". უმეტესწილად, "მაიამის" პრობლემა შედეგიანობის დაცემასა და სათადარიგოთა სკამის პროდუქტიულობის კლებას უკავშირდება, აგერთვე ფარქვეშ ბრძოლისას სრულ ჩავარდნას. საკმარისია აღინიშნოს ის, რომ **უესტმა, ჰიბერტმა** და **ჯორჯმა** ერთად იმდენი მოხსნა დააგროვეს, რამდენიც "მაიამის" ერთად აღებულმა ყველა კალათბურთელმა. ბუნებრივია, ასეთმა სიტუაციამ "ინდიანას" მეორე ტემპით შეტევებისას 23 ქულა მოუტანა, "მაიამის" კი მხოლოდ ექვსი ჰქონდა.

"ინდიანა" უკვე პირველ ტაიმში გაიქცა ათი ქულით, მაგრამ **უეიდმა** საჭირო დროს გაიხსენა თავისი სნაიპერული თვისებები და "მაიამიმ" არა მარტო გაათანაბრა ანგარიში, არამედ მესამე მეოთხედში შვიდი ქულით წინ გასვლა მოახერხა. ამის შემდეგ, აფეთქდა ჯორჯი, რომელმაც თავისი 17 ქულა ჩადო 33:9 სპურტში. მეორე ნახევარში შესანიშნავად ითამაშა "პეისერსის" დაცვამ - მან "მაიამის" არ მისცა თავისი საფირმო კონტრშეტევების განხორციელების საშუალება, თან მეტოქეს რვა შეცდომა დააშვებინა. ამ ყველაფერმა ის გამოიწვია, რომ "მაიამიმ" სეზონში საკლუბო ანტირეკორდი დაამყარა დაგროვილი ქულების რაოდენობით, "ინდიანამ" კი მოიგო მატჩი თამაშიდან 36 პროცენტის რეალიზაციით.

■ ■ ■

"ფინიქსმა" ზედიზედ მეათე მატჩი წააგო სტუმრად, "მილუოკიმ" კი დროებითი მწვრთნელის **ჯიმ ბოილენის** ხელმძღვანელობით პირველი შეხვედრა მოიგო და შეწყვიტა ოთხმატჩიანი წაგებათა სერია. თუ პირველი ნახევარი სტუმრებს დარჩათ, მესამე და მეოთხე მეოთხედი გადამწყვეტი გახდა "ბაქსის" წარმატებაში. მესამე 12-წუთეულში "ირმები" რვა ქულას აგებდნენ, მაგრამ **ილიასოვამ** და მატჩის გმირმა **ბრენდონ ჯენინგსმა** 13:0 გაქცევა მოაწყვეს, რამაც თითქმის გატეხა "ფინიქსი". ამ უკანასკნელმა შეძლო მეოთხე მეოთხედში მინი-სპურტის (8:1) მოწყობა და წინააღმდეგობასაც უწევდა მასპინძლებს, მაგრამ "მილუოკის" ახალბედამ **ჯონ ჰენსონმა**, რომელმაც ახალი მწვრთნელის წყალობით სერიოზული სათამაშო დრო მიიღო, გასაქანი არ მისცა **გორან დრაგიჩს**. ასევე უნდა აღვნიშნოთ "მილუოკის" ცენტრის **ლარი სანდერსის** ბრწყინვალე თამაში დაცვაში - მან ექვს დაფარებას სამი ჩაჭრაც დაუმატა. სხვათა შორის, "ფინიქსის" 16 შეცდომა "მილუოკის" 22 ქულად გადაიქცა, იმ დროს, როცა "ბაქსის" 12-მა დაკარგვამ მხოლოდ 12 ქულა მოუტანა "სანზს".

**ფილადელფია–ბრუკლინი 89:109**

24:26, 23:22, 14:35, 28:26

**ფ:** ჰოლიდეი (19+8 პასი), ჰოიესი (14), იანგი (11).

**ბ:** უილიამსი (22+5 პასი), ბლეტჩი (20+7 მოხსნა), ჯონსონ (15+5 პასი), ლოპესი (13), უოლასი (11+5 პასი).

**ინდიანა–მაიამი 87:77**

20:19, 22:23, 25:15, 20:20

**ი:** ჯორჯი (29+11 მოხსნა), უესტი (14+11 მოხსნა), სტივენსონი (13), ჰიბერტი (6+14 მოხსნა).

**მ:** უეიდი (30+5 მოხსნა), ჯეიმსი (22+10 მოხსნა), ბოში (14+5 მოხსნა).

**მილუოკი–ფინიქსი 108:99**

26:33, 24:23, 30:20, 28:23

**მ:** ჯენინგსი (29+9 პასი), ელისი (13), ჰენსონი (12+11 მოხსნა), ილიასოვა (12+6 მოხსნა), მბა ა მუტე (11), სანდერსი (10+8 მოხსნა+3 ჩაჭრა+6 დაფარება), უდრიხი (10).

**ფ:** დრაგიჩი (21), დადლი (18+5 მოხსნა+8 პასი), გორტატი (16+14 მოხსნა), სკოლა (12+10 მოხსნა).

**მინესოტა–ატლანტა 108:103**

30:20, 28:22, 27:29, 23:32

**მ:** პეკოვიჩი (25+18 მოხსნა), კირილენკო (21+6 მოხსნა+5 პასი), უილიამსი (17), შვედი (15+7 პასი), რიდნური (10+5 მოხსნა).

**ა:** სმიტი (21+13 მოხსნა+7 პასი), უილიამსი (21+8 პასი), ჰორფორდი (19+11 მოხსნა), კორვერი (15), ჯენკინსი (10).



ლებრონი და კომპანია ინდიანაპოლისში შერცხვა

# ნეშის ჩამწარებული იუბილე

**პაუ გასოლის, დუაიტ ჰოვარდისა** და **ჯორჯ ჰილის** გარეშე, "ლეიკერსმა" ჰიუსტონში 125 ქულა და ზედიზედ მეოთხე მარცხი მიიღო. თუმცა მატჩი საკმაოდ მოულოდნელად დაიწყო - კალიფორნიელებმა 14-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს. შეხვედრის დებიუტში "ჰიუსტონი" ოდნავ მოშვებული ჩანდა, თუმცა შემდეგ, ერთი მეოთხედი იკმარა სიტუაციის გამოსასწორებლად. ამას მოჰყვა მესამე მეოთხედში გაქცევა, რომელმაც განსაზღვრა ამ მატჩში ფავორიტი. თავისი სამი მაღალის გარეშე, "ლეიკერსმა" წააგო ფარქვეშ ბრძოლა (44:60). კალიფორნიელთა რიგებში არ აღმოჩნდა მოთამაშე, რომელიც შეძლებდა **ჰარდენის, დელფინოსა** და **ლინის** შეჩერებას. ძირითადად, სწორედ ამ ტრიომ უზრუნველყო "როკეტსის" ზედიზედ მეხუთე გამარჯვება. საერთო ჯამში, **კევინ მაკჰეილის** გუნდი ძალიან დამაჯერებლად თამაშობდა და არავის შეჰპარვია ეჭვი, რომ მასპინძლები ხელიდან გაუშვებდნენ მოგებას. დასუსტებულ "ლეიკერსს" კი წინ აქვს გასვლითი მატჩი "სან ანტონიოსთან" და საშინაო დაპირისპირება "ოკლაჰომასთან".



სტივ ნეში

■ ■ ■

"ჰიუსტონისა" და "ლეიკერსის" მატჩში კალიფორნიული კლუბის ძირითადმა გამთამაშებელმა **სტივ ნეშმა** 10 შედეგიანი გადაცემა მიითვალა, რითაც კარიერაში 10-ათასიან ზღვარს გადააბიჯა.

ამ მომენტისთვის, კანადელ მცველს 10005 შედეგიანი პასი აქვს. ძალიან მალე ნეში უნდა დაეწიოს "ლეიკერსის" ლეგენდას **მეჯიქ ჯონსონს**, რომელმაც კარიერაში 10141 გადაცემა მიითვალა.

თუ ნეშის დღევანდელ ტემპს გავითვალისწინებთ, მას დაახლოებით 16 მატჩი დასჭირდება მეჯიქის გასასწრებად.

ყველა დროის სიაში, ნეშის წინ მხოლოდ ოთხი მოთამაშეა. შედეგიანი პასების სიაში ტოპ-ხუთეული ასე გამოიყურება:

| | |
|---|---|
| 1. ჯონ სტოქტონი | 15 806 |
| 2. ჯეისონ კიდი | 11 969 |
| 3. მარკ ჯექსონი | 10 334 |
| 4. მეჯიქ ჯონსონი | 10 141 |
| 5. სტივ ნეში | 10 005 |

**ჰიუსტონი–ლეიკერსი 125:112**

28:34, 31:28, 38:26, 28:24

**ჰ:** ჰარდენი (31+6 მოხსნა+9 პასი), პარსონსი (20+5 მოხსნა), ლინი (19+6 მოხსნა+5 პასი+4 ჩაჭრა), დელფინო (19+6 მოხსნა), დაგლასი (11+5 მოხსნა).

**ლ:** უორლდ პისი (24+6 მოხსნა+4 ჩაჭრა), ბრაიანტი (20+5 მოხსნა+7 პასი+3 ჩაჭრა), ნეში (16+5 მოხსნა+10 პასი), მორისი (12), მიქსი (12), საკრე (10+4 დაფარება).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● რაგბი. ექვსი ერი

# პომებმა შვიდი ახალი განაცხადეს

ექვსი ერის გათამაშება სტარტს 2 თებერვალს აიღებს. 2015 წლის მსოფლიოს თასის მასპინძელი, ინგლისის ნაკრები პირველ შეხვედრას შინ, „თვიქნემზე" შოტლანდიის ეროვნულ გუნდთან გამართავს. მიუხედავად იმისა, რომ გათამაშების დაწყებამდე სამ კვირაზე ოდნავ მეტია დარჩენილი, „პომების" თავკაცმა სტიუარტ ლანკასტერმა გუნდის გაფართოებული შემადგენლობა უკვე დაასახელა.



ინგლისელთა დამრიგებელმა გადაწყვიტა, ნოემბრის ტესტებისგან განსხვავებით, გუნდში შვიდი ახალი მოთამაშე მიიწვიოს. მათ შორის ორი მორკინალი **კალუმ კლარკი** („ნორსჰემპთონი") და შუამარბი **ბილი ტველვიტრისი** („გლოსტერი") დებიუტანტები არიან.

*„ფაქტია, რომ ძალიან დიდი დრო დავხარჯეთ ოპტიმალური შემადგენლობის დასადგენად. სამწვრთნელო შტაბი 65 მორაგბეს აკვირდებოდა, ეს თავისთავად მეტყველებს იმაზე, თუ რაოდენ დიდი კონკურენციაა ინგლისის ნაკრებში.*

*„პომების" შემადგენლობაში გარკვეული ცვლილებები შევიტანეთ. ვფიქრობთ, რომ ის სრულად ასახავს იმ მდგომარეობას, რომელშიც სადღეისოდ ჩვენი წამყვანი მორაგბეები იმყოფებიან. ცხადია, სეზონის დასაწყისში ბევრს ინგლისის A ნაკრებში მოუწევს გადაბარგება, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ეროვნული გუნდის კარი ვინმესთვის დახურულია. თუნდაც ის ფაქტი, რომ A ნაკრებიდან ფრედი ბერნსი, ჯო ლანჩბერი, ტომ იანგზი და მაკო ვუნიპოლა დავაწინაურეთ, ამის უდავო დასტურია.*

*წლევანდელი სეზონი ინგლისის ნაკრებისთვის უმნიშვნელოვანესია. მოთამაშეებს შესაძლებლობა ექნებათ თავიანთი პოტენციალი სრულად გამოავლინონ. ექვსი ერის გათამაშების გარდა, ივნისში ტურნე გვაქვს არგენტინაში. დარწმუნებულნი ვართ, რომ იქაც უმძიმესი მატჩები გველის. ყველაფერი კი საბოლოოდ მსოფლიოს თასისთვის ძლიერი გუნდის მომზადებას ემსახურება"* - თქვა ინგლისის ნაკრების თავკაცმა სტიუარტ ლანკასტერმა.

როგორც „პომების" თავკაცმა აღნიშნა, ინგლისის A ნაკრებში და თავიანთ კლუბებში შესანიშნავი გარჯის გამო, ეროვნულ გუნდში თამაშის უფლება მოიპოვეს **ჯო ლანჩბერიმ** („ვოსფსი"), **ტომ იანგზმა** („ლესტერი"), **მაკო ვუნიპოლამ** („სარასენზი") და **ფრედი ბერნსმა** („გლოსტერი").

ფრთაზე ლანკასტერმა **ჩარლი ჩარპლსი** („გლოსტერი") **დევიდ სტრიტლით** („სარასენზი") შეცვალა. **ჯიმი ჰესკელი** („ვოსფსი") კი **ფილ დოუსონის** („ბასი") ადგილს დაიკავებს. ყველაზე საინტერესო გადაწყვეტილება კი **კალუმ კლარკის** („ნორსჰემპთონი") გამოძახებაა. ის უნივერსალია და თანაბრად კარგად შეუძლია როგორც მეორე, ისე მესამე ხაზში თამაში. ზუსტად ასეთივე მონაცემებით გამოირჩევა კლარკის ნორსჰემპთონელი კოლეგა **კორტნი ლოუ**.

ყველაზე უცნაური გადაწყვეტილება კი სამხრეთაფრიკული წარმოშობის მესამეხაზელის **მორის ბოთას** („სარასენზი") A ნაკრებში გამწესება იყო. თუმცა, თუ ლანკასტერს ვენდობით, მას შანსი აქვს ისევ დაბრუნდეს ეროვნულ გუნდში.

**ინგლისის ნაკრები**

**შერკინება:** კალუმ კლარკი, დილან ჰართლი, კორტნი ლოუ, ტომ ვუდი (ოთხივე-ნორსჰემპთონი), ალექს კორბიშერო (ლონდონ აირიში), დენ კოლი, ტომ კროფტი, ჯეფ პერლინგი, ტომას ვალდრომი, ტომ იანგზი (ხუთივე-ლესტერი), ჯიმი ჰესკელი, ჯო ლანჩბერი (ორივე-ვოსფსი), ტომ ჯონსონი (ექსეტერი), ჯო მარლერი, კრის რობშო (ორივე-ჰარლიქვინზი), ბენ მორგანი (გლოსტერი), მაკო ვუნიპოლა (სარასენზი), დევიდ ვილსონი (ბასი).

**უკანა ხაზი:** კრის ეშტონი, ბრედ ბარიტი, ოუენ ფარელი, ალექს გუდი, დევიდ სტრიტლი (ხუთივე-სარასენზი), მაიკ ბრაუნი, დენ კერი (ორივე-ჰარლიქვინზი), ფრედი ბარნსი, ბილი ტველვიტრისი (ორივე-გლოსტერი), ლი დიქსონი, ბენ ფოდენი (ორივე-ნორსჰემპთონი), ტობი ფლუდი, მანუ ტუილაგი, ბენ იანგზი (სამივე-ლესტერი), ჯონათან ჯოზეფი (ლონდონ აირიში).

**ექვსი ერის კალენდარი**

**I ტური**

**2 თებერვალი**
უელსი-ირლანდია
ინგლისი-შოტლანდია

**3 თებერვალი**
იტალია-საფრანგეთი

**II ტური**

**9 თებერვალი**
შოტლანდია-იტალია
საფრანგეთი-უელსი

**10 თებერვალი**
ირლანდია-ინგლისი

**III ტური**

**23 თებერვალი**
იტალია-უელსი
ინგლსი-საფრანგეთი

**24 თებერვალი**
შოტლანდია-ირლანდია

**IV ტური**

**9 მარტი**
შოტლანდია-უელსი
ირლანდია-საფრანგეთი

**10 მარტი**
ინგლისი-იტალია

**V ტური**

**16 მარტი**
იტალია-ირლანდია
უელსი-ინგლისი
საფრანგეთი-შოტლანდია

**ბესიკ ჯანგავაძე**

● ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ნიურნბერგი-ბრიუგე | 3:4 |
| უტრეხტი-უნიონი | 0:2 |
| ფიურტი-ალკმაარი | 2:3 |
| არმინია-ბურგჰაუზენი | 5:1 |
| ბეშიქთაში-ტრაბზონი | 1:1 პენ. 3:4 |
| გრასჰოპერსი-ვილი | 4:1 |
| ბორუსია (მ)-ჰამბურგი | 2:2 |
| მონსი-ფორტუნა | 1:4 |
| კოტბუსი-ბერლინერი | 2:0 |
| **ინგლისის ლიგის თასი** | |
| **1/2 ფინალი. I მატჩი** | |
| ჩელსი-სუონსი | 0:2 |
| **იტალიის თასი** | |
| **1/2 ფინალი. I მატჩი** | |
| იუვენტუსი-მილანი | 1:1 დ.დ. 2:1 |
| **ესპანეთის თასი** | |
| **1/8 ფინალი. II მატჩები** | |
| სევილია-მალიორკა | 1:2 (5:0) |
| რეალი-სელტა | 4:0 (1:2) |
| სარაგოსა-ლევანტე | 2:0 (1:0) |
| **საფრანგეთი** | |
| **ნასიონალი** | |
| კა ბასტია-მეცი | 2:1 |
| **პორტუგალია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ბელენენსეში-სპორტინგი | 2:1 |
| **პორტუგალია** | |
| **ლიგის თასი** | |
| პორტუ-სეტუბალი | 1:0 |
| ნასიონალი-ეშტორილი | 1:0 |
| ბრაგა-ბეირა მარი | 3:0 |
| გიმარაეში-ნავალი | 2:0 |
| მარიტიმუ-რიუ ავე | 0:1 |
| სპორტინგი-ფერეირა | 1:0 |
| ბენფიკა-აკადემიკა | 3:2 |
| ოლანენსე-მორეირენსე | 0:0 |
| **საბერძნეთის თასი** | |
| **1/8 ფინალი. I მატჩები** | |
| ოლიმპიაკოსი (ვ)-ასტერასი | 1:1 |
| პანათინაიკოსი-პლატანიასი | 2:1 |
| **თურქეთი** | |
| ახისარი-ანტალია | 1:0 |
| **კვიპროსის თასი** | |
| **1/8 ფინალი. I მატჩები** | |
| აელ-აპოელ | 0:2 |
| აეპ-პაეეკ | 2:2 |
| აიია-ანაგენისი | 0:1 |
| ერმისი-ენოსისი | 0:1 |
| ანორთოსისი-ალკი | 1:1 |
| ეთნიკოსი-ომონია | 0:2 |
| აეკ-ოლიმპიაკოსი | 1:0 |

| [illegible] | |
|---|---|
| **[illegible] თასი** | |
| ერაყი-ქუვეითი | 1:0 |
| იემენი-ს. არაბეთი | 0:2 |
| **კალათბურთი** | |
| **გერმანია** | |
| ბაიროიტი-ტელეკომი | 77:61 |
| ტრირი-ლუდვიგსბურგი | 79:73 |
| ტიუბინგენი-ერტლანდი | 72:71 |
| **ევროთასი** | |
| სპარტაკი-ლოკომოტივი | 70:84 |
| ბუდიველნიკი-ბანვითი | 76:69 |
| სტელმეტი-სევილია | 76:67 |
| ბუდუჩნოსტი-ტრიუმფი | 90:69 |
| ულმი-ცრვენა ზვეზდა | 95:100 |
| გალათასარაი-უნიქსი | 74:80 |
| ბილბაო-ნიმბურკი | 83:85 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| ამური-იუგრა | 3:2 (ბ) |
| მეტალურგი (ნ)-ავანგარდი | 3:5 |
| სიბირი-ბარისი | 3:1 |
| **გერმანია** | |
| ჰანოვერი-აუგსბურგი | 1:4 |
| **ჩეხეთი** | |
| სპარტა-პარდუბიცე | 9:2 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. ოკლენდი** | |
| მალისე-ხირალდო | 7:6, 6:4 |
| ო. როხუსი-კუერი | 5:7, 3:6 |
| ფალა-კოლშრაიბერი | 6:7, 6:4, 3:6 |
| ლაჩკო-ბელუჩი | 6:3, 7:5 |
| ბეიკერი-ლევინი | 5:7, 4:6 |
| მონფილსი-ჯონსი | 6:4, 6:2 |
| ჰაასი-სისლინგი | 6:3, 6:4 |
| ფერერი-ლუ | 6:4, 2:6, 6:3 |
| **ATP. სიდნეი** | |
| ვერდასკო-ისტომინი | 3:6, 3:6 |
| გრანოლერსი-ფონინი | 6:2, 7:6 |
| ანდერსონი-ფ. ლოპესი | 6:3, 6:4 |
| ისნერი-ჰარისონი | 4:6, 4:6 |
| ნიემინენი-კლეჩი | 6:3, 6:1 |
| მილმანი-სეპი | 2:6, 6:3, 3:6 |
| ფ. მაიერი-ტომიჩი | 6:7, 2:6 |
| **WTA. ჰობარტი** | |
| გოვორცოვა-გაიდოშოვა | 3:6, 1:6 |
| იოვანოვსკი-ფლიპკენსი | 3:6, 2:6 |
| ზაკოპალოვა-პირონკოვა | 6:3, 4:6, 2:6 |
| პენგი-ნიკულესკუ | 6:3, 4:6, 4:6 |
| **WTA. სიდნეი** | |
| ა. რადვანსკა-ვინჩი | 6:4, 7:5 |
| ციბულკოვა-ერანი | 6:2, 6:1 |
| ნა ლი-კისი | 4:6, 7:6, 6:2 |
| კუზნეცოვა-კერბერი | 3:6, 5:7 |

● კალათბურთი

# ქურდი გენერალური მდივანი




გუშინ, ლიტვის კალათბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი **მინდაუგას ბალჩიუნასი** კორუფციის ბრალდებით დააკავეს. ბალჩიუნასის ადვოკატები თავიანთი დაცვის ქვეშ მყოფისთვის პირობით პატიმრობას ითხოვდნენ, მაგრამ სასამართლომ ეს თხოვნა არ დააკმაყოფილა.

გენერალურ მდივანს ქალაქ პანევეჟისის მერის მრჩეველთან **დარიუს სიმენასთან** და სასტუმრო „რომანტიკას" მფლობელ **დალი კუკლერენესთან** ერთად კორუფციაში ედება ბრალი. კერძოდ, ამ ტრიომ ევროპის 2011 წლის ჩემპიონატის წინ, პანევეჟისის მერიის ფულით - 600 ათასი ევროთი უკანონოდ ჩაუტარა რეკონსტრუქცია „რომანტიკას", რომელშიც ევრობასკეტის მონაწილეები ცხოვრობდნენ.

ამჟამად მიმდინარეობს გამოძიება სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, თაღლითობისა და დოკუმენტების ფალსიფიკაციის მიმართულებით. პანევეჟისის პროკურატურის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ის სასამართლოს თხოვნით მიმართავს ბალჩიუნასისთვის ორთვიანი პატიმრობის შეფარდების თაობაზე.

**გია თვალაბეიშვილი**

● ჰოკეი

# მსოფლიოს თასი აღდგება

საინტერესო ინფორმაცია გავრცელდა ამერიკულ პრესაში - შეიძლება აღდგეს მსოფლიოს თასის გათამაშება, რომელმაც 1996 წელს შეცვალა ლეგენდარული კანადის თასი და ის ოლიმპიური ტურნირის ალტერნატიულ ვარიანტად განიხილებოდა. მსოფლიოს თასი ჰოკეის ეროვნული ლიგისა და მოთამაშეთა ასოციაციის ეგიდით ტარდებოდა და ახლა, ორივე მხარე სერიოზულ დაინტერესებას იჩენს მის აღდგენაზე.

სავარაუდოდ, ტურნირი რეგულარულად გაიმართება - ოთხ წელიწადში ერთხელ და მისი ჩატარების თარიღი არ დაემთხვევა ოლიმპიურ თამაშებს. მოლაპარაკებებისას ერთ-ერთი საკამათო საკითხია წელიწადის დრო, როცა ტურნირი უნდა ჩატარდეს. ეს უნდა იყოს აგვისტო-სექტემბერი ან თებერვალი, როცა მოთამაშეები ფორმის პიკში არიან.

ცნობისთვის, დღევანდელ დღემდე მსოფლიოს თასის ორი გათამაშება ჩატარდა – 1996 და 2004 წლებში. გამარჯვებები, შესაბამისად, აშშ-სა და კანადის ნაკრებებმა მოიპოვეს.

■ ■ ■

ამასობაში, თანდათან ცნობილი ხდება ჰოკეის ეროვნული ლიგის 2012-13 წლების სეზონის კონტურები. NHL-ის ვიცე-პრეზიდენტმა **ბილ დეილიმ** განაცხადა, რომ ხელშეკრულების რატიფიკაციის პროცესი გრძელდება, ხოლო საწვრთნელი ბანაკები 13 იანვარს გაიხსნება. აღსანიშნავია, რომ კლუბების მფლობელებმა ახალი კოლექტიური ხელშეკრულება NHL-ის დირექტორთა სხდომაზე უნდა დაამტკიცონ, რომელიც დღეს გაიმართება. მოთამაშეები იგივე პროცესს 10-11 იანვარს, ელექტრონული კენჭისყრის მეშვეობით ჩაატარებენ.

**გია თვალაბეიშვილი**

● TV პროგრამა

**10 იანვარი. ხუთშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-ატალანტა.
**12:00** ევროპის ლიგი ჯგუფური ეტაპი. ბილბაო-ლიონი.
**14:00** ინგლისის ჩემპიონატი. სტოკი-ლივერპული.
**16:00** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ჩელსი-შახტარი.
**18:00** მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
**19:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ეინდჰოვენი.
**21:00** ინგლისის ჩემპიონატი. I წრის შემაჯამებელი. ლივერპული.
**22:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**23:00** ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ნიუკასლი.
**01:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. სეზონის შემაჯამებელი. ფლუმინენსე.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. მილანი-მალაგა.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჰიუსტონი-ლეიკერსი.
**15:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-შტუტგარტი.
**17:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. სარაცენსი-მანსტერი.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**20:30** მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. მაიამი ჰიტი. 2011-12 წლები. II ნაწილი.
**21:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. სან ანტონიო-ლეიკერსი.
**23:45** კალათბურთი. ევროლიგა. TOP 16. III ტური. კახა ლაბორალი-ბეშიქთაში (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. სიდნეი. ავსტრალია.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. სიდნეი. ავსტრალია (LIVE).
**16:30** სპორტ-NEWS.
**17:00** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. მარსელი-ბორუსია (მ).
**19:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მაიამი-მინესოტა.
**21:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. სიდნეი. ავსტრალია.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | -2 | 3 | (თოვლი) |
| ქუთაისი | 0 | 3 | (თოვლი) |
| ბათუმი | 2 | 5 | (თოვლჭყაპი) |
| ფოთი | 2 | 4 | (თოვლჭყაპი) |
| ზუგდიდი | -1 | 3 | (თოვლი) |
| გორი | -4 | 1 | (თოვლი) |
| თელავი | -2 | 2 | (თოვლი) |
| სიღნაღი | -2 | 1 | (თოვლი) |
| ბაკურიანი | -10 | -4 | (თოვლი) |
| ბორჯომი | -5 | 1 | (თოვლი) |
| მესტია | -8 | -3 | (თოვლი) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1775 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6597 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6703 |
| 100 რუსული რუბლი | 5.4644 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველოსპორტი



ლენს არმსტრონგი

# ალიარე, ლენს!

## 17 იანვარს, არმსტრონგი დისკვალიფიკაციის შემდეგ პირველ ინტერვიუს მისცემს

ამერიკელი ველომრბოლი **ლენს არმსტრონგი**, რომელსაც დოპინგის გამოყენების გამო ტურ დე ფრანსის შვიდი ტიტული ჩამოართვეს, 250 ათას დოლარს სთავაზობდა ამერიკის შეერთებული შტატების ანტისადოპინგო სააგენტოს, - ამ სკანდალურ ინფორმაციას სააგენტო "როიტერი" ავრცელებს.

არმსტრონგი ამ თანხას 2004 წელს შემოწირულობის სახით სთავაზობდა, მაგრამ ანტისადოპინგო სააგენტომ უარი თქვა ფულის მიღებაზე. ორგანიზაციის თავმჯდომარემ **ტრევის ტაიგარტმა** განაცხადა, რომ გაოგნებული დარჩა სპორტსმენის ამგვარი შემოთავაზებით.

ტაიგარტმა ლენსი, მისი ექიმები, მწვრთნელები და პარტნიორები მაფიას შეადარა.

სწორედ ამერიკის ანტისადოპინგო სააგენტომ გამოაქვეყნა 2012 წლის შემოდგომაზე დაწვრილებითი ანგარიში, რომელშიც მოყვანილი იყო უამრავი დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ არმსტრონგი არა მხოლოდ თავად იღებდა დოპინგს, არამედ სხვა ველომრბოლებსაც აიძულებდა აკრძალული პრეპარატების მიღებას. დოკუმენტების გამოქვეყნების შემდეგ, არმსტრონგს ყველა ტიტული ჩამოართვეს.

ლენსი ყოველთვის უარყოფდა დოპინგის გამოყენების ფაქტს. მაგრამ ახლა, ყველა ელოდება ამერიკელი ველომრბოლის მხრიდან ძველი ცოდვების აღიარებას. ეს უნდა მოხდეს 17 იანვარს, როცა არმსტრონგი სტუმრად მივა ოპრა უინფრის გადაცემაში.

მძლეოსნობა


ინციდენტი სტარტის წინ

# სასამართლო ბოთლის სროლისთვის...

ბრიტანელი **ეშლი ჯილ-უები**, რომელმაც ლონდონის თამაშების დროს, 100 მეტრზე გარბენის წინ სარბენ ბილიკზე ბოთლი ისროლა, სასამართლოს წინაშე წარდგა, - იტყობინება ბრიტანული პრესა. შეგახსენებთ, რომ 34 წლის მამაკაცს მიზანში იამაიკელი **უსაინ ბოლტი** ჰყავდა ამოღებული. ცარიელი ბოთლი მან შემდეგი ფრაზის თანხლებით ისროლა: *"უსაინ, მინდა, რომ წააგო, არარაობავ და იდიოტო!"*

ჯილ უებმა ტრიბუნაზე ბილეთის გარეშე შეაღწია - ის ჰოლანდიურ დელეგაციას შეერია. ხულიგანის გვერდით აღმოჩნდა ქალებს შორის ძიუდოში ბრინჯაოს პრიზიორი **ედიტ ბოში**, რომელმაც ხელები გადაუგრიხა მამაკაცს და ის პოლიციას გადასცა.

უცნაური შემთხვევა მოხდა ბრაზილიის ქალაქ კუიაბაში, სადაც სტაიერები 10-კილომეტრიან გარბენში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

დისტანციას ლიდერობდა კენიელი **ედვინ კიპსანგ როტიჩი**, როცა მაყურებლების ჯგუფს გამოეყო ერთი მამაკაცი და გარბენის ლიდერს თავს დაესხა. შეჯიბრების მომსახურე პერსონალმა და პოლიციელებმა დიდი გაჭირვებით შეძლეს თავდამსხმელის დაკავება, როტიჩმა კი მიღებული შოკის მიუხედავად, შეძლო გარბენის გაგრძელება და საბოლოოდ, პირველი მივიდა ფინიშთან.

თავდამსხმელი აღმოჩნდა 33 წლის უოლას დე სოუზა ნოგეირა, რომლის შესახებაც პოლიციაში განაცხადეს, რომ ის ფსიქიკურად არის დაავადებული.

ფორმულა 1

# როგორი სეზონი გველოდება?

**ფორმულა 1-ში ტესტების დაწყებამდე დაახლოებით ერთი კვირაა დარჩენილი, მარტში კი გაიმართება პირველი რბოლა მელბურნში. ცნობილმა ბრიტანელმა ექსპერტმა ჯეიმს ალენმა თავისი მოსაზრებები გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, როგორი იქნება 2013 წლის სეზონი...**




### დაძაბული ბრძოლა

წესები, რომელიც აეროდინამიკის რეგლამენტირებას შეეხება, სერიოზულად არ შეცვლილა. ამასთან, გუნდებს მოუწევთ მნიშვნელოვანი რესურსების დახარჯვა 2014 წლის მანქანის შესაქმნელად, ასე რომ, სეზონის პირველ ნახევარში ტრასებზე ბრძოლა გამძაფრდება, რადგან რთული იქნება სიჩქარის რესურსების მოძიება.

მიუხედავად ამისა, არ უნდა ველოდოთ 2012 წლის სიტუაციის გამეორებას, როცა პირველი რვა ეტაპი ექვსი საჯინიბოს რვა სხვადასხვა პილოტმა მოიგო. მაშინ ეს უკავშირდებოდა დიფუზორების გამოყენებას, რაც დროში დაემთხვა "პირელის" ახალ საბურავებზე გადასვლას. ახალ წელს დიდია იმის შანსი, რომ გამარჯვებისთვის იბრძოლებენ სამი-ოთხი გუნდის პილოტები - "რედ ბულის", "მაკლარენის", "ფერარისა" და, შესაძლოა, "ლოტუსის". "მერსედესის" კონკურენტუნარიანობა ეჭვს იწვევს, თუმცა სერიოზული ყურადღება იქნება მიპყრობილი **ლუის ჰემილტონისკენ**, რომელიც ამ გუნდში გადავიდა. **სებასტიან ფეტელი** სეზონს ფავორიტის რანგში დაიწყებს, რადგან "რედ ბულმა" გასული სეზონი ფორმის პიკზე დაასრულა.

სეზონის მეორე ნახევარში ფინანსურად მძლავრი გუნდები კიდევ უფრო წინ წავლენ, რადგან გააგრძელებენ მანქანების დახვეწას, სხვები კი ამ დროს, 2014 წელზე იქნებიან გადართულნი და შესაბამისად, თანდათან ჩამორჩებიან ლიდერებს. მაგრამ პელოტონის შუაში საინტერესო და დაძაბული ბრძოლის მოწმენი გავხდებით.

სეზონის დებიუტანტებს - **ესტებან გუტიერესსა** და **ვალტერი ბოტასს** სერიოზული ზეწოლის ქვეშ მოუწევთ გამოსვლა: მათგან მუდმივად შედეგიანი რბოლების მოლოდინში იქნებიან, რადგან კონსტრუქტორთა თასზე ძალიან დაძაბული ბრძოლა გაიმართება მეხუთე-მერვე ადგილებისთვის.

### ტექნიკური მხარე

"პირელი" გუნდებს ჰპირდება საბურავებს, რომლებიც ორი ან სამი პიტსტოპის ჩატარებას მოითხოვს და არა ერთი ან ორის, როგორც ეს სეზონის ბოლოს იყო. ახალი საბურავი უფრო მალე უნდა გახურდეს და ეს დაეხმარება რბილი მართვის სტილის პილოტებს, მაგალითად, **ჯენსონ ბატონს** გააუმჯობესოს კვალიფიკაციის შედეგები.

ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციას გუნდებზე ნაკლებად არ სურდა მანქანების "ცხვირზე" "მახინჯი" საფეხურის მოშორება. ამიტომაც მიიღეს წესი, რომელიც სპეციალური დეკორატიული პანელის გამოყენებით მონოკოკის ზედა წერტილიდან „ცხვირისკენ" სწორად გადასვლის საშუალებას იძლევა. ამან ხელი უნდა შეუწყოს მანქანის გარეგნული მხარის გაუმჯობესებას.

### ტრასის მიღმა მოვლენები

უნდა ველოდოთ, რომ რალაცნაირად გაირკვევა საკითხი, რომელიც **ბერნი ექლსტოუნსა** და კორუფციულ სკანდალში მის შესაძლო მონაწილეობას უკავშირდება, რომლის დროსაც გერმანელი ბანკირი **გერჰარდ გრიბოვსკი** საპყრობილეში აღმოჩნდა. ამასწინ, ექლსტოუნმა ამ თემას ორი ინტერვიუ მიუძღვნა. მაგალითად, გაზეთ "სანდი ტელეგრაფში" განაცხადა, რომ თუ გერმანული სასამართლო მას დამნაშავედ სცნობს, CVC (საინვესტიციო ფონდი, რომელიც ფორმულა 1-ის ეკონომიკას აკონტროლებს), სავარაუდოდ, ბერნის თავიდან მოიშორებს. ექლსტოუნი ამ ინტერვიუში დაპატიმრებასაც არ გამორიცხავდა.

თუმცა შემდეგ, იტალიური პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში ბერნიმ დამაჯერებლად განაცხადა, რომ ამ საქმეს სასამართლო პერსპექტივა არ გააჩნია.

გარდა ამისა, 2013 წელი უკვე დაიწყო, ჩვენ კი არაფერი გვსმენია თანხმობის ახალი ხელშეკრულების შესახებ. ძველმა დოკუმენტმა უკვე დაკარგა ძალა.

### ახალი კომპანიები ფორმულაში

ექსლტოუნთან დაკავშირებული გაუგებრობის მიუხედავად, ფორმულა 1-ში ოფიციალური პარტნიორის რანგში მივიდა კომპანია Rolex. ასევე ელიან, რომ "ლოტუსის" ახალი სპონსორი გახდება ამერიკული საწარმოო გიგანტი Honeywell. ექსპერტები პროგნოზირებენ, რომ წლის განმავლობაში ფორმულა 1-ში შეიძლება გამოჩნდეს რამდენიმე ბრენდი, რომელიც ეკონომიკურ ბაზარზე მსხვილ მოთამაშეებს განეკუთვნებიან.

ევროპაში გრძელდება ეკონომიკური რეცესია და ეს სიტუაცია, სავარაუდოდ, იმ ავტოდრომებსაც შეეხება, რომლებიც ფორმულა 1-ის რბოლებს იღებენ. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ორი ესპანური ეტაპიდან დარჩა ერთი, საფრანგეთმა ვერ მოახერხა კალენდარში დაბრუნება და ისევ რჩება ეჭვი ნიურბურგრინგზე გერმანიის გრანპრის ჩატარების მხრივ.



# მაინც 19 იქნება?

კვლავაც გაურკვეველია ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატის კალენდრის მიხედვით 21 ივლისს გასამართი რბოლის ბედი. "დიდი ცირკის" მთავარმა პრომოუტერმა **ბერნი ექლსტოუნმა** განაცხადა, რომ კალენდარი არა 20, არამედ 19-რბოლიანი იქნება, რადგან არ ხერხდება ეტაპის ჩატარება თურქეთსა და ავსტრიაში.

*"ავსტრიაში ძალიან ცოტა სასტუმროა. ეს ერთადერთი პრობლემაა, რადგან ტრასა ბრწყინვალეა, ხალხი კეთილი, ამიტომაც მათთან მუშაობა სასიამოვნოა"*, - ამბობს ექლსტოუნი.

ამასობაში, კითხვის ნიშნის ქვეშ არის 7 ივლისს გერმანიის გრანპრის ჩატარება, თუმცა, ამ მხრივ, ექლსტოუნი დამაიმედებელ ინფორმაციას ავრცელებს - გერმანული ეტაპის ორგანიზატორებთან უკვე ამ კვირის ბოლოს შეიძლება გაფორმდეს კონტრაქტი.

*"რბოლა ნიურბურგრინგზე უნდა გაიმართოს და ვცდილობთ, ეს საკითხი მოვაგვაროთ, - განაცხადა ექლსტოუნმა. - გერმანულ მხარესთან მოლაპარაკებები ყოველდღე მიმდინარეობს".*

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
9 772233 382000
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი;** მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი;** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** *ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:* **ვაჟა სიმონიშვილი**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**
*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge* ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:05
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608